

ISSN 1512 - 4649

ეკონომისტი

სამართლებრივი რეგულაციები და რეგულირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№4 2016 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის,
ბიზნესმენტა და მეცნიერთა პოზიციები)

ბაზისაზიზი, ბუღალტრული აღრიცხვა,
აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო სექტორი (ბანკირი, ბიზნესმენი,
მეანაბრე)

საბანკო სექტორი სიზღვენი (სამეწარმეო
სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა პოზიციები და პროფესიონალთა
პოზიციები



ჟურნალი “ახალი ეკონომისტი”
რევიზირებულია:

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ
გამოცემებში “ქართულ რევერატულ ჟურნალში”.

რევიზირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და სავაჭრო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ასტანა).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ-ფოსტა: loidk@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine “Akhali Ekonomisti” (New
Economist) HAS BEEN REVIEWED:

In “Georgian Reviewed Magazine” –
P.L.L.E. Institute of Techninform

ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana).

ADDRESS: 5 Jorjadze str., 0105, Tbilisi, Georgia
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
E-mail: loidk@yahoo.com
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური სამართაშორისო რევიზირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №4(43), 2016

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი;
საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე;
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია: მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბუსაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბუსაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ვახტანგ ბარათაშვილი; ელგარ ბატიაშვილი; გივი ბელიანაშვილი (ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი); როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ ბაქსაძე; თინა ბელაშვილი; სიმონ ბელაშვილი; რევაზ ბვქალიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ ბობოხია; ვლადიმერ ბრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსი დანილენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენტი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაიძე; ნუზარ თოდუა; გიორგი თუბერიძე (ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი); სერგეი იაკუბოვიჩი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მერაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილაძე; ბია კვაშილაძე; მურთაზ კვიციანი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუაძე; ირაკლი კოვზანაძე; პანა კორძია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოლუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); კირალე კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაბვილაძე; ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-გაბრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; ქაბილ მანაშოვი (აზერბაიჯანის

სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგარ მამუკაშვილი; ნუზარ ნაღარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ღაბით ნარმანია (თბილისის მერი); თეოდორ ნინიძე; სოლომონ კავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); შიშო სარჯველაძე; ავთანდილ სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა; ბელა სვირაძა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამიტკინ ტუმუკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა შატილაძე; ლევან ქისტაური; რუსუდან ქუთათიელი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შინბელია; გიორგი შინაშვილი; თამარ შულრა; ვაია შულენბაძე (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაბელიშვილი; ღაბით ჩორჩიშვილი (ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხაღური (საქართველოს ფინანსთა მინისტრი); ელენე ხარაბაძე; შიშო ხარაიშვილი; რევაზ ხარბაძე; მერაბ ხმალაძე; ღაბით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლთ ჯანჯღაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერმანია; მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი). ნანა ჯღარკაძე.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

შესაძლებელია, რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.



The New ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED 4(43), 2016

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration, Professor;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

სახელმწიფო ეკონომიკის ინსტიტუტი THE NEW ECONOMIST

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (President of the Georgian Academy of Business Sciences); EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business“); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of Belarusia State University); WOLFGANG WENG (Berlin, Germany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management School of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Germany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; QABIL MANAFOV (Dean of Commerce Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-President of Caucasus University in science field); ELGUJA MEQVABISHVILI; NUGZAR NADARAIA (President of the Academy of Fazi Sciences); DAVID NARMANIA (Mayor of Tbilisi); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rector of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering“); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of an Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; TAMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University) MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Minister of Finance of Georgia); ELENE KHARABADZE; ETER KHARAIASHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Business Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAI (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia“); MICHAEL JIBUTI (President of the Academy of Economics Sciences of Georgia); NANA JGHARKAVA.

რედაქტორის გვამრდი

გილოცავთ შობა-ახალ წელს! 7

მეცნიერება

თეიმურაზ შენგელია - ლარის კურსის დესტაბილიზაციის მიზეზები და მათი დაძლევის ძირითადი მიმართულებანი 9

ნიკა შენგელია - დოლარის, ევროსა და ლარის ტრიადა - მოლოდინები და რეალობები 21

სლავა შუბლაძე - კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის 25 წელი საქართველოში 26

რატი აბულაძე - სოციალური სტანდარტების გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში 33

მთერ სარჯველაძე - სურსათის უვნებლობის რეგულირება საქართველოში 38

ვასილ ხიზანიშვილი - საჯარო-კერძო პარტნიორობა 44

ნინო ბაბუნაშვილი - მცირე და საშუალო ბიზნესის რეგულირების მექანიზმები საქართველოში . 48

ეკა ლუკაშვილი, მარიამ ბიწაძე, ქეთევან ჯიქია - ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ: სლოვაკეთი 52

თეიმურაზ ბობნაძე - სუპერკომპიუტერების განვითარების ტენდენციები და გორდონ მურის კანონი 63

ლაშა მგებლაძე - „შავი“ და „თეთრი“ სია - სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში კონკურენციის შემზღუდავი თუ წამახალისებელი ფაქტორები 69

სტუმენტური ხელვა

ეკატერინე ლომია - პოლ ქოლიერის წიგნის „უფსკრულში მყოფი მილიარდობით ადამიანი: რატომ ეცემიან უღარიბესი ქვეყნები და რა შეიძლება გაკეთდეს ამის შესახებ“ კრიტიკული მიმოხილვა 77

ბოიანჯანია ბოიანთოხტოხ - ტრანსნაციონალური გაერთიანებების როლი მდგრად განვითარებაში 82

მართვის ახალგაზრდული სკოლა

მაია ოშიაძე, ლეილა ბიორბოპიანი - საოფისე საქმისწარმოების იურიდიული ასპექტები 86

ჩვენი სახელოვანი თანამემამულეები

ნელი კახარიანი - ევგენი მიქელაძე 90

ომარ შულრა - აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე 93

რა ბითხრათ? რით გაბახაროთ? 95

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



EDITORIAL PAGE 7

SCIENCE

Teimuraz Shengelia - Causes of Lari Exchange rate instability and main directions of tackling this issue 9
Nika Shengelia - The Triad of US. Dollar, Euro and Gel- Expectations and Realities. 21
Slava Fetelava - 25 years of practical realization of competition policy in Georgia. 26
Rati Abuladze - Challenges and prospects of social standards in Georgia 33
Eter Sarjveladze - Food Safety Regulation in Georgia 38
Vasil Khizanishvili - Public Private Partnerships 44
Nino Babunashvili - Small and medium businesses (SME) regulation mechanisms in Georgia 48
Eka Lekashvili, Mariam Bitsadze, Ketevan Jikia - Challenges of Economic Policy of Visegrad Countries after
ning EU: Slovak Republic 52
Temur Gognadze - Supercomputer development tendencies and the Gordon Moore law 63
Lasha Mgeladze - "Black" and "white" lists – competition restriction or encouragement factors
in the state procurement system 69

STUDENT'S VISION

Ekaterine Lomia - Critical review of the book "Bottom billion" by Paul Collier 77
Buyanzaya Buyantogtokh - The Role of Transnational Corporations in Sustainable Development 82

THE YOUTH SCHOOL OF MANAGEMENT 86

OUR FAMOUS COUNTRYMEN 90

FROM HISTORY 95

THE NEW ECONOMIST



უპირველესად შობა-ახალ წელს გილოცავთ მვირფასო მკითხველო!

დაე, ფეხბედნიერი ყოფილიყოს ახალი, 2017 წელი, სიუხვის, აღმშენებლობისა და წარმატებების წელი თითოეული თქვეთაგანისთვის, თქვენი ოჯახებისთვის და სრულიად საქართველოსთვის!

10 წლის ანგარიში მკითხველს

10 წელი გავიდა, რაც ჩვენი ჟურნალი გამოდის და თავს ვალდებულად ვთვლით, პატარა შემაჯამებელი ანგარიში ჩავაბაროთ მკითხველს.

განვლილი 10 წლის განმავლობაში ჟურნალში დაიბეჭდა 500-ზე მეტი სამეცნიერო და სამეცნიერო-პუბლიცისტური სტატია. ჟურნალში იბეჭდებოდა საქართველოს თითქმის ყველა წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენელთა სტატიები. მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში წარმოდგენილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დირექტორები, დარგობრივი აკადემიების პრეზიდენტები, უმაღლესი სასწავლებელთა რექტორები, პრორექტორები, დეკანები, პროფესორები, მათ შორის უცხოელი კოლეგები უკრაინიდან, ბელარუსიდან, რუსეთის ფედერაციიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან. რედკოლეგიის წევრები იყვნენ და არიან მთავრობის წევრები, დედაქალაქის მერი და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

2009 წლიდან ჟურნალი აღიარებულია 20-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიერ. სიამაყით ჩამოვთვლით იმ უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებს, საიდანაც აქტიურად იბეჭდებოდა სტატიები ჩვენს ჟურნალში. ესაა:

- ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა);
- კიევის საერთაშორისო უნივერსიტეტი (უკრა-

- ინა);
- ხარკოვის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა);
- ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბელარუსია);
- სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი (რუსეთის ფედერაცია);
- მოსკოვის სახელმწიფო იურიდიული აკადემია (რუსეთის ფედერაცია);
- სამარის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი (რუსეთის ფედერაცია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საერთაშორისო ვაჭრობის უნივერსიტეტი (ყაზახეთის რესპუბლიკა);
- აღმათის უნივერსიტეტი „ტურანი“ (ყაზახეთის რესპუბლიკა);
- აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი);
- სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი);
- პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია);
- მონღოლეთის საერთაშორისო უნივერსიტეტი (მონღოლეთი).

მთლიანობაში, 2009 წლიდან მოყოლებული 50-მდე უცხოენოვანი სტატია დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალში, მათ შორის ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე.

აგრეთვე გვსურს, ჩვენი ჟურნალის რედკოლეგიის წევრთა წარმატებებზეც გავამახვილოთ ყურადღება.

2016 წლის დეკემბერში საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ჩვენი ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ჯიბუტი. ვულოცავთ ბატონ მიხეილს ამ დიდ აღიარებას

და ვუსურვებთ კვლავაც წარმატებებით ეღვაწოს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

2016 წელს 80 წელი შეუსრულდა ასევე, ჩვენი ჟურნალის რედკოლეგიის წევრს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რევაზ გოგობიას. ვულოცავთ ბატონ რევაზს საიუბილეო წელს და ვუსურვებთ კვლავაც ჩვეული ენერგიით დიდ ხანს წარმატებით ეღვაწოს ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში.

2017 წლის იანვარში 75 წელი უსრულდება ჩვენი ჟურნალის კიდევ ერთ აქტიურ მეცნიერს, დოქტორ ომარ შუდრას. ბატონი ომარი წლების მანძილზე თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალთან და ყოველთვის ინიციატივებითა და სიახლეების დანერგვის სურვილით გამოირჩევა. მას დღემდე მიჰყავს რამდენიმე რუბრიკა ჩვენს ჟურნალში. ვულოცავთ ბატონ ომარს დაბადების დღეს და ვუსურვებთ კვლავაც ნაყოფიერი შრომით ეღვაწოს საქართველოს საკეთილდღეოდ.

რაც შეეხება ჟურნალის ხვალინდელ დღეს, იგი კვლავაც იქნება ქართველი მეცნიერების გვერდით და კვლავაც შეუწყობს ხელს ფართო მკითხველამდე მიიტანოს ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების ნააზრევი, ნაშრომ-ნაღვაწი, კვლევები, დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც საქართველოსა და მსოფლიოს უდავოდ წაადგება.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ჟურნალი აქტიური მხარდამჭერი იქნება არა მარტო ეკონომიკური მეცნიერების, არამედ ყველა დაგრის მეცნიერებს შეუწყობს ხელს, რაც ქვეყნის კეთილდღეობას წაადგება.

რადგან ზოგადად მეცნიერებაზე დავიწყეთ საუბარი, მოკლედ აქაც შევეხებით საქართველოს მეცნიერთა საბჭოსაც, რომლის შექმნაზე, მიზნებსა და ამოცანებზე ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში ვესაუბრეთ მკითხველს. გავიმეორებთ მეცნიერთა საბჭოს საქმიანობის საკვანძო მიმართულებებს:

- მეცნიერება უნდა იყოს დაფასებული და ხელშეწყობილი საზოგადოების ყველა ფენის მიერ, რადგან სწორედ მეცნიერების დამსახურებაა დღევანდელი კაცობრიობის მიღწევები. მეცნიერების გარეშე დავრჩებოდით მიწათმოქმედების დონეზე;

- საზოგადოებას, და პირველ ყოვლისა, ყველა ხელისუფლებას, რომელიც საზოგადოების წიალიდან მოდის, უნდა ესმოდეს, რომ საზოგადოების განვითარების საფუძველი მეცნიერების განვითარებაა, ხოლო მეცნიერების განვითარებას თავად მეცნიერთა მატერიალური უზრუნველყოფა სჭირდება თუნდაც მინიმალური საარსებო პირობებითა და სამეცნიერო საქმიანობაში შეუფერხებლად მუშაობისათვის;

- მეცნიერისთვის ხელშეწყობა იქნება ის, რომ ხელისუფლება პირველ რიგში დაასაქმებს მეცნიერებს, მათ აიყვანს მრჩველებად, კონსულტანტებად, მისცემს შეკვეთებს, რომ თავიანთი მიმართულებით ჩაატარონ კვლევები, საჭიროების შემთხვევაში ცდებიც და დადონ მეცნიერული დასკვნები, რომლის საფუძველზეც მიღებული იქნება გადაწყვეტილებები;

- მეცნიერთა ხელშეწყობა შეუძლია კერძო სექტორსაც, რათა უპირატესობა მიანიჭონ მეცნიერთა დასაქმებას. აქ შეიძლება კერძო სექტორი წაახალისოს სახელმწიფომ იმით, რომ თუნდაც რამდენიმე წლით მეცნიერის ხელფასი განთავისუფლებულ იქნას საშემოსავლო გადასახადისაგან. ეს დამატებითი მოტივი იქნება მეცნიერთა დასაქმებისთვის;

- მეცნიერთა ხელშეწყობა შეიძლება ამ სახითაც, თუ მეცნიერი შესთავაზებს სახელმწიფო თუ კერძო სექტორს წარმოების ან მართვის ისეთ ფორმას, რომელიც გარკვეულ ეკონომიას/მოგებას მისცემს მას, იდეის ავტორს პრემიის სახით მიეცეს გარკვეული ანაზღაურება ეკონომიიდან/მოგებიდან გამომდინარე;

- მეცნიერთა ხელშეწყობა შეუძლიათ მასმედიის წარმომადგენლებს, ხელი შეუწყონ რა მათი კვლევების პოპულარიზაციას. ვთქვათ, შემოვიღოთ ყველა ტელევიზიაში გადაცემა: „მეცნიერის საათი“ ან „მეცნიერების დროა“ და ა.შ.

ამრიგად, გვსურს კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობა გადაგიხადოთ წინამდებარე ჟურნალით დაინტერესებისათვის და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მოსაზრება და წინადადებები მისაღები იქნება სახელმწიფოს ყველა შესაბამისი სტრუქტურებისთვის.

ღმერთმა დალოცოს ჩვენი მკითხველი და სრულიად საქართველო!

ლოიდ ქარჩავა
04.01.2017 წელი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ლარის კურსის დესტაბილიზაციის მიზეზები და მათი დაძლევის ძირითადი მიმართულებანი



თემურაზ შენგელია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, „საერთაშორისო ბიზნესის“ კათედრის ხელმძღვანელი. E-mail: shengelia.temur@gmail.com

საქართველოში დღეს ძირითადად რამდენიმე ეკონომიკური ხასიათის პრობლემა არსებობს, რომელიც აწუხებს მოსახლეობის ნაწილს და საზოგადოებაში ქმნის დაძაბულ სოციალურ ფონს. თუ ჩვენ გადავაგვლებთ თვალს სოციალური რეველუციების ისტორიას, დავინახავთ, რომ მათი ძირითადი მიზეზი და მოტივატორი იყო და არის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური პირობები. ამ კონტექსტში ახლადარჩეული მთავრობის მიერ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემების დაძლევა არა მარტო ეკონომიკური, არამედ სერიოზული პოლიტიკური საკითხიცაა.

თუ ჩვენ მოვახდენთ საქართველოში არსებული ეკონომიკური პრობლემების რანჟირებას მნიშვნელობის მიხედვით, შეიძლება გამოვეყოთ რამდენიმე ძირითადი საკითხი: ლარის გაუფასურება და ფასების ზრდა; იმპორტ-ექსპორტის დისბალანსი; ეკონომიკაზე მოქმედი ეგზოგენური ფაქტორები: მსოფლიოს სანავთობე ბირჟებზე ფასების უმნიშვნელო შემცირება და საქართველოში ნავთობის ფასების ასიმეტრიული ცვლა; გეოპოლიტიკური ფაქტორები: რუსეთ-უკრაინის ომი, აშშ-ის დოლარის გამყარება, რუსული რუბლის გამყარება და თურქული ლირის და აზერბაიჯანული მანათის დაცემა; ენდოგენური ფაქტორები: საქართველოს ხელისუფლების საინვესტიციო პოლიტიკა და მისი ზეგავლენა ეკონომიკაზე; პროტექციონისტული ტენდენციების შესუსტება სახელმწიფოში და სხვა.

თუ გვინდა გავანალიზოთ ის კორელაციური კავშირი, რომელიც არსებობს ამ პრობლემებსა და ლარის კურსის ვარდნას შორის, დავადგინოთ ხელისუფლების რომელ შტოებზე მოდის პასუხისმგებლობის ხვედრითი წილი ლარის გაუფასურებაზე. უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ ის, თუ რა ფაქტორები ახდენს ლარის კურსზე ზეგავლენას.

ლარის კურსი ყალიბდება ეკონომიკაში არსებული დოლარის და ლარის მასის თანაფარდობით ანუ ვალუტის კურსი განისაზღვრება იმით, თუ ერთ ერთეულ დოლარზე რამდენი ლარი მოდის. ასეთ კურსს, რომელიც განისაზღვრება ამ თანაფარდობით, ეწოდება თავისუფლად მცურავი

კურსი. თუმცა ცალკეული სახელმწიფოები იყენებენ ფიქსირებულ კურსსაც, მაგალითად, ჩინეთი. დოლარზე ლარის მიბმის პირობებში მნიშვნელოვანია ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც გამოიწვევს დოლარის შემოდინებას ქვეყანაში და ამით განსაზღვრავს ლარის სტაბილიზაციას.

რა ფაქტორები ახდენდა ბოლო წლებში ზეგავლენას საქართველოში დოლარის მასაზე და ვინ აგებს პასუხს სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში იმ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელიც იწვევს ლარის დესტაბილიზაციას?

ყველაზე მსხვილ ფაქტორთა ანალიზში შეიძლება გამოვეყოთ ისეთები, როგორც არის:

1. ექსპორტ-იმპორტის ბალანსი;
2. უცხოური ინვესტიციები.

ყველა ამ ფაქტორზე პასუხს აგებს ეკონომიკის სამინისტრო.

მსხვილ ფაქტორებს აგრეთვე მიეკუთვნება:

1. სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკა, განსაკუთრებით მის ხარჯვით ნაწილში;
2. დონორი ორგანიზაციების შემოწირულობები და გრანტები, რაც ზრდის დოლარის მასას;

ამ ფაქტორზე პასუხისმგებელია ფინანსების სამინისტრო.

რა ფუნქცია აკისრია ეროვნულ ბანკს ლარის გამყარების საკითხში? ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქცია არის ზომიერი ინფლაციის შენარჩუნება და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებით ფულის მასის რეგულირება სახ-

საქართველოში THE NEW ECONOMIST

სახელმოიფოს ამ სამი ინსტიტუციის კორდინირებული მუშაობის შემთხვევაში, შესაძლებელია ლარის გამყარება ან პირიქით, მათი არაკორდინირებულობა იწვევს მონეტარულ დესტაბილიზაციას.

ამდენად, თუ რამდენად სწორად წარმართავს თავის საუწყებო სფეროში ეკონომიკის, ფინანსთა მინისტრები და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი საქმიანობას, დამოკიდებულია ის, დაიძლევა თუ არა ლარის გაუფასურების პრობლემა.

განვიხილოთ რა ხდება რეალობაში. როგორც აღვნიშნე, ლარზე ზეგავლენის მომხდენი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი არის ექსპორტ-იმპორტის ბალანსი, რაც უფრო იზრდება ექსპორტი, მეტი ვალუტა შემოდის ქვეყანაში და პირიქით. ეს თანაფარდობა ცნობილია სავაჭრო დეფიციტის სახით. სავაჭრო დეფიციტმა ან ექსპორტ-იმპორტის სხვაობამ ბოლო წლების დინამიკით რეკორდულ ნიშნულს 5 მლრდ. 700 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 20 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 948 მილიონი დოლარი იყო (12 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი - 4,757 მილიარდი დოლარი (30 პროცენტით მეტი).

გამომდინარე იქიდან, რომ C ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების იმპორტი კანადიდან ხორციელდება, საქართველოს 10 უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნის სათავეში სწორედ ეს ქვეყანა მოექცა (1,3 მილიარდი დოლარი), მეორე ადგილს იკავებს თურქეთი (778 მილიონი დოლარი), მესამეს კი რუსეთი (390 მილიონი დოლარი).

წლის პირველ ნახევარში სულ ორი პროდუქტის ექსპორტი გაიზარდა, ესენია: სპილენძის მადანი - 148 მილიონი დოლარი (28 მილიონი დოლარით მეტი) და ღვინო - 46,2 მილიონი დოლარი (7 მილიონი დოლარით მეტი).

საექსპორტო ათეულში შემავალი ყველა დანარჩენი პროდუქტი ისევ ვარდნას განიცდის: 24 მილიონი დოლარით შემცირდა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი, 36 მილიონი დოლარით - ფეროშენადნობები, 4 მილიონი დოლარით - თხილი და კაკალი, 5 მილიონი დოლარით - მინერალური წყლები (40 მილიონი დოლარი).

უარყოფითი სავაჭრო სალდოს მკვეთრი გაუარესება C ჰეპატიტის სამთავრობო პროგრამით არის გამოწვეული.

საიმპორტო საქონელთა ჯგუფში ლიდერობს სამკურნალო საშუალებები, რომელთაც მთლიანი იმპორტის 34% უკავია (1614 მლნ. დოლარი). ამ ჯგუფში კი „ლომის წილი“ მოდის C ჰეპატიტის

მედიკამენტების იმპორტზე (1486 მლნ დოლარი), რომელიც საქართველოს მთავრობას საჩუქრად გადაეცა. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა იმპორტ-ექსპორტის ბოლო მონაცემების მნიშვნელოვანი კორექტირება.[1]

ასევე, გასათვალისწინებელია ნავთობპროდუქტების იმპორტი, რომელსაც უმსხვილეს საიმპორტო საქონელთა ჩამონათვალში მეორე ადგილი უკავია (243 მლნ დოლარი), რაც საერთო იმპორტის რაოდენობის 5%-ს აღწევს. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის პირველი კვარტალის შემდეგ ქვეყანაში საწვავის მოხმარება საგრძნობლად იზრდება, რაც თავის მხრივ ზრდის ქვეყანაში ნავთობპროდუქტების იმპორტს. ამას ცხადყოფს მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც ნავთობპროდუქტების იმპორტი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14,3%-ით არის გაზრდილი.

რაც შეეხება ექსპორტის შემცირებას, ამ მიმართულებით საერთო კლების მაჩვენებელზე დიდი გავლენა იქონია ავტომობილების რექსპორტის შემცირებამ, რაც გამოიწვია რიგი საექსპორტო ბაზრების დაკეცვამ. საქართველოში იმპორტირებული ავტომობილები, რექსპორტზე ძირითადად გადიოდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ბაზრებზე. შარშან აზერბაიჯანში ევრო-4-ის სტანდარტის შემოღებამ, მნიშვნელოვნად შეამცირა ამ ქვეყანაში საქართველოდან იმპორტირებული ავტომობილების ნაკადი. სომხეთის ბაზარი კი, პრაქტიკულად ჩაიკეტა ამ ქვეყნის საბაჟო კავშირში გაწვევრიანების შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკონომიკა და საექსპორტო საქონელი მეტ-ნაკლებად სეზონურია, სავარაუდოა, რომ შემდეგი თვეები ექსპორტის წახალისებისა და გაზრდის კუთხით უფრო აქტიური გამოდგეს.

თვალში საცემია კლება ევროკავშირის მიმართულებით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 6 თვის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი 22 პროცენტით შემცირდა. ამის საპირისპიროდ ისევ იზრდება იმპორტი, რომელიც 1,168 მილიარდი დოლარია (4 პროცენტით მეტი). აქედან გამომდინარე, ევროკავშირთან სავაჭრო დეფიციტი 25 პროცენტის ფარგლებშია.[2]

რაც შეეხება დსთ-ს ქვეყნებს, ამ გაერთიანებასთან სავარეო სავაჭრო ბრუნვა 1,153 მილიარდ დოლარს შეადგენს და მცირდება როგორც ექსპორტი, ასევე იმპორტი. წლის პირველ ნახევარში დსთ-ში, შარშანდელთან შედარებით, 29 პროცენტით ნაკლები პროდუქტი გავიდა, ხოლო იქიდან 8 პროცენტით ნაკლები შემოვიდა. ამ

შემთხვევაში დსთ-ს ქვეყნებზე სავაჭრო დეფიციტი 15 პროცენტია. საქართველო მიეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, სადაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა უახლოვდება მშპ-ს ღირებულებას. მაგალითად, აშშ-ში ეს მაჩვენებელი 23-24%-ის დონეზეა. საქართველოში კი, გაეროს ოფიციალური მონაცემებით, 94%-ის ნიშნულს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ხელი მოეწერა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას, რასაც უნდა მოჰყოლოდა ევროპასთან ვაჭრობის გაფართოება და რუსეთისა და უკრაინის ბაზრების ჩანაცვლება ევროპულით, ხელისუფლების მიერ ბაზრების დივერსიფიკაციის უუნარობის გამო, ეს ვერ მოხერხდა. ამან უარყოფითად იმოქმედა ლარზე, რადგან დოლარი გავიდა ქვეყნიდან, რაც აისახება ლარზე.

დოლარის მასის ზრდაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს ფულადი გზავნილები, მათ სტრუქტურაში 54-55% მოდიოდა რუსეთზე. რუბლი გაუფასურდა და იქიდან ჩარიცხვებმა იკლო. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა მიმდინარე წლის ოქტომბერში 23.3%-ით შემცირდა და 75.5 მილიონი დოლარი შეადგინა. ფულადი გზავნილები შემცირებულია: რუსეთიდან 44.7%-ით (34.6 მილიონი), აშშ-დან უმნიშვნელო მატებაა, 17.5%-იანი კლებაა საბერძნეთიდან (12.2 მილიონი), 7.3%-იანი კი იტალიიდან (8.5 მილიონი). რაც შეეხება მოცულობით მათ შემდგომ ყველაზე მსხვილი გადმორიცხვების მქონე ქვეყნებს, უკრაინიდან შემცირებულია 45.2%-ით (2 მილიონი), ხოლო ისრაელიდან 35.2%-იანი ზრდა ფიქსირდება (1.9 მილიონი დოლარი). [3]

საქართველოდან დოლარის გასვლა 4.1%-ით არის გაზრდილი და 12.5 მილიონ დოლარს შეადგენს. ევროპიდან ფულადი გზავნილების მოცულობა არ შემცირებულა, თუმცა, დოლარში გამოსახული ეს მაჩვენებელი შემცირდა, რადგან ევროს კურსი დოლართან მიმართებაში 20%-ით დაეცა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ლარის გაუფასურებაზე არის საგარეო ვალი, რომელიც ასევე იზრდება. როდესაც სახელმწიფო იღებს ვალს, ვალუტა შემოდის და პირიქით.

მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკა პარმონიზებულია საგადასახდელი ბალანსთან. იგი მოიცავს სახელმწიფო (სამთავრობო სექტორი, სახელმწიფო საწარმოები და ეროვნული ბანკი) და კერძო სექტორის (საბანკო და სხვა სექტორები) საგარეო ვალს.

საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 2016 წლის 31 მარტის მდგომარეობით, 14.6 მლრდ აშშ დოლარი (34.6 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტალის მშპ-ს 107.1 პროცენტია; 2016 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 429.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 6.2 მლრდ აშშ დოლარი (14.7 მლრდ ლარი) მთლიანად სამთავრობო სექტორის ვალია 4.5 მლრდ აშშ დოლარი (10.7 მლრდ ლარი; მშპ-ს 33.1 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალდებულებები - 219.4 მლნ აშშ დოლარი (519.6 მლნ ლარი; მშპ-ს 1.6 პროცენტი), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები შესაბამისად - 801.0 მლნ აშშ დოლარი (1.9 მლრდ ლარი; მშპ-ს 5.9 პროცენტი) და 655.6 მლნ აშშ დოლარი (1.6 მლრდ ლარი; მშპ-ს 4.8 პროცენტი). საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 3.0 მლრდ აშშ დოლარი.

2016 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 180.8 ათასი აშშ დოლარით გაიზარდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო, ეროვნული ბანკის საგარეო ვალდებულებები 3.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა და საკურსო ცვლილებების გამო 3.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. 2016 წლის პირველი კვარტლის ბოლოს ეროვნული ბანკის მთლიანმა ვალდებულებებმა 219.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. [3]

რაც შეეხება შიდა ვალს, მთავრობას კომერციული ბანკებისგან შიდა ვალის აღება გაუიფადა. მხოლოდ 2016 წლის ნოემბერში ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებათა აუქციონზე ერთწლიანი ვადიანობის 45 მილიონი ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა, მათმა საპროცენტო განაკვეთმა 6.13% შეადგინა, რამდენიმე თვის წინ კი ეს განაკვეთი 11%-ს აღარბედა. აუქციონში მონაწილეობა ცხრა კომერციულმა ბანკმა მიიღო, მათმა საერთო მოთხოვნამ 129 მილიონს გადააჭარბა.

საქართველოს მთავრობას 2016 წელს 200 მილიონი ლარის მოცულობის შიდა ვალის აღება ქონდა დაგეგმილი. მთავრობა ამ ვალს 1, 2, 5 და 10-წლიანი ფასიანი ქაღალდების გამოშვებით იღებს. ლარის გაუფასურების, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკისა და გაზრდილი ინფლაციური მოლოდინების გამო, შიდა ვალის აღება გასული წლის ბოლოს გაძვირდა. 2016 წლის იანვარში ერთწლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდებზე განაკვეთი 11.8%-ს შეადგენდა, ამავე პერიოდში 13.2% იყო ორწლიანი, 14.7% ხუთ-

სახალი მკონომისტი THE NEW ECONOMIST

წლიანი და 15.5% ათწლიანი ფასიანი ქაღალდების განაკვეთი. გაზაფხულზე კი ლარის გამყარების, მონეტარული პოლიტიკის შერბილებისა და დაბალი ინფლაციის გამო, მთავრობას შიდა ვალის აღება ისევ გაუიფადა. ივნისში ერთწლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდების განაკვეთი უკვე 7.2%-მდე შემცირდა, აგვისტოში კი 6.1% გახდა. იმის მიუხედავად, რომ ახლა ლარი გაზაფხულთან შედარებით უფრო გაუფასურებულია, საპროცენტო განაკვეთის შემცირება სავარაუდოდ დაბალმა ინფლაციის მაჩვენებელმა და მონეტარული პოლიტიკის შერბილებამ გამოიწვია.

შიდა ვალი სამთავრობო ხარჯების დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს იქცა. მთავრობამ მაქსიმალური 570-570 მილიონის მოცულობის შიდა ვალი 2014-2015 წლებში აიღო. 2016 წელს კი შიდა ვალის მოცულობა 200 მილიონ ლარამდე შემცირდა, რაც სავარაუდოდ გასული წლის ბოლოს გაზრდილმა საპროცენტო განაკვეთებმა გამოიწვია.

წლების მიხედვით შიდა ვალის მოცულობა ასე გამოიყურება: 2010 წელი - 172 მილიონი ლარი; 2011 წელი - 91 მილიონი ლარი; 2012 წელი - 58 მილიონი; 2013 წელი - 150 მილიონი; 2014 წელი - 573 მილიონი; 2015 წელი - 572 მილიონი; 2016 წელი - 200 მილიონი.[3]

ლარის გაუფასურებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, რომლებიც 2016 წლის მესამე კვარტალში ოდნავ გაიზარდა, მეოთხეში შემცირდა. საინვესტიციო აქტივობა მნიშვნელოვნად შეანედა ხელისუფლების მიერ ბოლომდე გაუზრებელი სავიზო რეგულაციის შემოღებამ, რომლის მიხედვითაც მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა ინვესტორზე შეიძლება გაიცეს არაუმეტეს 5 წლის მოქმედების ვადით. ამასთან, უცხოელის საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს 180-დღიან პერიოდს; ინვესტიციურ ნაკადებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ასევე მიწების შექმნაზე რეგულაციის შემოღებამ, რომლის მიხედვითაც შეიზღუდა ინვესტორის შესაძლებლობები; უარყოფითად აისახა ამ პროცესზე ასევე შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილი ცვლილებები. ამან ყველაფერმა მოახდინა ზეგავლენა დოლარის მასის შემცირებაზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით 834 მილიონი აშშ დოლარი შემოვიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პე-

რიოდთან შედარებით 11%-ით მეტია. შემოსული ინვესტიციების 84% ათ უმსხვილეს ინვესტორ ქვეყანაზე მოდის. ინვესტიციების 33%-ით (283 მილიონი დოლარით) პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, რაც შაჰ-დენისის მილსადენის მშენებლობას უკავშირდება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე გამოიყურება: აზერბაიჯანი - 283 2 მილიონი; გაერთიანებული სამეფო - 108 მილიონი; თურქეთი - 85 მილიონი.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით, საინვესტიციოდ ყველაზე მეტი მიმზიდველობით ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა გამოირჩევა, აქ წლის პირველ ნახევარში 377 მილიონი ჩაიდო, შემდეგ მოდის საფინანსო სექტორი-118 მილიონი და ენერჯეტიკა-85 მილიონი. რამდენიმე სექტორში ინვესტიციების კლება შეიმჩნევა. 2015 წლის პირველ ნახევარში სამთომომპოვებელ, დამამუშავებელ მრეწველობაში გასული წლის პირველ ნახევარში 36 მილიონი ჩაიდო. უმსხვილესი ინვესტორების სიაში მოხვდა ოფშორული ზონაც (პანამა). ქართული ბიზნესმენები ოფშორებს ხშირად რეინვესტირებისთვის იყენებენ.

ლარის მასაზე კი ყველაზე აქტიური ზეგავლენა მოახდინა ხელისუფლების ბოლომდე გაუზრებელი პოლიტიკის გამო, კაპიტალის გადინებამ. აქ დიდი როლი ითამაშა საიმიგრაციო და მიწის კანონებმა. საქართველოს რეზერვი არის დოლარში ანუ დოლარზეა მიბმული ლარი, ამიტომ, როდესაც ვამბობთ დოლარი გაუფასურდა რუსულ რუბლთან ან უკრაინულ გრივნასთან შედარებით ეს გასაგებია, მაგრამ თუ დოლარი მყარდება ლარიც უნდა იყოს მყარი. თუმცა ზოგჯერ სარეზერვო კალათის შევსების მიზნით ხელოვნურად ხდება ლარის გაუფასურება. ლარის კურსის ასეთი მყისიერი მოძრაობა არყვეს ნდობის ფაქტორს ეროვნული ბანკის და მთავრობის მიმართ.

ეკონომიკური დესტაბილიზაციის პირობებში, ეროვნულ ბანკს მოკლევადიან პერიოდში შეუძლია მოახდინოს ზეგავლენა ვალუტის კურსზე. მას შეუძლია სავალუტო ბაზარზე ჩარევა დოლარის გაყიდვის ან ყიდვის გზით, რითაც ამცირებს ან ზრდის ლარის მოცულობას; მას შეუძლია რეფინანსირების სესხით ზეგავლენა მოახდინოს საპროცენტო განაკვეთებზე ანუ 7 დღით კომერციულ ბანკებს მისცეს სესხი ლარში, რაც უფრო იაფია ეს სესხი კომერციულ ბანკი მით უფრო იაფად გასცემს მას და პირიქით. რეფინანსირების განაკვეთის დაწვეა ზრდის ფულის მასას და პირიქით. 2015 წლის იანვარში ეროვნულმა ბანკ-



მა გამოაქვეყნა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პირობები ანუ დაიწყო ფულადი მასის შემცირება, რაც „ძვირი ფულის“ პოლიტიკითაა ცნობილი, ანუ მას შეეძლო ან დოლარის მასა გაეზარდა ან ლარის მასა შემცირებინა. ამ შემთხვევაში ის ამცირებს ლარის მასას. რეფინანსირების განაკვეთის ზრდა ამცირებს ფულის მიწოდებას, ეკონომიკაში ლარის მასა შეიკუმშება, მაგრამ როდესაც ეკონომიკა განიცდის ფულის დეფიციტს ტრანსაქციების ღირებულება და საპროცენტო განაკვეთები იზრდება, ჩნდება „ძვირი ფული“ და ეკონომიკური აქტივობა მცირდება. ეს დაარტყამს ისედაც გაჩანაგებულ ქართულ ბიზნესს და ამით ეკონომიკური ზრდის ტემპი დაიწვეს. მოკლევადიან პერიოდში ეროვნული ბანკის ეს პოლიტიკა უზრუნველყოფს მონეტარულ წონასწორობას, მაგრამ შეაფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. რეფინანსირების განაკვეთმა ჩამოიწია 8-დან 4%-მდე. ეროვნული ბანკი უნდა გამოდიოდეს არა მარტო მონეტარული სტაბილიზაციის ინტერესებიდან, არამედ ეკონომიკის ინტერესებიდან. შეცდომა იყო ისიც, რომ 2013 წელს სებ-მა 555 მლნ. დოლარი ამოიღო და გაუშვა რეზერვებში. სებ-მა კარგად იცოდა, რომ 2013 წელს დგებოდა საგარეო ვალის მსხვილი დაფარვების პერიოდი, რაც 2008 წელსვე ცნობილი იყო. ამის გამო, 2013 წელს ვალს ვერ ავიღებდით, მიუხედავად ამისა ამ პერიოდში ეროვნული ბანკმა დაიწყო დიდი რაოდენობით დოლარის შესყიდვა. 555 მილიონი დოლარი ამოიღო ეკონომიკიდან და მიმოქცევაში გაუშვა ლარი, ეს ხდებოდა 2013 წლის ნოემბრამდე. ლარის პირველი გაუფასურების ტალღა, ზუსტად 2013 წლის ნოემბრის შემდეგ დაიწყო, ამის გამო, ეროვნული ბანკი იძულებული გახდა, რომ 220 მილიონი დოლარი დაებრუნებინა ეკონომიკაში. ამ მიზეზითაც არის გამოწვეული ის, რომ ბანკის ამ მცდელობამ ჩამოეწია რეფინანსირების განაკვეთი არ გამოიწვია ლარის გაუფასურების შეჩერება. მიტომ, მან 2015 წლის თებერვალში განახორციელა 40 მილიონი დოლარის ინტერვენცია, თუმცა ისიც უმნიშვნელო და ხანმოკლე ეფექტის აღმოჩნდა.[3]

რეფინანსირების სესხების გაცემა, შეიძლება გამოიყენებოდეს სავალუტო ბაზარზე სპეკულაციებისა და მოსახლეობის გაღარიბებისათვის.

თუ დავაკვირდებით ლარის გაუფასურების მრუდს და შევადარებთ, რეფინანსირების სესხების ზრდის მრუდს, ისინი საკმაოდ ახლოს არიან ერთმანეთთან, აშკარად შეიმჩნევა კორელაცია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხშირად რეფინანსირების სესხი გამოყენებულია

მოკლევადიანი სპეკულაციებისათვის.

ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც დღეს საქართველოს მოსახლეობის წინაშე რეალურად დგას, ეფუძნება სასესხო პორტფელის გადაჭარბებულ დოლარიზაციას. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობა და ეროვნული ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან კონსულტაციის შედეგად, გეგმავს რიგი კომპლექსური ზომების გატარებას, მათ შორის: ბიუჯეტში ძირითადი აქცენტი გადატანილია ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაზე - გაიზრდება ინფრასტრუქტურული პროექტების პორტფელი. უნდა მოხდეს ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება და სტაბილური და მდგრადი ფისკალური გარემოს განმტკიცება.

ლარის დევალვაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ ეროვნული ბანკის მიერ გაცემული რეფინანსირების სესხებია. სებ-მა 2016 წლის ბოლო თვეების განმავლობაში სესხების მოცულობა 250 მლნ-დან 1,3 მლრდ-მდე გაზარდა, რამაც ლარის დასუსტება გამოიწვია.

ბოლო პერიოდში ლარის გაუფასურება, ძირითადად, გამოწვეულია ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში ლარის ზედმეტი, დაუსაბუთებელი მასის გაშვებით. 2016 წლის ბოლო ოთხ თვეში ეროვნულმა ბანკმა მილიარდ ლარზე მეტი ზედმეტი ფულის მასა გაუშვა მიმოქცევაში ე.წ. რეფინანსირების სესხების სახით.

2016 წლის ივნისში ე.წ. რეფინანსირების სესხების მოცულობა 250 მილიონ ლარამდე შემცირდა. სწორედ იმ პერიოდში დასტაბილურდა კიდევ ლარი, თუმცა ივნისის შემდეგ ეროვნული ბანკი ისევ დაუბრუნდა ე.წ. რეფინანსირების სესხების მანიკერ პრაქტიკას და დღეისთვის მისმა მოცულობამ 1,3 მილიარდს მიაღწია. როგორც ვხედავთ, ოთხ თვეში მიმოქცევაში ზედმეტად გაშვებულია 1 მილიარდ ლარზე მეტი, რამაც გამოიწვია ლარის გაცვლითი კურსის დაცემა.[3]

ცხადია, სებ-ი მოკლევადიანი ლიკვიდურობის პრობლემის მოხსნისათვის კომერციულ ბანკებს აწვდის და მომავალშიც უნდა მიაწოდოს სესხები, მაგრამ ეს სესხები ამ მიზნის ზუსტად შესატყვისი მოცულობისა უნდა იყოს და მხოლოდ დანიშნულებისამებრ მიიმართებოდეს: მოუხსნას ბანკებს დროებითი ლიკვიდურობის წარმოქმნილი პრობლემა. ნებისმიერი სხვა დამატებითი სესხი უნდა იყოს მკაცრად რეგლამენტირებული და გაწერილი – ბანკი თავისუფალი არ უნდა იყოს მის გამოყენებაში და უნდა გამოიყენოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რაც განაცხადში იქნება მითითებული. სესხის გაცემის მიზანშეწონილობას

სხალი მკონომისტი THE NEW ECONOMIST

კი სები განსაზღვრავს.

სებ-მა უნდა შეცვალოს სავალუტო ვაჭრობის წესები, ამ ბაზარზე თავისუფალი მოქალაქეებიც უნდა იქნან დაშვებული და ბანკების როლი შეიზღუდოს, – მათ მხოლოდ აგენტის ფუნქციის შესრულება დაევალოს (ანუ მოქმედებდნენ მხოლოდ კლიენტების დავალების ფარგლებში), შეიცვალოს ის პირობები, როდესაც დღეს ბლუმბერგის ტერმინალზე მხოლოდ 3 ბანკი ვაჭრობს.

სახელმწიფო ხაზინის მიერ გამოქვეყნებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2016 წელს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მისაღები ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების/კრედიტების მხოლოდ 1.5%-ია მიღებული. ანუ ვერ მივიღეთ დაახლოებით 285 მილიონი და ის გადავიდა 2017 წლის საერთაშორისო ორგანიზაციების დავალიანებაში. ამ თანხების ჩარიცხვის შემთხვევაში სავარაუდოდ ღარი ასე გაუფასურებული არ იქნებოდა. 0%-ზეა ბიუჯეტის დამხმარე კრედიტების შესრულება, საიდანაც წელს საქართველოს 164 მილიონი დოლარი უნდა მიეღო. ბიუჯეტის დამხმარე გრანტების სახით ქვეყანას 52 მილიონი დოლარი უნდა მიეღო, ამ თანხის მხოლოდ 6.2%-ია ჩარიცხული. საერთო ჯამში, ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების/კრედიტების მხოლოდ 1.5%-ია მიღებული.[4]

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა შეძლებდა ამ დაფინანსების მიღებას, სავარაუდოდ, ღარის კურსი უფრო მყარი იქნებოდა, რადგანაც მსგავსი მოცულობის სავალუტო შემოდინება ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს შეამცირებდა.

ეკონომიკის სავალალო მდგომარეობაზე მეტყველებს ისიც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებას 2016 წელს 132 მლნ. ღარი დააკლდა. საგადასახადო შემოსავლებში ყველაზე დიდი დანაკლისი დღგ-ის გადასახადშია, იგი შესრულდა 87,7%-ით, რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა. ამ კლების დასაფინანსებლად მთავრობამ შიდა ვალი დაგეგმილზე დიდი მოცულობით აიღო. ბიუჯეტით 2016 წლის 9 თვეში 200 მილიონის მოცულობით შიდა ვალის აღება იყო გათვალისწინებული, თუმცა მთავრობამ ამ პერიოდში 211 მილიონის შიდა ვალი აიღო. ამას დაემატა არჩევნების წინა პერიოდში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდა, რამაც ასევე უარყოფითად იმოქმედა ღარზე.[4]

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მსოფლიოს ეკონომიკური მიმოხილვა განაახლა. ფონდის პროგნოზით, 2016 წელს საქართველოს ეკონომიკის რეალური ზრდა 2.5% იქნება, 2017 წელს კი

ეკონომიკური ზრდის პროგნოზი - 4.5%. ფონდი 2015 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული პროგნოზით 2016 - 2017 წლებში საქართველოსთვის 3% და 5%-იან ზრდას ელოდა. ეკონომიკური ზრდის პროგნოზის შემცირება რეგიონში გაუარესებულმა მოლოდინებმა გამოიწვია.

საქართველოს მთავრობა წელს 3%-იან ზრდას ელოდება, რაც ფონდის პროგნოზს 0.5%-ით აღემატება. რაც შეეხება ფასებს, სავალუტო ფონდის პროგნოზით, წელს საქართველოში სამომხარებლო ფასების ცვლილება (ინფლაცია) 4.3% იქნება, 2017 წელს კი ინფლაციის პროგნოზი 4.5% იქნება. საქართველოს ეროვნული ბანკი კი წელს 4.5%-5%-იან ინფლაციას ელოდება.[5]

რეგიონის ქვეყნებიდან რამდენიმეში უარყოფით ეკონომიკურ ზრდას ელოდება, მათ შორისაა, რუსეთი და აზერბაიჯანიც, რაც სავარაუდოდ საქართველოს ეკონომიკაზეც მოახდენს უარყოფით გავლენას. რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზები კი ასე გამოიყურება:

- რუსეთი 2016 წელი მშპ-ის ზრდა - (-1.8%)
- აზერბაიჯანი 2016 წელი მშპ-ის ზრდა - (-3%)
- ბელარუსი 2016 წელი მშპ-ის ზრდა - (-2.7%)
- ყაზახეთი 2016 წელი მშპ-ის ზრდა - 0.8%
- სომხეთი 2016 წელი მშპ-ის ზრდა - 1.8%
- უკრაინა 2016 წელი მშპ-ის ზრდა - 1.5%

2016 წლის საქართველოს ბიუჯეტი 3%-იან ზრდის პროგნოზს ეფუძნება, თუ ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა 3%-ზე ნაკლები იქნა ამან ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება შესაძლოა რისკის ქვეშ დააყენოს.[5]

საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2010 წლიდან მოყოლებული საშუალოდ 6.1%-ს შეადგენდა, თუმცა, 2013 წლიდან მისი ტემპი დამუხრუჭდა და დაგეგმილი 6%-ის ნაცვლად 3.3% შეადგინა. 2014 წელს მთავრობას 5%-იანი ეკონომიკური ზრდა ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა, ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესების გამო ზრდამ 0.4%-ით ნაკლები შეადგინა. 2015 წელს კი, ეკონომიკური ზრდა 2.8% იყო, რაც მთავრობის გეგმას 0.8%-ით აღემატებოდა.[5]

როგორ გვესახება ამ ჩიხში შესული მდგომარეობიდან გამოსავალი? ხელისუფლებამ ორიენტაცია უნდა აიღოს იმ ფაქტორების გააქტიურებაზე, რომლების იწვევენ დოლარის მასის ზრდას. მაგრამ ეს არის ხანგრძლივი პროცესი და მოითხოვს დროისა და ენერჯის დაუზოგავ ხარჯვას. ღარის გაუფასურების გადაბრალება მხოლოდ სავარყოფითად ფაქტორებზე მთავრობის მცდარი პოზიციას, უნდა



ვადიაროთ და გავითავისოთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში დაშვებული შეცდომები, მათი სოციალური შედეგები, დავსახოთ მათი აღმოფხვრის გზები. ლარის გაუფასურებამ გაზარდა სოციალური უთანასწორობა ქვეყანაში. მდიდრები უფრო გამდიდრდნენ, ხოლო ღარიბები უფრო გაღარიბდნენ. გარდა ამისა, ლარისადმი ნდობა შემცირდა, მთავრობის ასეთი პოლიტიკა არ შეიძლება დადებითად შეფასდეს, ის ვერ მოუტანს ქვეყანას ეკონომიკურ წარმატებას, რაც ისედაც გაღარიბებული მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბების საწინდარი გახდება.

რაც შეეხება მთავრობის პროგრამას ის ოპტიმისტურად გამოიყურება. ლარის კურსის ბოლოდროინდელმა დეველვაციამ უკვე უშუალოდ მას შეუქმნა პრობლემა. თუკი ბოლო დრომდე ხელისუფლების წარმომადგენლები ოპტიმისტურ განწყობას ინარჩუნებდნენ, არჩევნების შემდეგ კუთხეში მიმწვედელი ადამიანებით გამოიყურებიან. საქმე ისაა, რომ ლარის გადაჭარბებულმა გაუფასურებამ მთლიანად გააჩერა ეკონომიკა, პრობლემა შეუქმნა წარმოებას, ექსპორტს, საფრთხის წინაშე დააყენა ბიუჯეტის შესრულება, მთავრობას გაუძვირა საგარეო ვალის მომსახურება, გაზარდა ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კოლაფსის კონტურები თანდათან გამოიკვეთა. ამიტომ, მთავრობა ბოლოსდაბოლო გამოფხიზლდა და ეროვნული ვალუტის ბედით სერიოზულად დაინტერესდა, მაგრამ ეს დაგვიანებულია. უკვე იმდენი რამ არის გაფუჭებული, უკონტროლოდ თავის ნებაზე მიშვებული, ყველაფრის გამოსწორება წარმოუდგენლად ძნელი იქნება. არადა, ლარის გამყარება უკვე სასიცოცხლოდ აუცილებელია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, საფრთხე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და უშუალოდ სამთავრობო მიმართულებას ეხება.

სამთავრობო პროგრამას, რომელიც, როგორც მინისტრთა კაბინეტი აცხადებს, მოიცავს ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროს – ეკონომიკას, განათლებას, ჯანდაცვას, დასაქმებას, უსაფრთხოებასა და სხვა ასპექტებს. უახლოესი ოთხი წლის პროგრამაში „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ აღნიშნულია, რომ სამთავრობო პროგრამა მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს და მიმართულია ბიზნესის, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროების განვითარებაზე, სოციალური პრობლემების გადაჭრასა და უსაფრთხოების საკითხებზე.

საქართველოს მთავრობა პირობას დებს, რომ ყველა ეკონომიკურ პროგრამას განახორციელებს ისე, რომ ამან ამავედროულად ხელი შეუწყოს სიღარიბის შემცირებას და ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას ადამიანების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებით. საქართველოს ეროვნული ბანკის მუშაობაში ჩარევა არ იგეგმება. მთავრობა ეროვნულ ვალუტაში კრედიტების გაზრდის პირობას დებს. მსოფლიო ეკონომიკაში ნეგატიური პროცესების (რომლებიც პირველ რიგში, ეროვნული ვალუტის კურსზე და პროდუქტების ფასებზე აისახება) ნეიტრალიზებას ახალი მთავრობა ხარჯების ოპტიმიზაციის ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების, პროგრამული ბიუჯეტის პრინციპის უზრუნველყოფისა და ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის გზით აპირებს. სახელმწიფო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ იმდონეზე დარჩება, რომელიც ქვეყნის საინვესტიციო იმიჯსა და სტაბილურ საკრედიტო რეიტინგს უზრუნველყოფს, ნათქვამია პროგრამაში. დასაქმება და განათლება უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით, საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემადაა მიჩნეული. მომავალი მთავრობა სამუშაოს მძებნელი მოსახლეობის განათლების დონის შრომის ბაზართან შესატყვისობის უზრუნველყოფას აპირებს. ამისთვის იგეგმება საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, სამუშაოს მძებნელთა და დამსაქმებელთა კოორდინაციის უზრუნველყოფა, ინფორმაციული მხარდაჭერის მიწოდება პროფესიის ასარჩევად და კადრების გადამზადება. ამ მიზნით საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში დაფინანსების ახალი სისტემა გაჩნდება, რომელიც ორიენტირებული იქნება იმ მიმართულებებსა და სპეციალობებზე, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის და დაკავშირებულია ეკონომიკურ გაძლიერებასთან. ახალი მთავრობა ასევე აპირებს პროფესიული განათლების სისტემის არსებით რეფორმირებას. რეფორმა გულისხმობს სახელმწიფოს, რომელიც აფინანსებს პროფგანათლებას, და კერძო სექტორის თანამშრომლობას იმგვარად, რომ დამსაქმებელმა და სასწავლებელმა მომავალ სპეციალისტს ერთობლივად ასწავლონ. პროგრამის თანახმად, დამსაქმებლების მონაწილეობით პრიორიტეტული მიმართულებები გამოიყოფა. დამსაქმებლები თვითონ შეიმუშავენ სწავლების პროგრამას და მოსწავლეების შეფასებაში მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოში ასევე გაჩნდება განათლების ახალი სახ-

ეობა – სამეწარმეო განათლება. ეს სტუდენტებს საშუალებას აძლევს, პროფესიის დაუფლებასთან ერთად სამეწარმეო საქმიანობის მხარდამჭერ ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა. ახალი მთავრობა ასევე აპირებს პროგრამის „ცხოვრება გრძელდება“ ამოქმედებას, რომელიც შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პენსიონერების დასაქმებას მოიაზრებს. პოლიტიკური საქმიანობა ზოგისთვის ბიზნესია. მომავალი მთავრობის პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბიზნესის განვითარების ხელშეწყობასა და მომავალ ეკონომიკურ რეფორმებს. ახალი მთავრობა პირობას დებს, რომ დაიცავს საკუთრების ხელშეუხებლობას და უძრავი ქონების ხელყოფის წინააღმდეგ მექანიზმის ამუშავებას აპირებს, თუ საქმე სასამართლო გარჩევას არ უკავშირდება. ასევე იგეგმება საკუთრებასთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფა. პროგრამით გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20 პარტია დაფინანსდება. მთავრობა უახლოეს ოთხ წელიწადში საპენსიო სისტემის სრულ შეცვლას აპირებს. კერძო სექტორში დასაქმებულთათვის შემოიღებენ დაგროვებით პენსიას. კერძო საპენსიო სისტემა შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეს, შექმნას დანაზოგი, რომელიც წლების განმავლობაში დასაქმებულის მიერ გამოთქმული ხელფასის პირდაპირპროპორციული იქნება. ამასთან, პენსიის დაგროვებაში მონაწილეობას მიიღებენ დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო. მთავრობა დარწმუნებულია, რომ კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემას აქვს ეკონომიკის მასტიმულირებელი ეფექტი. კერძო დანაზოგების ზრდა, რაც ნიშნავს გრძელვადიანი ფინანსური რესურსის მობილიზებას, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებას და, საბოლოოდ, დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე. პროგრამაში გათვალისწინებულია კეთილდღეობის შეფასების კრიტერიუმების ცვლილება და სუბიექტური ფაქტორების გამორიცხვა. მთავრობა დახმარებას ჰპირდება ხანდაზმულ ადამიანებს, იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ლტოლვილებს, ასევე ეკომიგრანტებს. საქართველოს ახალი მთავრობა უახლოეს ოთხ წელიწადში საყოველთაო დაზღვევის პროგრამის შენარჩუნებას აპირებს, მაგრამ რამდენადმე სახეცვლილი ფორმით. პროგრამის თანახმად, უფასო სამედიცინო დაზღვევა ექნება ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელსაც შემოსავალი არა აქვს. დასაქმებული მოქალაქეები თავის სამედი-

ცინო დაზღვევის საფასურს თავად გადაიხდიან. მათთვის, ვინც სახელმწიფო დაზღვევით ისარგებლებს, მომავალი მთავრობა ოჯახის ექიმის როლის გაზრდას გეგმავს. ეს ექიმი დაავადებების პროფილაქტიკას ჩაატარებს, რაც მთავრობისთვის პრიორიტეტულია. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაგრძელდება ჯანდაცვის სპეციალიზებული პროგრამების დაფინანსება - C-ჰეპატიტის, ფსიქიკური და ონკოლოგიური დაავადებების. საქართველოს მთავრობის პროგრამაში პირველად მოხვდა პუნქტი ქვეყანაში სამედიცინო განათლების გაუმჯობესების შესახებ, როგორც ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების ნაწილი. ექიმების პროფესიული ჩვევების გაუმჯობესებისთვის მთავრობა მათ განათლებაზე ზრუნვას დიპლომის აღების შემდეგაც აპირებს. საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება. საქართველოს მომავალი მთავრობა არ აპირებს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შეცვლას — უარის თქმას ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე და რუსეთის ხელისუფლებასთან პირდაპირ დიალოგზე. პროგრამის თანახმად, საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეა აშშ, ხოლო საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამასთან, იგეგმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულების პირობების დაცვა და კონფლიქტის ესკალაციის პრევენციისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა. ასევე, მთავრობა აპირებს ებრძოლოს ანტიდასავლურ პროპაგანდას მოსახლეობის ინფორმირებულობის გზით. როგორ შეგვიძლია შევამციროთ იმპორტი და გავზარდოთ ექსპორტი ადგილობრივი წარმოების ხარჯზე? საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ინსტიტუციური და საკანონმდებლო სისტემის განვითარება დაიწყო 1990-ანი წლების ბოლოს. 1999 წელს მიღებულია კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, შეიქმნა „მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“. აღნიშნული ორგანიზაციების კომპეტენციაში შედიოდა მცირე საწარმოთა ხელშეწყობის ღონისძიებებისა და სპეციალური დახმარების პროგრამების განხორციელება. ამის გარდა, არსებობდა 1994 წელს დამტკიცებული კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც ზოგადად არეგულირებდა ბიზნესს, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესს. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 ივნისის №309 ბრძანებულების საფუძველზე დამტკიცებული იქნა „2002-2004 წლებში მცირე და



საშუალო საწარმოების სახელმწიფო დახმარების პროგრამა“. აღნიშნული პროგრამა გულისხმობდა საწარმოთათვის სახელმწიფო დახმარების აღმოჩენას ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებით:

1. საფინანსო დახმარება:
 - მცირე მოცულობების პირდაპირი სესხები;
 - მცირე საწარმოთათვის გარანტიების გაცემა კომერციულ ბანკებში სესხების მისაღებად;
 - საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება.

საწარმოთა ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სპეციალური ორგანიზაცია გასცემდა გარანტიებს შერჩეულ მცირე და საშუალო საწარმოებზე იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ კომერციული ბანკების მოთხოვნებს გირაოს ანდა ბიზნესრისკებთან დაკავშირებით. სუბსიდირების მიზანს წარმოადგენდა კომერციული ბანკების მაღალი საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რათა კრედიტის საფასური მისაღები ყოფილიყო საწარმოთათვის. საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირების პროგრამა გამოიყენებოდა მთავრობის მიერ წინასწარ განსაზღვრულ პრიორიტეტულ სფეროებში ეკონომიკური და სოციალური პროექტების დასაფინანსებლად.

2. საინფორმაციო, საკონსულტაციო, განათლებისა და ტრენინგის სფეროები: პროგრამა მიზნად ისახავდა მცირე და საშუალო საწარმოთა მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას საინფორმაციო-საკონსულტაციო სფეროში. პროგრამის რეალიზაციის პროცესში მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი ასრულებდა ორ ძირითად ამოცანას:

- მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ძირითადი საშუალებებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- საწარმოთა პერსონალის ტრენინგისა და სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

კანონი „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ გაუქმებულ იქნა 2006 წელს. 2004 წელს ოფიციალურად დეკლარირებულ იქნა ლიბერალური ეკონომიკის კურსი, რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობდა ბიზნესში ჩაურევლობის პრინციპის დანერგვას და ამასთანავე ყველა საწარმოსათვის თანაბარი პირობების შექმნას განურჩევლად მათი ზომისა. შესაბამისად, მთავრობა ესწრაფოდა ხელსაყრელ ბიზნესგარემოს, ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის, ლიცენზიებისა და ნებართვების გამარტივებული სისტემის ამოქმედებას. „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“

კანონის გაუქმების შემდეგ განსაზღვრებები მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ გადატანილ იქნა კანონში „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“. დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობაში მხოლოდ კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ გვაძლევს მცირე ბიზნესის სრულფასოვან განსაზღვრებებს.

უნდა აღინიშნოს იმის თაობაზე, რომ მიუხედავად მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის კანონის გაუქმებისა, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის №110 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებულ იქნა პროგრამა „დასაქმება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით“.

სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესისათვის დასახმარებლად ორგანიზებული პროექტების კუთხით ასევე აღსანიშნავია თბილისის მერიის პროგრამა „დაიწვე შენი ბიზნესი მერიის დახმარებით“.

2006 წელს საქართველოს კანონის „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“ გაუქმებას, როგორც პრაქტიკოსები, ისე მეცნიერები მუდმივად აკრიტიკებდნენ. ისინი წერდნენ, რომ მიუღებელია მთავრობის პოლიტიკა, რომ თითქოს „ბიზნესი არის ბიზნესი და მცირე ბიზნესის ცალკე გამოყოფა არ შეიძლება“.

მართალია, „მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“ კანონი ჯერაც არ არის აღდგენილი, მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში მოსულმა ახალმა მთავრობამ მცირე ბიზნესისთვის პირობების შექმნა 2014 წლიდან დაიწყო. ამ წელს დაფუძნდა „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“. ამის გარდა, საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორისაა: საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, რომელიც დაფუძნებულია დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყების სახით; საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია; საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია.

ბიზნეს-ასოციაციებს ესაჭიროებათ შესაძლებლობების გაძლიერება ევროკავშირის პოლიტიკასთან მიმართებით, რათა ხელი შეუწყონ მცირე და საშუალო მეწარმეობას ამ მოთხოვნებთან ადაპტაციაში. ამასთან, მნიშვნელოვანია როგორც ასოციაციების მიერ მეწარმეობთან ურთიერთობის გადრმავევა, ასევე, თავად ამ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გადრმავევა, რათა მოხდეს მცირე და საშუალო მეწარმეობაზე ორიენტიერ-

ებული სერვისების ეფექტიანობის გაუმჯობესება. ყოველივე ამის პარალელურად ქვეყნის ახალმა მთავრობამ შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები და წამოიწყო ინიციატივები, მათ შორისაა სახელმწიფო პროგრამა „წარმოე საქართველოში“.

ეს პროგრამა ითვალისწინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნას, არსებული საწარმოების გაფართოების (გადაიარაღების) ხელშეწყობას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. პროგრამას ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ები – მეწარმეობის განვითარების სააგენტო, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. 2015 წელს „წარმოე საქართველოში“ დაემატა ორი ახალი მიმართულება: ა) სასტუმროების განვითარების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ფრანჩაიზის ხარჯების დაფინანსებას და ბ) კინონდუსტრიის ხელშეწყობა.

2014 წელს გამოჩნდა საქართველოს მთავრობის ახალი ინიციატივებიც. ამ წელს შემუშავდა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020“, ხოლო 2015 წელს სამთავრობო პროგრამა – „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“. ორივე დოკუმენტში ხაზგასმულია ძლიერი, კერძო სექტორის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეობის მნიშვნელობა.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო – 2020“-ში ნაჩვენებია მთავრობის პოლიტიკა, ზოგადად, კერძო სექტორის მიმართ. მასში ვკითხულობთ: ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპია კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფა. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას განიხილავს, როგორც ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას. „საქართველო – 2020“-ის ძირითადი ამოცანაა აღმოფხვრას ის ბარიერები, რომლებიც აფერხებს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის სტაბილურ ზრდას.

ამავე დოკუმენტში საქართველოს მთავრობა

განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მცირე, საშუალო და დამწყები ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდაზე. ამ მიმართულებით ამ დოკუმენტში ჩაწერილია შემდეგი:

- მცირე, საშუალო და დამწყები ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნება მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომლის მთავარი მიზანი იქნება მცირე და საშუალო მეწარმეთა უნარების ამაღლება, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დამწყები ბიზნესის დაფინანსება და ასევე, მეწარმეთა საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება.

- საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ბიზნესინკუბატორების განვითარებას, სადაც მოხდება პოტენციური მეწარმეების უნარების, მათ შორის, სამეწარმეო უნარების განვითარება, მათი საინვესტიციო რესურსების შესახებ გათვითცნობიერებულობის ამაღლება.

სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ განსაზღვრავს მთელ რიგ პრიორიტეტებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით. უახლოეს მომავალში მისაღწევ მიზანთა შორის უმთავრესად დასახელებულია უმუშევრობის და სიღარიბის შემცირება. პროგრამაში ასევე ხაზგასმულია მეწარმეობის მხარდაჭერის, განსაკუთრებით მცირე, საშუალო და დამწყები მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (სამეწარმეო ცოდნისა და შესაძლებლობების გაძლიერების, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის, საექსპორტო პოტენციალის გაძლიერების, ინოვაციებზე და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით და სხვ.) აუცილებლობა.

„წარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მიკრო და მცირე სამეწარმეო აქტივობების ხელშეწყობას ფინანსური მხარდაჭერის და სამეწარმეო უნარების ამაღლების კუთხით.

სხვა შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტებიდან მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტებია:

1. 2010-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია. (მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს რეგიონებში მცირე და საშუალო მეწარმეობის და დამწყები ბიზნესების განვითარების მხარდაჭერას ტრენინგების, ფინანსებზე და ინოვაციებზე



ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სხვადასხვა ინსტიტუტების, მექანიზმებისა და საშუალებების განვითარების, მათი ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით).

2. 2015-2020 წლების საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (სტრატეგია განსაზღვრავს აგრობიზნესში მოქმედი მეწარმე-სუბიექტების, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმეობის და დამწყები ბიზნესის მხარდაჭერას. მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების განვითარებას. სტრატეგია ასევე მოიცავს აგრობიზნესში მოქმედი საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის მხარდაჭერის, სპეციფიკური ტრენინგების, ექსპორტის მხარდაჭერის და სხვა გზებით).

3. DCFTA-ის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა (მოიცავს მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სპეციალურ ღონისძიებებს, როგორცაა: DCFTA-ის ფარგლებში დაახლოებული კანონმდებლობის განხორციელებისთვის ადგილობრივი მეწარმეების მომზადებას. მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერას სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური საშუალებებით).

დაბოლოს, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახით მიღებული ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი არის „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის (2015 წ.)“. ეს 6 განყოფილებიანი დოკუმენტი მთლიანად ეძღვნება საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სამომავლო განვითარების ხედვას. იგი ასეთი სტრუქტურითაა შედგენილი: ეკონომიკისა და მთავრობის პრიორიტეტების მიმოხილვა, მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის მიმოხილვა, მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის SWOT – ანალიზი, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანი და ამოცანები, მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები, განხორციელება და მონიტორინგი.

ცხადია, ჩვენ არ შევუდგებით ამ დოკუმენტის მთლიან განხილვას, კერძოდ, იმ ნაწილისას, რომელიც ახასიათებს მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის დღევანდელ მდგომარეობას, რადგან იგი სხვადასხვა ინფორმაციით ყველასთვის ცნობილია, არამედ, წარმოვადგენთ და შევა-

ფასებთ ამ ნორმატიული დოკუმენტის იმ ნაწილს რომელიც ეხება საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს. ამ საკითხს მოცემულ დოკუმენტში უკავია 22 გვერდი. საკითხის ასეთი მოცულობით წარმოდგენა უკვე იმას მიგვანიშნებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მნიშვნელობა მთელი სისრულით გაითავისა საქართველოს მთავრობამ და გადაწყვიტა მართლაც დაუდგეს მას მხარდამჭერ პარტნიორად და აამუშაოს იგი ქვეყნის ეკონომიკის გასაძლიერებლად და სიღარიბის დასამარცხებლად.

დასახელებულ დოკუმენტში საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებისთვის და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიაში დასახულია შემდეგი მიმართულებები:

საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ აღნიშნული სექტორის ზრდის და განვითარების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკვე არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები, ისინი გაძლიერებას საჭიროებენ. მიზანშეწონილია, ახლად შექმნილი მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შემდგომი გაძლიერება ბიზნესისთვის მოთხოვნაზე ორიენტირებული სერვისების განვითარებისთვის.

ბიზნეს-ასოციაციებს და სამთავრობო ორგანიზაციებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია მცირე და საშუალო საწარმოთა საჭიროებებზე. ამ ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა და კონსულტაციები კერძო სექტორთან, ისევე როგორც ერთმანეთთან, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შედეგებზე ორიენტირებული დახმარების პროგრამების შემუშავებას. ევროპული მცირე ბიზნესის აქტის პრინციპი – „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ ხაზს უსვამს მცირე და საშუალო მეწარმეობთან კონსულტაციების მნიშვნელობას, მათი მოთხოვნების გათვალისწინების და არაპროპორციული ტვირთის დაკისრების თავიდან აცილების მიზნით. ამ მხრივ, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ეფექტური მექანიზმი. არ არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეობთან თანამშრომლობის ფორმალური

პლატფორმა. მსგავსი პლატფორმის შექმნა მნიშვნელოვანია როგორც რეგულაციებთან დაკავშირებით მათი მოსაზრების გაზიარების და სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს-გარემოს ფორმირების, ასევე, პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების თვალსაზრისითაც.

საქართველოში არ არსებობს რეგულაციების გავლენის შეფასების ჩამოყალიბებული სისტემა (RIA), ხორციელდება მხოლოდ ახალი რეგულაციების შესაძლო ზეგავლენის (როგორც სამეწარმეო გარემოზე, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტებზე) მარტივი შეფასება. შესაბამისად, არ არსებობს სიდრმისეული ანალიზი, თუ რა გავლენა შესაძლოა მოახდინოს ახალმა რეგულაციამ ბიზნეს-სექტორზე, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება.

ამ დოკუმენტით ქვეყანაში საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს შემდგომი გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი პრიორიტეტული ღონისძიებები შემდეგია:

- ბიზნესის დახურვის და გადახდისუნარიანობის პროცედურების გაუმჯობესება.
- მცირე და საშუალო საწარმოთა გამარტივების განახლება.
- საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება. მცირე და საშუალო მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება ხელს შეუწყობს ამ სექტორის შემდგომ განვითარებას. ხელი შეეწყობა

ბიზნესასოციაციების და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობას როგორც კერძო სექტორთან, ასევე, თავად ამ ორგანიზაციებს შორის.

საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება. საჯარო და კერძო სექტორს, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმომადგენელთა შორის დიალოგის და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ინსტიტუციურ დონეზე შეიქმნება პლატფორმა, რომელიც საფუძველს ჩაუყრის რეგულარული და სტრუქტურირებული დიალოგის წარმოებას. ეს დაეხმარება მთავრობას, შეიმუშაოს ეფექტური პოლიტიკა კერძო სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისთვის.

პრიორიტეტული ეკონომიკური კანონმდებლობის რეგულირების შეფასების სისტემის (RIA) შექმნა. RIA-ს სისტემის შექმნა და გამოყენება დაეხმარება მთავრობას შეაფასოს როგორც ახალი, ასევე არსებული რეგულაციების გავლენა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორზე. RIA-ს სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოებზე არაპროპორციული ტვირთის დაკისრების თავიდან აცილებას და ასევე, იმ რეგულაციების გაუქმებას (შეცვლას), რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება მცირე და საშუალო საწარმოებს.

მიუხედავად ამ ნორმატიული დოკუმენტების ფართო შინაარსობრივი დატვირთვისა, მათი პრაქტიკული რეალიზაცია სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ჯერაც ვერ ხერხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.economy.ge>;
2. <http://www.geostat.ge>;
3. <https://www.nbg.gov.ge>;
4. <http://treasury.ge>;
5. <http://www.imf.ge>;

Causes of Lari Exchange rate instability and main directions of tackling this issue.

Teimuraz Shengelia
Doctor of Economics, Full professor,
Head of International Business Department,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The article analyzes the causes of Georgian Lari instability and its impact on the economy. The GEL stabilization trends and policies implemented by government.

დოლარის, ევროსა და ლარის ტრიადა - მოლოდინები და რეალობები



ნიკა შენგელია
 ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.
 ტელეფონი: 579 481001
 E_mail nikasg@mail.ru

სტატიაში განხილულია დასახელებული ვალუტების კურსების დღევანდელი ვითარებები და გაკეთებულია ვარაუდები მათი მომავალი პერსპექტივების შესახებ.

ავტორი საკუთარ კომენტარებს უკეთებს ევროპის ცენტრალური ბანკის ყოფილი და ახალი თავკაცების ტრიუმფს და მარიო დრაგის მოლოდინებს ამ სფეროში. იგივეს აკეთებს იგი აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის მიმართ და აკეთებს დასკვნას ევროს და დოლარის სავარაუდო მომავალზე.

სტატიის ავტორი ქართული ვალუტის ლარის სტაბილიზაციისთვის რამდენიმე რეკომენდაციას აძლევს საქართველოს მთავრობას.

შესავალი

ცნობილია რომ მიმდინარე წლის დასაწყისიდან ლარის კურსმა დოლარის მიმართ ვარდნა დაიწყო და შემაშფოთებელ ნიშნულს მიაღწია. დღეს იგი 1\$=2.82 ია (20 დეკემბერი). ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის. მეტ-ნაკლებად იგივე ხდება ყველა განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებშიც.

საქართველოს მთავრობის 10 პუნქტიან გეგმაში ამის დასარეგულირებლად დედოლარიზაცია არის შემოთავაზებული. ამ ეტაპზე ამ პოზიციის გატარების არც სტრატეგიაა შემუშავებული და არც ალგორითმი, რომც იყოს საქმეს ვერ უშველის. საჭიროა პრობლემის შინ და გარეთ ფართო ხედვა და მისი ინკლუზიური ანუ სხვადასხვა ღონისძიებების ჩართულობებით გადაწყვეტა.

1. ევროკავშირისა და აშშ-ს მოლოდინები დოლარისა და ევროს სტაბილიზაციის მიმართ.

ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის მარიო დრაგის ბოლო გამოსვლაში გაისმა რამდენიმე საყურადღებო მესიჯი, რომლის გაანალიზებაც გვადლევს 2017 წელს ევროპულ საფონდო ბაზრებზე სიტუაციების განვითარების გარკვეულ სურათს.

მისი განცხადებით მინიმუმ 6 თვე კიდევ იქნება შენარჩუნებული რბილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. გარდა ამისა, შემცირებული იქნება ობლიგაციების "მოცულობებით" შესყიდვის პროგრამები, 60-80 მილიონი ევროს ფარგლებში თვიურად. ანუ ეს ნიშნავს, რომ ევროპის ცენტრალური ბანკი (ეცბ), მოყოლებული 2017 წლის აპრილიდან დეკემბრამდე დაბაჭდავს (გამოუშვებს) მინიმუმ 360 მილიონ ევროს, რომელსაც მიმართავს ევროკავშირის ეკონომიკისაკენ, კერძოდ, სავალუტო

და საფონდო ბაზრებისაკენ. ამით მან ინვესტორებს ინტერესი გაუღვიძა რისკიანი აქტივებისაკენ.

ასეთი პროგრამის ძირითადი მოტივი გახლავთ ინფლაციის დონის 2% მდე მიღწევა. აი, ეს დაისახა მარიო დრაგამ მთავარ მიზნად. მოდით შევაფასოთ მისი გამოსვლიდან რამდენიმე ფრაზა:

1) "თუ პერსპექტივაში ეკონომიკური სიტუაცია უარესობისაკენ წავა, მაშინ ევროპის ცენტრალური ბანკი (ეცბ) შეგნებულად მოახდენს აქტივების მოცულობების შესყიდვების ზრდას". დრაგის ამ სიტყვებმა მოგვცა წარმოდგენა, თუ როგორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას გაატარებს ევროპელი რეგულატორი მომავალში. რა თქმა უნდა, პირველ რიგში ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მონაცემებს მიიღებს კაპიტალის ბაზარი და რეგულატორი, დალაგდა თუ არა დაკრედიტების საკითხები, უმუშევრობის დონემ დაიწია ფსიქოლოგიური ნიშნულის 10%-ის ქვემოთ, სამომხმარებლო ფასების ინდექსი იზრდება ნელა, ვარაუდობენ 2017 წელს გაიზრდება 1,3%-მდე და 2018 წელს 1,5 %-მდე, ხოლო სასურველ დონეს 2020 წლამდე მიაღწევს. მეორეს მხრივ, ასეთი რბილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გაგრძელებისათვის მნიშვნელოვანია სხვა მრავალი ფუნდამენტალური ფაქტორიც. გარდა იმისა, რომ ინფლაციის მაჩვენებელი შორსაა სასურველისაგან, ევროკავშირის პერიფერიებში არის პოლიტიკური ფაქტორებიც. იმ შემთხვევაში თუ ეცბ არ გამოისყიდის აქტივებს, მაშინ იტალიის, პორტუგალიის, ესპანეთისა და საბერძნეთის ევროზონდების შემოსავლიანობა შეიძლება ძალიან გაიზარდოს, რაც ტექნიკურად შეიძლება გახდეს

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ევროკავშირში მრავალი ფინანსური ინსტიტუტის დეფოლტის მიზეზი. ასეთის როლში პირველ რიგში გვევლინება იტალიური ბანკები და გერმანიის დოიჩე ბანკი.

2) "მომჭკნარი რეფორმების გამო, ევროკავშირის ეკონომიკური ზრდა იქნება შენელებული"-მარია დრაგის ეს სიტყვები უნდა განვიხილო, როგორც მორიგი მინიშნება, რომ ეცბ როგორც, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მასტიმულირებელი, არ არის მზად გადაჭრას ყველა პრობლემა თუ ევროკავშირის ქვეყნების პოლიტიკურ ელიტას არ ძალუძს გაატაროს საჭირო ეკონომიკური რეფორმები. დამატებითი თავის ტკივილი მარია დრაგს სწორედ იტალიის კონსტიტუციურმა რეფერენდუმმა გაუჩინა, რომელიც ევროს კურსს ზეწოლის ქვეშ ამყოფებს.

3) "პერსპექტივაში ეკონომიკური ზრდის, რისკთა ბალანსი გადახრილია ნეგატივისკენ" - დრაგის ეს სიტყვები მინიშნებს, რომ პერსპექტივაში ეცბ არაა დარწმუნებული ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებაში, რადგანაც არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ეკონომიკის ზრდას. ნაკლებად სავარაუდოა დაესახელებინა დრაგს ეს ფაქტორები და არც დაუსახელებია, ვფიქრობთ ესენია: ჩინეთი, ტრამპი, ბრექსიტი და ევროპის ქვეყნების პოლიტიკური შოუები.

4) " ეკონომიკური სიტუაციის ამ დონეზე შენარჩუნება დღეს არ განიხილება" - დრაგის ეს სიტყვები სხვა არაფერია თუ არა ის, რომ ინფლაციის დონისა და მშპ-ს ზრდა მიმდინარეობს ძალიან შენელებულად ვიდრე ელოდებოდნენ.

თუ შევაჯამებთ ზემოთ აღნიშნულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეცბ-ს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ძირითადად არც შეცვლილა, პირიქით, ის მეტად პროგნოზირებადი გახდა.

ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთიანი ევროპის ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1,05 არეალშიც კი საფრთხის ქვეშაა. ვფიქრობ, რომ ევრო დაეცემა ფუნტთან, კანადურ დოლართან და შვეიცარულ ფრანკთან მიმართებაში. თუმცა აშშ-ს მიერ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებიდან გამომდინარე ევრო უკვე ჩამოცდა 1,05 იან ნიშნულს.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის ზაფხულში, როდესაც მსოფლიო ფინანსური კრიზისის ზღურბლზე იდგა, ეცბ-მ ერთწლიანი შესვენების შემდეგ 0,25%-ით გაზარდა საპროცენტო განაკვეთი და 4,25% გახდა. აღნიშნული ქმედებით მან ევროპელ მწარმოებლებს "ცხოვრება" გაურთულა, რომლებიც ისედაც წუხდნენ მაღალი ევროს კურსის, აქტივების ღირებულების დაცემისა და რეფინანსირების მაღალი ღირებულებების გამო. ამიტომ ეცბ-ს რამდენიმე თვეში სასწრაფოდ მოუწია საპროცენტო განაკვეთის დაწვეა და ერთი წლის შემდეგ იგი საერთოდ 1%- მდე დაიყვანა.

მეორეჯერ ასეთივე გაიმეორა ტრიუმფი, 2011 წლის შემოდგომაზე თანამდებობიდან წასვლის წინ, როდესაც რეფინანსირების განაკვეთი აწია 1,5%-მდე და ის შემოდგომაზევე სასწრაფოდ იქნა დაწეული, როდესაც ეცბ-ს ხელმძღვანელად მოვიდა ახლანდელი ხელმძღვანელი მარია დრაგი.

ორივე შემთხვევაში განაკვეთის აწევას ამართლებდნენ ინფლაციის მაღალი დონით. ამ პროცესებმა ევროკავშირში გამოიწვია უმუშევრობის ზრდა. სწორედ იმდროინდელი არასწორი გადაწყვეტილებების შედეგებს იმკის დღესაც ევროკავშირი, სადაც უმუშევრობის დონემ მხოლოდ ამ წლის ზაფხულში მიაღწია 10%- ზე ნაკლებს.

ერთი შეხედვით თითქოსდა ჩანს, რომ მართვის ეს სტილი ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ ის, რაც ეცბ-მ ახლახან განაცხადა, ვგულისხმობ ყოველივე ზემოთხსენებულს, ჩანს, რომ მართვის პროცესები არ იცვლება. კერძოდ, ვგულისხმობ იმას, რომ რბილი მონეტარული პოლიტიკის გაგრძელება უცნაურად ჟღერს, მაშინ, როდესაც : ა) ნავთობის ფასი მოძრაობის ახალ დერეფანს იკეთებს; ბ) ეცბ პროგნოზირებს ეკონომიკის ზრდას; გ) ანონსდება მშპ-ს ზრდა 1,7% მდე.

მინდა ავღნიშნო შემდეგი. ეცბ თავის გათვლებში იყენებს სამომხმარებლო ფასების ჰარმონიულ ინდექსს, რომელიც მოიცავს ენერგომატარებლებს. US EIA კი ენერგომატარებლების ფასების 0,25%-ით ზრდას ითვალისწინებს, აღნიშნული კი აუცილებლად მიიყვანს ევროკავშირს ინფლაციის ზრდამდე. შემძლია თამამად ვთქვა, რომ ევროკავშირში ინფლაცია 2017 წლის ზაფხულში გაიზრდება, ეცბ-ს მხრიდან ყოველგვარი ჩარევისაგან დამოუკიდებლად.

როგორც ცნობილია, ყველა ენერგომატარებლის ფასი გამოისახება დოლარებში. დღეისათვის ევროპელი მომხმარებლები ნავთობის ფასზე უკვე იხდიან 7-10%-ით მეტს ვიდრე გადაიხდიდნენ მაშინ, ევროს კურსი, მაგალითად, რომ ყოფილიყო 1,1280. ამასთან, ეცბ მარტო შერბილებული პოლიტიკის გაგრძელებით არ შემოიფარგლა, იგი ცვლის ობლიგაციების შესყიდვის რიგითობასაც, რომელთა შემოსავლიანობაც შეიძლება იყოს 0,4%-ზე ნაკლები. ეს კი გამოიწვევს ყველა იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემოსავლიანობის შემცირებას, რომლებიც ევროშია ნომინირებული.

ამიტომაც აშშ-ს ფსს საპროცენტო განაკვეთის აწევის შემთხვევაში ევროს კურსი უნდა ჩამოცდეს 1,05 იან ნიშნულს, და მის ქვემოთ მოძებნოს მოჭიდების ადგილი. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ევროს კურსი, როგორც ლარი, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მიაერთეს.

ყოველშემთხვევაში ინვესტორებს ეს საკითხები აღელვებს... რეალური მლოდინი კი ასეთია: 2017 წელს ფსს 3 ჯერ გაზრდის განაკვეთს, ასეთის შემთხვევაში, ტექნიკურად , ეს გამოიწვევს მრავალი



საფინანსო ინსტრუმენტის დაბლა დაშვებას. მაგალითად, როგორც კი აშშ ინდექსი 100 იან ნიშნულს ჩამოცდება, ეს იქნება პირველი სიგნალი, რომ დოლარი სუსტდება.

ბოლო დროს ფსს-მ მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრა 2015 წლის დეკემბერში. საპროცენტო განაკვეთის გაზარდა საერთოდ დადებითად აისახება იმ ქვეყნის ვალუტაზე.

დონალდ ტრამპის აშშ პრეზიდენტად მოსვლამ, სრულად შეცვალა ფინანსურ ბაზრებზე სიტუაცია. ამერიკულმა აქციების ფასებმა ვარდნა შეაჩერეს და დაიწყო ზრდა, მიაღწიეს რეკორდულ მაჩვენებლებს, ხოლო აშშ-ს 10 წლიანი სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობა, პირველად ბოლო 11 წლის განმავლობაში, გაიზარდა 2% ით.

მოკლედ რომ ვთქვათ, საბოლოო ჯამში დოლარი გაიზარდა 5% ით. ეს ცვლილებები რა თქმა უნდა ფსს გეგმებს გარკვეულწილად ცვლის, რადგანაც შემოსავლიანობის სწრაფი ზრდა და დოლარის გამყარება ამკაცრებენ ეკონომიკურ სიტუაციას. კერძოდ, იზრდება სასესხო ღირებულება და იზრდება საექსპორტო ღირებულებაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფინანსურ ბაზრებზე შექმნილმა სიტუაციამ ფსს-ს ნაწილი გასაკეთებელი საქმეებისა გაუკეთა. კერძოდ, ის, რომ მინიმუმ 5 თვემდე კიდევ ერთხელ განაკვეთის აწევას აარიდა.

ფსს-ს ხელმძღვანელი ჯანეტ იელენი ტრამპმა არაერთხელ გააკრიტიკა და თანამდებობიდან გადაყენებითაც დაემუქრა. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი და სიგნალიც, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გამკაცრდებოდა მანამდე, ვიდრე ტრამპი დაიკავებდა პოსტს და ზეწოლას მოახდენდა ფსს-ზე.

მოდით გავანალიზოთ, რამოყვება საპროცენტო განაკვეთის აწევას. საერთოდ, საფინანსო ბაზრებს აქვს თავისი კანონები და იგი ხშირად ეკონომიკის პრინციპებს არ ემორჩილება. აქ სიტუაციას ქმნის და ბაზარს ამომრავებს ინფორმაციები და ინვესტორის ქცევა, რომელიც რთულად გამოსაცნობია. არსებობს გამოთქმა, რომ ბაზარი ბრძენთა ბრძენია და ძალიან ხშირად სიურპრიზებს გვიმზადებს. საპროცენტო განაკვეთის აწევაცა და აწევაც. მოდით განვიხილოთ სამი ვარიანტი:

ვარიანტი პირველი:

ფსს-მ გაზარდა განაკვეთი, და მისმა ხელმძღვანელმა იელენმა არაფერი თქვა შემდგომში განაკვეთის აწევის ვადებთან მიმართებაში. ასეთის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, აშშ დოლარი შესუსტდებოდა იმიტომ, რომ მისი ინდექსი ისედაც მაქსიმუმზე იყო ასული. ასეთ შემთხვევაში ინვესტორები დოლარის შესყიდვაზე (მოთხოვნაზე) დახურავდნენ „გრძელ პოზიციებს“ ბაზარზე ტექნიკურად გვექნებოდა ორმხრივი მოძრაობა და დაფიქსირებდნენ მოგებას, რის შედეგადაც დაიწყებოდა დოლარის პოზიციების

შესუსტება.

ვარიანტი მეორე:

ფსს აწევდა საპროცენტო განაკვეთს, მაგრამ მისი ხელმძღვანელი, როგორც ხშირად სჩვევია თავის გამოსვლაში, ორაზროვნად და გაწონასწორებულად იტყოდა, რომ შემდგომი საპროცენტო განაკვეთის აწევა განიხილება ივნისში, მაგრამ ამასთან დავაკვირდებით თუ როგორი იქნება ეკონომიკური სიტუაცია და რა მაჩვენებლები გვექნება. ასეთი განცხადების შემთხვევაში დოლარი მაინც დაეცემოდა და ეს იმაზე უფრო სწრაფად მოხდებოდა, ვიდრე პირველ ვარიანტში. კერძოდ, მოგების ფიქსირებები მოხდებოდა ამ წლის ბოლომდე და დოლარზე მოთხოვნის ანუ შესყიდვის პოზიციებს ინვესტორი ნაკლებად სავარაუდოა გადაიტანდა 2017 წელში. და ინვესტორები ფულს გააკეთებდნენ დოლარის ვარდნაზე. მითუმეტეს მოძრაობები მოხდებოდა იმ ფონზე, როცა ნოემბრიდან დღემდე იენა და ევრო მოყოლებული 9 ნოემბრიდან უფასურდება. მათ შორის იენა 17%-ით გაუფასურდა.

ვარიანტი მესამე:

ფსს მაღლა წევს განაკვეთს და თან ხაზს ავლებს იმას, რომ შემდგომშიც გაამკაცრებს პოლიტიკას, ის, რაც მოვისმინეთ ფსს სხდომიდან არის, რომ 2017 წელს 3-ჯერ მოხდება განაკვეთის ზრდა. ეს არის უფრო აგრესიული პოზიცია ვიდრე გაჟღერდა სექტემბრის თვეში განაკვეთის 2-ჯერ აწევა.

იელენი ამბობს: “იმდენად თვითდაჯერებული არიან ამერიკული ეკონომიკის პროგრესში, რომ გადაწყვეტილება საპროცენტო განაკვეთის აწევის შესახებ უსიტყვოდ აღიქმება“.

ფედრალური ფონდების ფიუჩერსებით თუ ვიმსჯელებთ, ბაზარზე ახლა ალბათობა იმისა, რომ ივნისში აიწევს საპროცენტო განაკვეთი 70%-ია, ხოლო დეკემბერში რომ აიწევს - 100%.

ფსს-ს არათუ ეშინია, რომ საპროცენტო განაკვეთის აწევა გამოიწვევს უარყოფით ეკონომიკურ შედეგებს, არამედ დარწმუნებულია აშშ ეკონომიკის პროგრესით 2017 წელს. მისი ასეთი განწყობა უკვე განაპირობებს მთელი 2017 წელის მანძილზე, დოლარზე მოთხოვნას. თუმცა ბაზრის წესებიდან გამომდინარე დროდადრო იქნება კორექციები, მაგრამ არც თუ ისე მნიშვნელოვანი დაწვევებით. თუმცა საბოლოო ჯამში ინდექსის გრაფიკი მიმართული იქნება აღმავლობისაკენ.

გამყარებული დოლარი ეს პრობლემაა საერთაშორისო მსესხებლებისათვის (ქვეყნებისათვის), რომლებმაც ტრილიონობით ვალი დააგროვეს. დაფარონ ეს ვალი ეროვნული ვალუტებით, ესეც რთულია, სესხის რაოდენობა რაც ბანკებს აქვს აღებული აშშ-ს ფარგლებს გარეთ 2015 წლის მონაცემებით 9,8 \$ ტრილიონია. (Bank for International Settlements)

ამ თანხის მესამედი ნასესხები იყო

განვითარებადი ბაზრების მიერ, რომელთა ვალუტები ნაკლებად მდგრადი არიან აშშ დოლარის მიმართ და როდესაც აშშ საპროცენტო განაკვეთი იზრდება, დიდი ალბათობით, მიდრეკილი არიან დეველუაციისაკენ. ვფიქრობთ, გამლიერებული დოლარი ხელს შეუწყობს განვითარებადი ქვეყნებიდან კაპიტალის გადინებას, და ასევე ჩინეთიდანაც, სადაც იზრდება დოლარებში გამოსახული ვალის რაოდენობა, ძლიერი დოლარი ამერიკელებს უფრო მდიდარს გახდის, მსყიდველობითუნარიანობას ზრდის და იმპორტის ღირებულებას უმცირებს. ჩინეთმა, როგორც ჩვენი პლანეტის ეკონომიკის სიდიდით მეორე ქვეყანამ, უკვე გააკეთა შემამფოთებელი კომენტარი და იწინასწარმეტყველა ფინანსური არასტაბილურობის მეორე ტალღა და გლობალური ფინანსური "უწყსრიგობა" ბაზრებზე დოლარის ასეთი გამყარების გამო...

მოკლედ რომ ვთქვათ, კაპიტალის ბაზრებზე ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ დეკემბრის ბოლო კვირიდან იანვრის ბოლომდე საფონდო ბაზრებზე ამერიკული აქციების ფასი დაეცეს. სად წაიღებენ ინვესტორები გამონთავისუფლებულ ტრილიონებს წინასწარ ძნელი სათქმელია, იქნება ეს სავალუტო თუ სასაქონლო ბაზარი. როგორც წესი, ასეთ დროს ოქროს ფასი აიწევს ხოლმე, მაგრამ არაა გამორიცხული ნაწილმა კაპიტალმა სავალუტო ბაზარზეც გადაინაცვლოს და დოლარის ინდექსი კვლავ აიწიოს ან ნავთობში მოიყაროს თავი.

1. ლარის სტაბილიზაციის პერსპექტივები.

ყოველივე ამის ფონზე, საქართველოს მთავრობამ მიიღო რიგი ღონისძიებები ლარის კურსის სტაბილიზაციისათვის, შევხები რამდენიმე მათგანს:

1) აუქმებს მოგების გადასახადს იმ მოტივით, რომ მოგების თანხები დარჩება კომპანიებს, და ამ თანხის რეინესტირებით, მეტად განვითარებენ საქმიანობას, დაასაქმებენ ადამიანებს. თეორიულად, ერთი შეხედვით ეს ასეა, მაგრამ შევხედოთ როგორ იმუშავებს ეს რეალურად პრაქტიკაში.

პრაქტიკულად ყველა საშუალო კომპანია ცდილობს წლის განმავლობაში მოახდინოს მოგების შემცირება. იქნება ეს სამივლინებო, სარემონტი, ინვენტარის შეძენა და სხვა ხარჯები და ისედაც დაბალი მოგების გადასახადი მას არცთუ ისე დიდ ტვირთად აწვება. დიდ მოგებას წერენ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა სადაზღვევო, საბანკო, ფარმაცევტული, მიკროსაფინანსო და ისეთებიც, რომელიც კონკურენციის გარეშე მუშაობენ. როგორებიცაა: წყალკანალი, ენერჯო პრო, თელასი და სხვა. ამ კომპანიათა ნაწილი ისედაც მხოლოდ მოგების გადასახადით იბეგრებიან. მოგების თანხების ლომის წილი ამათზე მოდის. რას მოუტანს ეს რეალურად სახელმწიფოს გარდა იმისა, რომ საკუთრებაში შეიძენენ შენობებს და იქ შეიძლება

დასაქმდეს 2-3 ადამიანი. ამ გადაწყვეტილებით მთავრობამ უარი თქვა ბიუჯეტში 600 000 000=მდე ლარის შემოსავალზე და ის რეალურად ჩაუტოვა მონოპოლიებსა და ბანკებს, სადაზღვევო კომპანიებს, მიკროსაფინანსო კომპანიებს. სავალუტო ფონდთან, რომ პირი მოეწმინდათ აიღეს ვალდებულება, რომ გაზრიდნენ საწვავზე და სიგარეტზე აქციოს, საიდანაც შემოსავლები გადაფარავდა ამ დანაკლისს.

2) რას გამოიწვევს ახლა საწვავზე აქციის გაზრდა? საქართველოში საწვავის შემომტანი ისედაც 5-7 ოპერატორია და ავტოგასამართების 95% მათ ხელშია. აშკარად არსებობს მათ შორის შეთხმება სარეალიზაციო, ერთეული საწვავის საბოლოო ფასის სიდიდის შესახებ და ამ წესს იცავენ. მაშინ როდესაც საწვავი უნდა ღირდეს მაქსიმუმ 1,30-1,45 თეთრი, იყიდება 1,85-2 ლარის ფარგლებში, აქციის გაზრდა საშუალებას მისცემს ფასები კვლავ აწიონ 15-20%-ით. ამას ემატება ისიც, რომ 2017 წლის პროგნოზით ნავარაუდებია ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა, დავამატოთ ზემოთაღნიშნული დოლარის გამყარების შესახებ მოსალოდნელი ვარაუდი და ჯამში გვექნება დასკვნა: მოგების გადასახადის გაუქმება იმდენად ვერ მოიტანს დადებით ეფექტს, ვიდრე გვექნება აქციის გაზრდით უარყოფითი ეფექტი, რაც დაიწყება საწვავის გაძვირებით და რომელიც ჯაჭვურ რეაქციაში გამოიწვევს პროდუქტების გაძვირებასაც.

3) რაც შეეხება დედოლარიზაციის ინიციატივას, იგი უახლოესი 10 წელიწადი ვერ იმუშავებს, ამისი არც სტრატეგია არის ჯერ შემუშავებული და არც ალგორითმი, რომც არსებობდეს ის გრძელვადიანი პროცესია და მითუმეტეს მაშინ, როდესაც იმპორტი გაცილებით ჭარბობს ექსპორტს.

მთავრობა ისეთ პოლიტიკას ატარებს, რომ აუცილებლად მოუწევს ენერგორესურსებზე ტარიფების გაზრდა. ესეც უარყოფითად იმუშავებს ისედაც გაღარიბებული მოსახლეობის ბიუჯეტზე.

დასკვნა

გამოვყოფდი რამდენიმე რეკომენდაციას ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციისათვის:

- ა) ბიუჯეტიდან დეფიციტური ხარჯვის შემცირება;
- ბ) სესხების ლარში გაცემა ისე, რომ პროცენტი არ აიწიოს;
- გ) კაპიტალის ბაზრის გახსნა, სადაც ფინანსური ინსტრუმენტები ლარში იქნება დომინირებული;
- დ) შემოსავლებზე დიფერენცირებული ანუ პროგრესული საგადასახადო განაკვეთის დაწესება;
- ე) ბლუმბერგის ტერმინალის ნაცვლად, შეიქმნას ახალი გამჭვირველ სავაჭრო ტერმინალი და ვაჭრობის ღიად წარმოჩენა.

ვითვალისწინებ რა მსოფლიო სავალუტო ბაზრებზე შექმნილ სიტუაციას, (ამის შესახებ ადრეც



განვაცხადეთ სხვადასვა ბეჭდვით საშუალებებში, იქნებოდა ეს სამეცნიერო ნაშრომი თუ საგაზეთო სტატია) ასევე, საახალწლო ტრანზაქციების მოცულობებიდან გამომდინარე, თურქეთის რესპუბლიკასთან და რეგიონში არსებულ სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, საკმარისია თურქული ლირა გადაცდეს 3,50-ან ნიშნულს და დოლარის ინდექსმა შეინარჩუნოს 102,50 ზე მაღალი ნიშნული, ლარის კურსი იმერყევებს 2,7550-2,8350 შუალედში. ძნელი სათქმელია, რას იზამს ლარის კურსი 24 დეკემბრის შემდეგ, ვინაიდან როგორც ზემოთ მოგახსენეთ და იგივე 2 და 4 დეკემბრამდე სოციალურ ქსელშიც გავაზიარეთ, ამ პერიოდში მოსალოდნელია საფონდო ბაზრებზე ამერიკულ აქციებზე ფასების ვარდნა. არ გამოვიცხავ მოფრინდეს სადმე "შავი გედი", როგორც ეს მოხდა 2015 წლის 24 აგვისტოს. ასეთი თუ განმეორდა რადიკალურად შეცვლის პროცესებს...

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მინდა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მაშინ როდესაც დონალდ ტრამპი ჯერ არ ჩამჯდარა თავის სავარძელში, გადაწყვეტილებაც არ მიუღია რაიმე პრობლემის მოგვარებისთვის, ამ დროს კი ფინანსურ ბაზრებზე ინვესტორები მთელი ენერგიით ყიდულობენ აქტივებს, რაც იწვევს დიდძალი ფინანსური კაპიტალის თავმოყრას მსოფლიო ეკონომიკის ფიქტიურ სექტორში, სადაც აქციების მაღალი ფასები ფუნდამენტალურად არაა გამყარებული - ვფიქრობთ, ასეთი სიტუაცია უახლოეს რამდენიმე კვირაში მიგვიყვანს გაბერილი ბუშტის პრინციპთან, რომლის გასკდომის ხმასაც ძალიან მალე გავიგონებთ.

ბაზრების ასეთი რეაქცია ვფიქრობ, ბოლო ათწლეულის აფიორას გავს. ძნელად თუ გავიხსენებთ ისეთ მომენტს, როდესაც ბაზრებზე ასეთი ძლიერი ცდომილებები იყო, ანუ როდესაც პროგნოზირებენ ერთს და დებულობენ - მეორე შედეგს. ბოლოჯერ ასეთი მახსენდება 2008 წლამდე პერიოდი, როდესაც ზევრ ცნობილ ეკონომისტს იპოთეკური დერივატივების ბაზარი მიაჩნდა, როგორც მესია - ნათელი მომავლისა, მაგრამ სწორედ ის გახდა მიზეზი მსოფლიო გლობალური ფინანსური კრიზისისა.

ვიმედოვნებთ, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდი გაითვალისწინებს, მეზობელ რეგიონებში ეკონომიკურ სიტუციას, სწორად გააანალიზებს საფონდო ბაზრებზე მიმდინარე პროცესებს და მომავალში ისე მიიღებს სწორ გადაწყვეტილებებს, ინკლუზიური ეროვნული ეკონომიკის ზრდის საქმეში.

დასარულს ვიტყვით, უნდა შევიგნოთ, რომ დღეს ეკონომიკის საზომი ერთეული მხოლოდ ფულის ან ძვირფასი ლითონის სახით არ არსებობს, ის შეიძლება ყველაზე უკეთ გამოისახოს ისეთ სისტემაში, რომელიც ქმედითუნარიანი იქნება დოვლათი მოიტანოს გრძელვადიან პერსპექტივაში, თანაც ისე, რომ სრულად აკმაყოფილებდეს მოსახლეობის მოთხოვნებს პირველად და მთავარ მოთხოვნილებებზე. მალე ალბათ ეკონომიკის ფორმატიც შეიცვლება და გადავალთ რაოდენობრივიდან ხარისხობრივ მოთხოვნილებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.bloomberg.com
2. www.geostat.ge
3. ნიკა შენგელია "მსოფლიო ფინანსური კრიზისი და ქვეყნის ცენტრალური ბანკების გამოწვევები: პრობლემები და მათი რეგულირების გზები" წმ. გრიგოლ ფერაძის სასწავლო უნივერსიტეტი. შრომების კრებული ტომი 4.

The Triad of US. Dollar, Euro and Gel- Expectations and Realities

Nika Shengelia
 Doctor of economics
 Professor

In the article "the triad of US. Dollar, Euro and Gel- Expectations and realities" is discussed the current situation above mentioned currencies and is made assumptions of their future perspectives.

The author is commenting the expectations of Jean-Claude Trichet and Mario Draghi, Former and current presidents of European central bank. The author is analyzing U.S.A. Federal Reserve System and the future of US Dollar and Euro.

The author is giving several recommendations to Georgian government how to stabilize Georgian Gel.

Keywords:

Currency, Dollar, Euro, Gel, Strengthening, Weakening, Stock Index, Drop, Interest rates.

კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის
25 წელი საქართველოში



სულაია ვაშელავა
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
sfetelava@competition.ge

„... პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საქმიანი საზოგადოება გონებით ღებულობს, ხოლო ემოციურად უარყოფს ანტიტრესტულ კანონმდებლობას...“
ჯ. ვან საისი

სტატიაში ხაზგასმულია კონკურენციის პოლიტიკის როლსა და მნიშვნელობაზე საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესში. კრიტიკულადაა მიმოხილული ამ პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის 25 წლიანი პერიოდი საქართველოში, რომელიც 8 ეტაპად აქვს ავტორს დაყოფილი. წარმოჩენილია ამ პოლიტიკის პრაქტიკულ რეალიზაციის ხარვეზები და მისი უარყოფითი შედეგები. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოში კონკურენციის კანონმდებლობის რეალიზაციის კუთხით გაწეული საქმიანობა (დაწყებული 1992 წლიდან) მთლიანობაში, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე – ცალკეული გამონაკლისი პერიოდის გარდა – არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს წარმატებულად. შესაბამისად, ავტორი თვლის, რომ, თუ წლების მიხედვით საქართველოში რეალიზებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობას შევაფასებთ – ის ყველაზე მეტად საწყის და ბოლო პერიოდში იყო გამორჩეული. ანუ პირველი, მეორე და მერვე ეტაპი შეიძლება იქნეს მიჩნეული ქართული საკონკურენციო სამართლის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში, წარმატებულად თუ არა ნაწილობრივ წარმატებულად მაინც, ხოლო სხვა დანარჩენი პერიოდი კი როგორც წარუმატებელი.

საქართველოში, ისევე როგორც პოსტსოციალისტური ქვეყნების უმეტესობაში, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი დიდი სირთულეებით და წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. საბაზრო ეკონომიკის რელსებზე ქვეყნის ეკონომიკის მოდიფიკაციის პროცესი არ იყო მარტივი და ადვილად განხორციელებადი. ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ეს პროცესი დაიწყო და რაიმე ღირებული წარმატებისათვის მიუღწევიათ, ამ წარმატების უმთავრესი მიზეზი იყო თითოეული ცალკე აღებული სახელმწიფოს პოლიტიკური ნება (სახელმწიფოს მიერ ჩატარებული ეკონომიკური რეფორმები), რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტი – სწორედ, თანმიმდევრული კონკურენციის პოლიტიკის მხარდაჭერა (რეალიზაცია), რომელიც თავის მხრივ, უნდა იყოს ჰარმონიზებული (დაახლოებული) გარე სამყაროსთან და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს და ამა თუ იმ ქვეყნის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღიდან საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა დღის წესრიგში დააყენა ახალი, ადეკვატური სამართლებრივი ბაზის შექმნის აუცილებლობა. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების მსგავსად ყურადღება მიექცია ქვეყანაში კონკურენციული პოლიტიკის გატარებისათვის. უპირატესი ამოცანა მდგომარეობდა მაქსიმალურ ხელშეწყობაში უმტკნივნელოდ განხორციელებულიყო ეკონომიკისა და თავისუფალი სამეწარმეო სისტემის შერწყმა. შესაბამისად, ნაკლები პრობლემებით უნდა მომხდარიყო სოციალისტური ეკონომიკის სისტემიდან (რომელიც მთლიანად ემყარებოდა დირექტიულ სახელმწიფო გეგმას და საწარმოო საშუალებებზე და პროდუქციაზე საზოგადოებრივ საკუთრებას) კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ თავისუფალ სამეწარმეო სისტემაზე გადასვლა. საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ფორმირებისა და შესაბამისი აღმასრულებელი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



ორგანოს როლისა და სტატუსის განსაზღვრის საკითხებს აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების ანალოგიურად საფუძველი ჩაეყარა 1992 წლიდან. ამდენად, როგორც ვხედავთ, საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პერიოდი თითქმის 25 წელიწადს ითვლის (2017 წლის მარტში შესრულდება 25 წელი). ეს პერიოდი ჩვენს მიერ პირობითად დაყოფილია შემდეგ 8 ეტაპად:

პირველი ეტაპი - იწყება 1992 წლის მარტიდან და გრძელდება 1996 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით. ამ პერიოდში იქნა მიღებული - „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ - საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის დადგენილება (№323), რომლის მთავარი დანიშნულება იყო სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილ მონოპოლიურ ერთეულებს (კონცერნებს, ასოციაციებს, გაერთიანებებს და ა.შ.) არ შეეშალათ ხელი პირველადი სამეურნეო ერთეულების ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკის დემონოპოლიზაციის პროცესისათვის, რაც ითვალისწინებდა სავალდებულო ანტიმონოპოლიური ექსპერტიზის გავლას.

მოგვიანებით მიღებულ იქნა - „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 16 ოქტომბრის დეკრეტი, რითაც განისაზღვრა კონკურენციის განვითარების, მონოპოლიური საქმიანობის და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების, შეზღუდვისა და აღკვეთის ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძველები.

გარდა ამისა, მიღებულ იქნა „არაკეთილსინდისიერი რეკლამისაგან მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის მარტის ბრძანებულება (№60), რომლის საფუძველზეც, მეწარმეობის მხარდაჭერისა და კონკურენციის განვითარების, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციის აღსრულების პარალელურად, სარეკლამო საქმიანობის კონტროლის ფუნქციაც დაეკისრა ეკონომიკის სამინისტროს (შიდა სტრუქტურულ ერთეულის მეშვეობით).

კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ამ საწყის პერიოდში იქნა ასევე მიღებული საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 26 აპრილის

№325 დადგენილება, რომლის შესაბამისად სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით სავალდებულო გახდა მუდმივი სახელმწიფო კონტროლის ობიექტების განსაზღვრა (მათი საქმიანობის შემდგომი რეგულირების მიზნით). სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა „მონოპოლისტი საწარმოებისა და გაერთიანებების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ დებულების (ეკონომიკის სამინისტროს კოლეგიის 1993 წლის 30 აპრილის №12 გადაწყვეტილება) შესაბამისად ჯერ კიდევ 1993 წლის პირველ ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები. პირველი მონოპოლისტების გამოცხადებისა და შესაბამის რეესტრში მათი შეყვანის შესახებ. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამ სუბიექტების რეესტრში შეტანის საფუძველი იყო არა შესაბამისი სასაქონლო ბაზრების კვლევა, არამედ ამ ეკონომიკურ აგენტთა მიერ წარმოებული/ იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა და გაწეული მომსახურების ერთადერთობის პრინციპი. სულ 27 საწარმო (ერთად იყო შეყვანილი როგორც ბუნებრივი მონოპოლისტები, ისე სხვა საბაზრო მონოპოლიები) იყო რეესტრში შეყვანილი (1995 წლის 6 ივლისის ოქმი №10).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი დაემთხვა მასობრივი პრივატიზაციის პროცესს, რის გამოც დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა სჭირდებოდა ამ პოლიტიკის აღსრულებას. შესაბამისად, თუ დღევანდელი გადასახედიდან ვიმსჯელებთ ცხადია, რომ საქართველოს კონკურენციის ორგანომ (ეკონომიკის სამინისტრომ) მის წინაშე მდგარ ამოცანებს (ახალი მონოპოლიური წარმონაქმნების დაუშვებლობას და სამეწარმეო გარემოს გაჯანსაღებას) იმ პერიოდში მეტ-ნაკლები წარმატებით გაართვა თავი.

მეორე ეტაპი - იწყება 1996 წლის მეორე ნახევრიდან და გრძელდება 2002 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით. კერძოდ, ესაა პერიოდი, როდესაც ქვეყანაში დაიწყო სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო სამართლის, ასევე სხვა კანონების კოდიფიცირება ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან, თუმცა, აქვე იყო გარკვეული ხარვეზები. მაგალითად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის რიგი დებულებები გადმოტანილ იქნა ეროვნულ კანონმდებლობაში, მაგრამ ევროპული კავშირის თანამედროვე დირექტივები, მათ შორის დირექტივა სამომხმარებლო საქონლის შესყიდვაზე მასში არ იქნა ასახული.

ეს პერიოდი ემთხვევა ქვეყანაში კონკურენციის

სამართლის კონსტიტუციურ საფუძვლებზე ფორმირების პროცესს. ამ პერიოდს უკავშირდება საქართველოში მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი (თუ არ ჩავთვლით 2014 წლის შემდგომ პერიოდს) ანტიმონოპოლიური ორგანოს – საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბება და დაკომპლექტება (სამხარეო სამსახურებთან ერთად თავდაპირველად შეიქმნა 150 სამტატო ერთეულით, რომელსაც მოგვიანებით 20 სამტატო ერთეული დაემატა).

ამ პერიოდში იქნა მიღებული შემდეგი ნორმატიული აქტები: 1) „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონი; 2) „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ 1996 წლის კანონი და მისგან გამომდინარე ე.წ. ვაჭრობისა და მომსახურების 21 წესი. ასევე შეიქმნა მომხმარებელთა უფლებების დაცვის უწყებათაშორისო საბჭო, რომლის დებულება და შემადგენლობა საქართველოს პრეზიდენტის მიერ იქნა დამტკიცებული; 3) „რეკლამის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის კანონი, შესაბამის ქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან ერთად; 4) „ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 თებერვლის №95 ბრძანებულება; 5) „საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 სექტემბრის №426 ბრძანებულება; 6) „საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან არსებული ანტიმონოპოლიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 23 აპრილის №262 ბრძანებულება; 7) „საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შემოწმების მოწყობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 იანვრის №8 ბრძანებულება; 8) „შესაბამის (კონკრეტულ) სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის 2000 წლის 12 დეკემბრის №8/42 ბრძანება; 9) „სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდური რეკომენდაციები“ – სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მიერ 1998 წლის 3 დეკემბერს დამტკიცებული ნორმა.

ამ პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა იქნა განხორციელებული საქართველოს

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის მიმართულებით. ამ აქტივობების შედეგად, მნიშვნელოვნად იქნა გაჯანსაღებული ცალკეულ სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემო. ამ პერიოდში სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა ისეთი სფეროები/მიმართულებები/საკითხები როგორცაა: ბუნებრივ მონოპოლიათა სუბიექტების საქმიანობა (შპს „თბილწყალკანალი“, შპს „საქართველოს რკინიგზა“, შპს „საქართველოს ფოსტა“, შპს „საქართველოს ელექტროკავშირი“, შპს „საქაერონავიგაცია“ და ა.შ.); არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლენის ფაქტები (ყავა „ნესკაფე“-„ინსკაფე“; სიგარეტი „კონგრესი“-„კონგრეს-მანი“, ღვინო „შუამთა“-„მთაშუა“ და სხვ.); კონკურენციის შეზღუდვის ფაქტები („დუთი-ფრი“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორია; ცემენტის, მინერალური წყლების, ავიაციის, დაზღვევის და სხვა სასაქონლო ბაზრები); დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტები (სარკინიგზო გადაზიდვები; კოსმეტიკური ფანქრების რეალიზაცია; ტელეკომუნიკაციები; ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა და სხვ.); სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მიღებული კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილებების გამოვლენა და აღკვეთა (სასკოლო სახელმძღვანელოების რეალიზაცია; დედაქალაქის ნორჩ ტურისტთა ერთ-ერთი სადღურისათვის ექსკლუზიური უფლებების მინიჭება; ნავთის რეალიზაციის ბაზარი; საავიაციო მომსახურების ბაზარი და სხვ.);

ასევე, ინტენსიურად მიმდინარეობდა შესაბამისი სასაქონლო ბაზრების კვლევა ამ ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების და დომინირებული/მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა გამოვლენის (შესაბამის რეესტრში ბაზრის დომინანტი/მონოპოლისტი ეკონომიკური აგენტების შეტანის) მიზნით.

ამასთან, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ასევე სარეკლამო საქმიანობის რეგულირების კუთხით. მათ შორის, შეინიშნებოდა გააქტიურება ქართული სამარკო პროდუქციის სასაქონლო ნიშნების დაცვის კუთხით – დსთ-ს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბაზრებზე (ღვინო, მინერალური წყლები). ამ პერიოდში იქნა ასევე მომზადებული საქართველოს რკინიგზის დემონოპოლიზაციის პროგრამა (უცხოელ



ექსპერტთა ჯგუფთან ერთად).

საგულისხმო და ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ამ პერიოდში გაწეული საქმიანობა, საკმაოდ მაღალ დონეზე იქნა შეფასებული - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 1999 წლის ანგარიშში, რომელიც ეხებოდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კონკურენციის პოლიტიკის მიმდინარეობის საკითხებს.

მესამე ეტაპი - იწყება 2002 წლის მეორე ნახევრიდან და გრძელდება 2004 წლის ნოემბრის ჩათვლით. ეს პერიოდი იწყება საქართველოში ერთიანი ცენტრალიზებული კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმების ვიწრო დარგობრივ ჭრილში დანაწევრებით (გადანაწილებით), რაც დაიწყო „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით.

აღნიშნული კანონის მიღების პარალელურად, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად, ანტიმონოპოლიური სამსახურის ზედამხედველობის არეალიდან მთლიანად იქნენ გამოყვანილი რეგულირებადი ეკონომიკის სექტორები (ენერგეტიკა; კომუნიკაციები; გაზის მეურნეობა; ტრანსპორტის სფერო). ამასთან, „სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში 2002 წლის 25 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის მიუწვდომელი გახდა პირველადი მონაცემები ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ (პროდუქციის წარმოების მოცულობა), რაც მისი საქმიანობის (სასაქონლო ბაზრების შესწავლა და ამ ბაზრებზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასება) შემთავრებელ გარემოებად იქცა.

აღნიშნული და სხვა რიგი გარემოებების გამო, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობა, კონკურენციის დაცვის კუთხით, ამ პერიოდში გარკვეული შეფერხებებით მიმდინარეობდა. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების მიმართულებებზე.

მეოთხე ეტაპი - იწყება 2004 წლის დეკემბრიდან და გრძელდება 2005 წლის აგვისტოს ჩათვლით. ესაა პერიოდი როდესაც საქართველოში მოქმედ კონკურენციის ჩარჩო სამართალში ცვლილებების განუხორციელებლად, მოხდა ქვეყნის მთავარი კონკურენციის ორგანოს რიცხოვნობის რადიკალური შემცირება (01.12.2004 წელი),

რითაც ფაქტიურად უარი ეთქვა, 1992 წლიდან რეალიზებულ კონკურენციის პოლიტიკას და დაიწყო ინტენსიური მუშაობა, ახალ, განსხვავებულ ხედვაზე დაფუძნებული კონკურენციის სამართლის ჩამოსაყალიბებლად. შესაბამისად აღნიშნულისა, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს ამ პერიოდში ახალი საქმეების შესწავლა არ დაუწყია და ახალ ხედვაზე დაფუძნებული კონკურენციის ჩარჩო კანონის პროექტზე მუშაობის პარალელურად, მისი აქტიურობა შემოიფარგლებოდა მიმდინარე (აღრე დაწყებული და დაუსრულებელი) სასამართლო დავებში ჩართულობით.

ეს პერიოდი სრულდება - საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციით (2005 წლის 19 აგვისტო).

მეხუთე ეტაპი - იწყება 2005 წლის აგვისტოდან და გრძელდება 2010 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით. ეს პერიოდი იწყება 2005 წლის 3 ივნისის კანონის - „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ძალაში შესვლიდან (გამოქვეყნებიდან 2 თვის თავზე). აღნიშნული კანონი არ პასუხობდა და არ მიესადაგებოდა ამ მიმართულებით არსებულ მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკას. ის არ მოიცავდა კონკურენციის ზოგადი დებულებების მნიშვნელოვან ნაწილს და მხოლოდ სახელმწიფო დახმარებებისა და მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული თანხმების გაცემის რეგულაციებს (კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების პროცედურებს) ადგენდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვერ მოხერხდა სახელმწიფო დახმარებებისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების გაცემის პროცედურის კონკურენციის ორგანოსთან შეთანხმების თაობაზე შესაბამისი ქვენორმატიული აქტების მიღება, რის გამოც კანონის ეს დებულებები არ ამოქმედებულა.

ამდენად, ფაქტია, რომ კონკრეტული სასაქონლო ბაზრების კვლევა და კონკურენტული გარემოს შეფასება, ამ პერიოდში, არცერთ სასაქონლო ბაზრზე არ ჩატარებულა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობის გამო.

მეექვსე ეტაპი - იწყება 2010 წლის მეორე ნახევრიდან და გრძელდება 2011 წლის ბოლომდე. ამ პერიოდში ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო და მის ნაცვლად, საქართველოს მთავრობის ქუდქვეშ შეიქმნა, იმავე სახელწოდების

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად, სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ამოცანად განისაზღვრა - კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავება და საქართველოს მთავრობაში წარდგენა. შესაბამისად, სააგენტოს საქმიანობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამ სტრატეგიის პროექტზე მუშაობით, რის გამოც, მას მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სხვა აქტივობები ფაქტიურად არ განუხორციელებია. უფრო მეტიც, სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო ამ მიმართულებით საქმიანობას ვერც განახორციელებდა, რადგანაც შესაბამის ბაზრებზე ანტიკონკურენციული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმებს მოქმედი ჩარჩო კონკურენციის სამართალი არ ითვალისწინებდა.

თავის მხრივ, სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს მიერ მომზადებული - კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია მიღებულ იქნა - საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის N1551 განკარგულებით, რის შემდეგ, ფაქტიურად სააგენტომ ამოწურა თავისი უფლებამოსილება.

მეშვიდე ეტაპი - იწყება 2012 წლის იანვრიდან და გრძელდება 2014 წლის მარტამდე. ამ პერიოდში კონკურენციის ჩარჩო კანონში („თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“) ცვლილებების შეტანის გარეშე (კონკურენციის ზოგადი პრინციპების მასში ასახვის გარეშე) მექანიკურად მოხდა (2012 წლის 01 იანვრიდან) სსიპ კონკურენციის სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოების გაერთიანება (შერწყმა).

მოგვიანებით, უკვე 2012 წლის 8 მაისს, მიღებულ იქნა ახალი კანონი - „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ - რითაც გაუქმდა ამავე სახელწოდების 2005 წლის 3 ივნისის კანონი. ეს ახალი ჩარჩო საკონკურენციო სამართალი უკვე შეიცავდა კონკურენციის ამოსავალ პრინციპებს და მისი ცალკეული დებულებები მეტ-ნაკლებად ჰარმონიზებული იყო ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან. თუმცა, მთლიანობაში კანონი იყო ხარვეზიანი, რის გამოც ის ვერ უზრუნველყოფდა ჯანსაღი კონკურენციის პრინციპების სრულყოფილად დაცვას.

ამასთან, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, ამ პერიოდში („თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის კანონის მიღებიდან, სსიპ კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გაყოფამდე) ვერ მოხერხდა ამ კანონიდან გამომდინარე

შესამუშავებელი ქვემდებარე ნორმატიული აქტების დამტკიცება. შესაბამისად, სსიპ კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობა (სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასებისა და ანტიკონკურენციული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით), შესაბამისი საკანონმდებლო (კანონქვემდებარე) ბაზის უქონლობის გამო, მთელი მეშვიდე ეტაპის განმავლობაში არ განუხორციელებია.

მერვე ეტაპი - იწყება 2014 წლის 14 აპრილიდან და გრძელდება დღემდე. ეს პერიოდი ემთხვევა, ჩარჩო საკონკურენციო სამართალში არსებული ხარვეზების გამოსწორების კუთხით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შეტანას (2014 წლის მარტი) და დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სსიპ კონკურენციის სააგენტოს ჩამოყალიბებას (შეიქმნა 2014 წლის 14 აპრილიდან).

ამასთან, კონკურენციის სამართალში შეტანილი ცვლილებების პარალელურად, 2014 წლის 1 ოქტომბრამდე (კანონით განსაზღვრულ ვადებში) მიღებულ იქნა შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებები: 1) განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებადობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები (30.09.2014 წლის №30/09-1 ბრძანება); 2) თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გამოყენების წესი (30.09.2014 წლის №30/09-2 ბრძანება); 3) ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები (30.09.2014 წლის №30/09-3 ბრძანება); 4) კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი (30.09.2014 წლის №30/09-4 ბრძანება); 5) საქმის მოკვლევის წესი და პროცედურა (30.09.2014 წლის №30/09-5 ბრძანება).

მთავრობის დადგენილებები: 1) ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესი - (მთავრობის 01.09.2014 წლის №529 დადგენილება) და 2) კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისები (მთავრობის 01.09.2014 წლის №526 დადგენილება).

აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების შემდეგ - სსიპ კონკურენციის სააგენტომ დაიწყო ინტენსიური მუშაობა კონკურენციის სამართლის აღსრულების ყველა მიმართულებით. შესაბამისად, კონკურენციის



სააგენტოს ჩამოყალიბებიდან დღემდე, დასრულებული აქვს 14 მოკვლევა (განცხადება/საჩივარი/საკუთარი ინიციატივა), საიდანაც 5 ეხებოდა - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას (წყალტუბოს თერმული წყლების ბაზრის მოკვლევა; ფოთის საავტომობილო-საკონტინერო ტვირთების სატერმინალო მომსახურების ბაზრის მოკვლევა; საავტომობილო გაზის ბაზრის მოკვლევა; ხორბლისა და პურპროდუქტების ბაზრის მოკვლევა; სიგარეტის ბაზრის მოკვლევა) და არ დადასტურდა დარღვევის არც ერთი შემთხვევა; 4 მოკვლევა ეხებოდა კონკურენციის შემზღვეველ ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს (ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელი) სასაქონლო ბაზრის მოკვლევა; საავიაციო ნავთის ბაზრის მოკვლევა; ხორბლისა და პურპროდუქტების ბაზრის მოკვლევა; შავი ზღვის პორტებში ნავთობტერმინალთა ბაზრის მოკვლევა), სადაც დადასტურდა დარღვევის ერთი შემთხვევა; 4 მოკვლევა ეხებოდა სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის შეზღუვას („ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ს განცხადების საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევა; შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის განცხადების საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევა; შპს „ინტერტექნიკსი“-ს განცხადების საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევა; ა(ა) იპ „ალიანსი პროგრესული ჯანდაცვისათვის“ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე წარმოებული მოკვლევა), სადაც დადასტურდა დარღვევა ოთხივე შემთხვევაში და 1 მოკვლევა ეხებოდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტს (სს „ვირსალადის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“-ს საჩივრის საფუძველზე წარმოებული მოკვლევა), სადაც ასევე დადასტურდა დარღვევის ფაქტი..

გარდა ამისა, სააგენტოს მხრიდან განხილულია 5 შეტყობინება მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ (შპს „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია“-ს მიერ შპს „თბილცემენტ გრუპი“-ს სასაქონლო ბეტონის წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების (საოპერაციო აქტივების) შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია; სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს მიერ შპს „გნ კო“-ს 50%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია; შპს „ალტა“-სა და შპს „ევროტექნიკს ჯორჯია“-ს მიერ ერთობლივი საწარმოს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების

გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია; ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრი“-ს განცხადება შპს „ნიკორა ტრეიდი“-ს მიერ შპს „ნუგეში“-ს 100%-იანი წილის შეძენის კანონიერებისა და საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“-ს მიერ სს „ჯიპისი“-ს აქციათა 100%-ის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია) და ერთი სახელმწიფო დახმარების შესახებ წარდგენილი განცხადება (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი). ასევე დასრულებულია ყავის სასაქონლო ბაზრის მონიტორინგი. მთლიანობაში, დასრულებული მოკვლევების შედეგებიდან გამომდინარე გაცემულია 40-მდე რეკომენდაცია საქართველოს მთავრობის, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების და მოკვლევის პროცესში ჩართული ეკონომიკური აგენტების მიმართ.

ამჟამად, ოფიციალურად გაცხადებული ინფორმაციის შესაბამისად, სსიპ კონკურენციის სააგენტოში მიმდინარეობს 5 კონკრეტული საქმის მოკვლევა (განცხადება/საჩივარი/საკუთარი ინიციატივა), ერთი მოსალოდნელი კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვა და 5 სასაქონლო ბაზრის მონიტორინგი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენციის კანონმდებლობის და მისი აღმასრულებელი ინსტიტუტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესატყვისობის დონე არის განმსაზღვრელი საბაზრო ურთიერთობის ხარისხის ქვეყანაში, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კონკურენციის კანონმდებლობის რეალიზაციის კუთხით გაწეული საქმიანობა (დაწყებული 1992 წლიდან), მთლიანობაში, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე - ცალკეული გამონაკლისი პერიოდის გარდა - არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს წარმატებულად.

ამდენად, თუ წლების მიხედვით საქართველოში რეალიზებული ანტიმონოპოლიური/კონკურენციული პოლიტიკის ეფექტიანობას შევაფასებთ - დავინახავთ, რომ ყველაზე მეტად ის საწყის და ბოლო პერიოდშია გამორჩეული. ანუ, პირველი, მეორე და მერვე ეტაპი - ქართული საკონკურენციო სამართლის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში, ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც წარმატებული თუ არა, ნაწილობრივ წარმატებულად მაინც, ხოლო სხვა დანარჩენი პერიოდი კი როგორც წარუმატებელი.

სახალი მკონომისტი THE NEW ECONOMIST

1. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი“, 2007;
2. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., ეკონომიკური კონკურენცია, თბ., „ლოი“, 2012;
3. წერეთელი გ., ფეტელავა ს., შაბურიშვილი დ., საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, თბ., „ლოი“, 2009;
4. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 2002-2003 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის ანგარიში, თბ., „არადანი“, 2003;
5. სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის საქმიანობის ანგარიში, თბ., „Exclusive Print +“, 2012;
6. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2014 წლის ანგარიში, www.competition.ge;
7. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის ანგარიში, www.competition.ge.

25 years of practical realization of competition policy in Georgia

Slava Fetelava
Grigol Robakidze University
Associate Professor

The article emphasizes the role and importance of competition policy in the process of building a market economy and critically reviews 25-years period of formulation and practical realization of this policy in Georgia. The author divides this period into 8 stages. The article demonstrates the shortcomings and negative consequences of the process and concludes that, based on actual circumstances, the activities taken for the realization of competition policy in Georgia (starting from 1992) cannot be considered to be successful (except some specific cases).

Consequently, the author argues that, if we assess the effectiveness of antitrust policy in Georgia year by year, we will see that the initial and final stages were most successful. To specify, the first, second and eighth stages could be considered to be at least partly successful, but not the rest of the period.



სოციალური სტანდარტების გამოწვევა და კონსპიკტივიზმი საქართველოში



რათი აბულაძე
 ეკონომიკის დოქტორი,
 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
 ასოცირებული პროფესორი
 ტელ.: 555 354488
 ელ.ფოსტა: rati.abuladze@gmail.com

სტატიაში ნაჩვენებია მინიმალური შრომის ანაზღაურების გავლენა საზოგადოების კეთილდღეობაზე, გაანალიზებულია ფაქტობრივი მონაცემები და ტენდენციები.

კვლევითი ნაშრომი აგებულია მინიმალური ხელფასის დონის კვლევის შედეგებზე. წარმოჩენილია მინიმალური შრომის ანაზღაურების სტანდარტები მსოფლიოში. შეფასებულია მინიმალური ხელფასის ზღვარი საქართველოში.

სტატიაში ხაზგასმულია მინიმალური შრომის ანაზღაურების დაწესებით გამოწვეული რისკები და განვითარების ტენდენციები.

დასკვნის სახით ჩამოყალიბებული იქნა მინიმალური ხელფასის დონის განსაზღვრისათვის საჭირო რეკომენდაციები და პროცესები.

შესავალი

სახელმწიფო საჭიროებს, როგორც ინსტიტუციებს ისე სოციალურ სტანდარტებს. ასეთ სტანდარტს წარმოადგენს მინიმალური სახელფასო ანაზღაურება (ყოველთვიური და საათობრივი), რომელიც უთანასწორობასთან ბრძოლისა და საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის საშუალებაა.

ბუნებრივია ნებისმიერი ადამიანი იმსახურებს ისეთანაზღაურებას, რომელიც საკმარისი იქნება მისი ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მოიცავს გარკვეულ დისკრეციულ შემოსავალსაც.

აღიარებულია, რომ დაბალი ხელფასი გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე, პროდუქტიულობაზე, პიროვნულ ზრდა-განვითარებაზე, პერმანენტულ განვითარებაზე, სამუშაოზე კონცენტრირებასა და განკუთვნილი დროის ოპტიმალურ გამოყენებაზე.

I. მინიმალური შრომის ანაზღაურების გავლენა

შრომის ანაზღაურება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც შრომის ბაზრის შემადგენელი, რაც უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას, ურთერთთავსებადობაშია დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. მინიმალური შრომის

ანაზღაურება წარმოადგენს შრომის ანაზღაურების დონის რეგულირების ინსტრუმენტს[1].

ხელფასის დონის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, ეკონომიკური აქტივობა, ეკონომიკის ზრდის ტემპი, ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა, უმუშევრობის დონე, ინფლაციური პროცესები, ექსპორტ-იმპორტი და სხვა ფაქტორები.

ფაქტია, რომ კარგად ანაზღაურებული დასაქმებული კარგად მოტივირებულია. შევიძლია კაპიტალის დაგროვება, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მიზნების მიღწევა.

მიკროეკონომიკურ თეორიაში, მინიმალური შრომის ანაზღაურება განიხილება, როგორც წონასწორული ფასის მინიმალური დონე, დადგენილი მოთხოვნა-მიწოდების მრუდით[2].

მინიმალური შრომის ანაზღაურება წარმოადგენს შრომის ანაზღაურების ფორმირების მექანიზმის ერთ-ერთ ელემენტს[3].

აღსანიშნავია ისიც, რომ საწყის პერიოდში მინიმალური შრომის ანაზღაურების დაწესება გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული: სამუშაო ადგილების დაკარგვა, ორგანიზაციის დანახარჯების ზრდა, ორგანიზაციებში არსებული ახალგაზრდა და არაკვალიფიციური თანამშრომლების შემცირება, თანამშრომლების მობილობა, ოპტიმიზაცია და სხვა[4]. აღნიშნული სტანდარტის დადგენისას

სახელი მკონსპიკტივიზმი THE NEW ECONOMIST

გათვალისწინებული უნდა იქნას მწარმოებლის ფაქტორიც, რომელსაც შესრულებული სამუშაო უფრო ნაკლები შეიძლება უღირდეს, ვიდრე სტანდარტით გათვალისწინებული ანაზღაურების სიდიდე, გადასახადის ჩათვლით[5].

მინიმალური შრომის ანაზღაურება არ წარმოადგენს „უფასო ლანჩს“, რომლითაც ეხმარებიან ღარიბი და დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებს[6]. თუმცა, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დროს, რადგანაც იზრდება სოციალური წნეხისა და ღარიბი სეგმენტის დაუცველობა. შესაბამისად, სახელმწიფო სტრუქტურებმა თუ რეგიონულმა ორგანოებმა დამატებითი სოციალური გარანტიებითა და შრომის ანაზღაურებით უნდა უზრუნველყოს მოცემული სეგმენტი[1].

II. მინიმალური შრომის ანაზღაურების სტანდარტი მსოფლიოში

ინკლუზიური ზრდის საკვანძო ფაქტორს, წარმოადგენს ზრდადი ხელფასი. თუმცა, უმრავლესობისათვის სარგებლისა და შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი პრობლემაა. როდესაც ხელფასი მინიმალურ დონეზეა, ასეთი ანაზღაურების პირობებში, დავალების მიცემა წარმოადგენს სამუშაო გარემოს მოძრაობაში მოყვანის ფაქტორს, ვიდრე პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობი საშუალება[7].

მსოფლიო კრიზისის შემდგომ, გლობალურ მასშტაბში შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპი იმაზე ნელა იმატებს, ვიდრე კრიზისამდე. კრიზისამდე, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში შრომის ანაზღაურება „ორჯერ შემცირდა“. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, შრომის ანაზღაურების ზრდა მდგრადი აღმოჩნდა. შესაბამისად, აზიის ქვეყნებში, მისი შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპი იყო მნიშვნელოვანი, ხოლო აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნებში ტენდენცია იყო პოზიტიური[8].

ეკონომიკის მწარმოებლურობის ზრდის მიუხედავად, ხელფასის დონე ინარჩუნებს უთანასწორობას, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებიდან, სამიდან ერთი ქვეყანაში, მინიმალური შრომის ანაზღაურების არსებულ სპექტრზე ნაკლები იყო 2013 წელს, ვიდრე ეს იყო

6 წლის წინ. 2015 წელს OECD-ს 34 წევრ ქვეყნიდან, 26 ქვეყანას კანონმდებლობით აქვს განსაზღვრული მინიმალური შრომის ანაზღაურება[9].

მინიმალური შრომის ანაზღაურების (ყოველთვიური, საათობრივი) სოციალური სტანდარტი ქვეყნის ეკონომიკური სტანდარტის შესაბამისია. მსოფლიოში მინიმალური საათობრივი ანაზღაურება შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ქვეყნების მაგალითზე: ბრაზილია 3,58 რეალი (2.7 ლარი), ჩინეთი 8 იუანი (2.9), პოლონეთი 10.12 ზლოტი (6.3 ლარი), სამხრეთ კორეა 6000 ვონი (12.8 ლარი), ისრაელი 25 შეკელი (16 ლარი), იაპონია 780 იენი (18.5 ლარი), აშშ- 7.25 დოლარი (17.7 ლარი), გერმანია 8.5 ევრო (23.1 ლარი), დიდი ბრიტანეთი 6.7 გირვანქა სტერლინგი (20.4 ლარი), საფრანგეთი 9.61 ევრო (26.1 ლარი), ავსტრალია 16 ავსტრალიური დოლარი (30,1 ლარი)[10]. ნიუ-იორკისა და კალიფორნიის შტატმა ხელი მოაწერა კანონს, რომლის მიხედვითაც, მინიმალური ანაზღაურება საათში იქნება 15 დოლარი[11].

მხედველობაშია მისაღები სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მინიმალური ხელფასი, სადაც ლიდერობს ავსტრალია, ლუქსემბურგი და ბელგია. ხუთეულში შედის ირლანდია და საფრანგეთი. ათეულს აბოლოებს გერმანია, კანადა და დიდი ბრიტანეთი. მათ ჩამორჩება აშშ, იაპონია, ისრაელი (WEF). OECD-რეალური მინიმალური ხელფასი მოცემულია ცხრილში[12].

საკითხს თუ კრიტიკულად მივუდგებით, დავინახავთ, რომ აღნიშნული პოლიტიკა ბიზნესს „ტკივილს“ აყენებს, გავლენას ახდენს ფასების ზრდასა და მწარმოებლურობის შემცირებაზე.

გასათვალისწინებელია გლობალური უმუშევრობის დონე, რომელიც შეადგენს 197,1 მილიონ კაცს, პროგნოზით არსებული დონე გაიზრდება და მიაღწევს 199,4 მლნ-ს (2016 წელს), ხოლო 200.5 მლნ-ს (2017 წელს). როდესაც მოსალოდნელია უმუშევრობის ზრდა, კომპანიები უპირატესობიდან გამომდინარე შრომის ბაზარზე ქმნიან არახელსაყრელ კლიმატს: აწესებენ მაღალ მოთხოვნებს.

ისტორია აჩვენებს, რომ როდესაც ხელფასი არ წარმოადგენს მაღალს, კეთილთვისებიანი ეფექტი აქვს მხოლოდ უმუშევრებზე. თუმცა კვლევებით დასტურდება, რომ დასაქმებული მაღალი შრომის ანაზღაურებით უკეთესად მუშაობს, უკეთესი ხარისხითა და უკეთესი შედეგებით[7].

OECD -ს წევრ ქვეყნებში არსებული რეალური მინიმალური ხელფასი

Table with 12 columns (years 2006-2016) and multiple rows listing countries and their minimum wage rates in Georgian Lari.

II. მინიმალური შრომის ანაზღაურება საქართველოში

მსოფლიოში, მინიმალური ხელფასის ყველაზე დაბალი ზღვარი აქვს საქართველოს, უკრაინას, ხაზახეთს, მოლდოვას, ბელარუსს, სომხეთს, აზერბაიჯანს, რუსეთს (დადგენილი ზღვარი 107 დოლარზე ნაკლებია)[13].

თეორიულ კონსტრუქციაში, საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი მიმზიდველია (900,4 ლარი, Geostat). მინიმალური ხელფასის ოდენობა თვეში 20 ლარს შეადგენს, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მომსახურეთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობა 135 ლარს[14].

შემოსავლების სამსახურის 2016 წლის მარტის მონაცემებით, საქართველოში 100 ლარზე დაბალი ხელფასი აქვს 25 001 ადამიანს, საარსებო მინიმუმზე დაბალი ხელფასი კი 62 681-ს, ხოლო ოჯახის საარსებო მინიმუმზე დაბალი 130 282 ადამიანს[14].

ექსპერტების შეფასებით, საქართველოში ადამიანი 178 საათი მუშაობს და საათში 0,42- №4(43), 2016 წელი, year

0,45 დოლარს გამოიმუშავებს. ამასთან, საშუალო საათობრივი ანაზღაურება საქართველოში მხოლოდ 2,2 დოლარს შეადგენს (ს. არჩვამე, com-mersant, 2016).

იმისათვის, რომ ადამიანმა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეძლოს საჭიროა ჰქონდეს ჯეროვანი ანაზღაურება.

კვლევები ადასტურებს, რომ საშუალო შრომის ანაზღაურების დონე და ზრდის ტემპი განსხვავებულია რეგიონული აქტივობის მიხედვით. შრომის ანაზღაურება ჩვეულებრივ მაღალია იმ რეგიონებში, რომელსაც მძლავრი ეკონომიკური ზრდა აქვს.

საზოგადოება აცნობიერებს, რომ არსებული უმუშევრობის პირობებში, მოქალაქეებს უწევს დაბალანაზღაურებადი სამუშაოების შესრულება. განვითარებულ ქვეყნებში ასეთი ანაზღაურებით მუშაობს არაკვალიფიციური თუ დაბალკვალიფიციური სპეციალისტები. საქართველოში, კი პირიქით დაბალანაზღაურებად სამუშაოს ასრულებს მაღალკვალიფიციური და „პატრონის არმქონე პირები“.

საქართველოში, შრომა ისეთი იაფია, ენთუზიაზმით უფრო ხარ სავსე, ვიდრე მოტივაციით. როცა მუშაობ, კრედიტის აღების შესაძლებლობით ხარ უზრუნველყოფილი ვიდრე კაპიტალის დაგროვებით.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში მინიმალური შრომის ანაზღაურების პოლიტიკა ცხოვრების დონეზე თეორიულად ახდენს გავლენას, ხოლო პრაქტიკულად კი მისი გავლენა (დასაქმებულებისათვის) მცირეა[15].

კვლევები ადასტურებს, რომ მინიმალური შრომის ანაზღაურების 10%-ით ზრდა, იწვევს ორგანიზაციებში დასაქმებულთა 2%-ით შემცირებას (არ გულისხმობს უმუშევრობის 2%-ით ზრდას)[16], სურსათის ფასების 4%-ით ზრდას, ხოლო ზოგადად ფასების - 0.4%-ით ზრდას[17].

მინიმალური ხელფასის ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია:

- პროექტებსა და კომპანიებში დიდია უცხოელებისა და უცხოური კაპიტალდაბანდების წილი. საინვესტიციო მიმზიდველობის ერთ-ერთი ფაქტორი არის ქვეყანაში არსებული დაბალი შრომის ანაზღაურება ;
- ქვეყანაში არსებული უმუშევრობის დონე კავშირშია შრომის ანაზღაურების დონესთან, შრომის ანაზღაურების ზრდასთან უმუშევრობის დონის ზრდის ალბათობაც დიდია;
- ეკონომიკური აქტივობის, ექსპორტის ზრდის, ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდის დონე კავშირშია შრომის ანაზღაურების დონესთან;
- კრედიტების მისაწვდომობა, ფინანსური მდგრადობა, წარმოებისა და გასაღების ტემპი, საექსპორტო და საინვესტიციო შესძლებლობები აისახება ხელფასის ოდენობაზე, ზრდა განვითარებასა და ქვეყნის ძლიერებაზე;

შეჯამება

კვლევები ადასტურებს, რომ მინიმალური შრომის ანაზღაურების გავლენა უმუშევრობაზე ვარირებს ეკონომიკის მდგომარეობის მიხედვით. სტაბილური ეკონომიკის პირობებში, მინიმალური შრომის ანაზღაურება ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორია განსაზღვრულ დონეზე და პირიქით.

მინიმალური შრომის ანაზღაურება განიხილება, როგორც ერთ-ერთი მრავალ ელემენტს შორის, რომელიც გავლენას ახდენს მოსახლეობის დასაქმების დონეზე.

ქვეყანაში, შრომის ანაზღაურების მინიმუმის დადგენით სიღარიბე ვერ გადაიჭრება, სოციალურ-

ეკონომიკური ფონი ვერ შეიცვლება, კეთილდღეობა ვერგაიზრდება. მინიმალური შრომის ანაზღაურების სტანდარტის დადგენა გავლენას იქონიებს ისეთ მოწყვლად ჯგუფებზე, როგორიცაა: არასრული სამუშაო განაკვეთით მომუშავე მუშაკები, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახები, არამმართველობით სფეროში დასაქმებული პირები, ახალგაზრდა და დაბალკვალიფიციური თანამშრომლები.

ამასთან, ასეთი კანონპროექტები მხოლოდ ხალხის გულის მოგებას რომ არ ემსახურებოდეს, საჭიროა წინასწარ იქნას ნაჩვენები შრომის ანაზღაურების პოლიტიკა როგორ გავლენას იქონიებს:

- უმუშევრობაზე. საჭიროა დადგინდეს მისი გავლენა ბიზნეს სექტორზე და დასაქმებულებზე;
- მოსალოდნელ ეფექტზე. განსაზღვრული უნდა იქნას შრომის ეფექტიანობისა და ბიზნესის ბრუნვის ცვლილება;
- საინვესტიციო მიმზიდველობის ცვლილებაზე. იმიგრაციის მასშტაბებზე. უცხოელთა შრომით ჩანაცვლებაზე;
- მინიმალური ხელფასის ზრდის გავლენით გამოწვეულ სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებზე; შეფასებული უნდა იქნას ფასების ზრდის ალბათობა;
- დასაქმების არაკანონიერ გზებზე. მაგალითად, შრომითი ხელშეკრულების გარეშე ხალხის დასაქმება, სტაჟირების რაოდენობის ზრდა, სტაჟირების ხანგრძლივობის ზრდა. ჯამში საჭიროა გაანალიზდეს შრომის ანაზღაურების პოლიტიკის გავლენით გამოწვეული ნეგატიური შედეგები კომპენსირება რით მოხდება;

დასასრულს დავძენთ, რომ:

- განსაზღვრულ პერიოდში, მთავრობამ დაბალანაზღაურებადი დასაქმებულების ფინანსურ მხარდაჭერას მხარი უნდა დაუჭიროს (მაგალითად, საჭიროა პროფესორების და ახალგაზრდა მეცნიერების ხელფასის ზრდის მიზნით სახელმწიფო მხარდაჭერა);
- სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს, რომ მინიმალური შრომის ანაზღაურების სტანდარტის რისკები, ბერკეტის ეფექტიანობა და ინოვაციური მიდგომები. გაითვალისწინოს, რომელი დონე მოიტანს ზიანს, ვიდრე სარგებელს;
- ნეგატიური ეკონომიკური შედეგების მიუხედავად, აუცილებელია ქვეყანაში დადგინდეს გონივრული მინიმალური შრომის ანაზღაურება;



1. Устинова К.А. МИНИМАЛЬНАЯ ЗАРАБОТНАЯ ПЛАТА КАК ИНСТИТУТ РЫНКА ТРУДА. Социальные аспекты регионального развития. ПРОБЛЕМЫ РАЗВИТИЯ ТЕРРИТОРИИ • ВЫП. 6 (52) • ОКТЯБРЬ – ДЕКАБРЬ • 2010. <http://pdt.vscs.ac.ru/article/848/full>
2. Greer S., Castrejon I., Lee S. The Effect of Minimum Wage and Unemployment across Varying Economic Climates. Georgia Institute of Technology.
https://smartech.gatech.edu/bitstream/handle/1853/52874/Castrejon_Greer_Lee_Final%20Draft.pdf
3. Кобзарь Е.Н. Минимальная заработная плата и региональные рынки труда в России: Препринт WP15/2009/06. — М.: Изд. дом Государственного университета – Высшей школы экономики, 2009.
4. Neumark D. The Effects of Minimum Wages on Employment. FRBSF Economic Letter. ECONOMIC RESEARCH, FEDERAL RESERVE BANK OF SAN FRANCISCO. December 21, 2015.
<http://www.frbsf.org/economic-research/publications/economic-letter/2015/december/effects-of-minimum-wage-on-employment/>
5. <http://www.institutmolinari.org/IMG/pdf/note20083en.pdf>
6. Neumark D. Employment effects of minimum wages. ZA World of Labor 2014. <http://wol.iza.org/articles/employment-effects-of-minimum-wages-1.pdf>
7. world economic forum. Where are the world's highest minimum wages?
<https://www.weforum.org/agenda/2016/04/where-are-the-world-s-highest-minimum-wages/>
8. Международная организация труда. Доклад «Заработная плата в мире в 2012-2013 гг»: Заработная плата и справедливый рост / ГТПДТ и Бюро МОТ для стран Восточной Европы и Центральной Азии. - Москва : МОТ, 2013.
9. OECD. Focus on Minimum wages after the crisis: Making them pay. May, 2015. <http://www.oecd.org/social/Focus-on-Minimum-Wages-after-the-crisis-2015.pdf>
10. <http://www.exocur.ru/sravnenie-minimalnoy-pochasovoy-oplatyi-v-raznyih-stranah-mira/>
11. <http://dailysignal.com/2016/04/22/15-minimum-wages-would-be-the-highest-in-the-world/>
12. <https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=RMW#>
13. <http://www.eurofound.europa.eu/observatories/eurwork/articles/working-conditions-industrial-relations/statutory-minimum-wages-in-the-eu-2016>
14. ომბუდსმენი და პროფკავშირების თავმჯდომარე საარსებო მინიმუმისა და მინიმალური ხელფასის დეფინიციის განსაზღვრას ითხოვენ . 12:00 04-11-2016 . <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/405103-ombudsmeni-da-profkvashirebis-thavmjdome-saarsebo-minimumisa-da-minimaluri-khelfasis-definicii-gansazghvras-ithkhoven.html?ar=A>
15. აბულაძე რ. საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია. მონოგრაფია. მეორე გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალი, თბილისი, 2015.
16. <http://www.economist.com/blogs/buttonwood/2016/04/minimum-wages>
17. <http://journalistsresource.org/studies/economics/inequality/the-effects-of-raising-the-minimum-wage>

Challenges and prospects of social standards in Georgia


Rati Abuladze
PhD of economics,
Associate Professor
of Georgian Technical University.

In the article there is shown the impact of minimum work compensation on social welfare, there are analyzed the factual data and tendencies.

Research work is grounded on the results of the level of minimum salary. There are exposed the standards of minimum work compensation in the world. There are assessed the limit of minimum salary in Georgia.

In the article there is underlined the risks resulted from fixing the minimum work compensation and the tendencies of development.

In face of findings, there are formatted the recommendation and processes for the determination of minimum salary level.



ეთერ სარჯველაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი
ტელ.: 551 007191
ელ.ფოსტა: sarjveladze@gmail.com

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სასურსათო პროდუქტების უვნებლობის უზრუნველყოფა თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. სურსათის უვნებლობა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების - ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა და, შესაბამისად, სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკებისაგან დაცვას გულისხმობს.

საქართველოში სურსათის უვნებლობის რეგულირების და სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო არის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც სურსათის უვნებლობის რეალურად მიღწევას უზრუნველყოფს შემდეგი მექანიზმებით: ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი, ნიმუშის აღება, დოკუმენტური შემოწმება. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზნით სააგენტო ინსპექტირებას ახორციელებს გაფრთხილების გარეშე, გეგმურად და არაგეგმურად. ამ სააგენტოს მიერ, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე ბოლო პერიოდში ჩატარებული სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სურსათის უვნებლობის რეგულირების სფეროში ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, როგორც საკანონმდებლო რეგულაციების ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების, ისე ბაზრის კონტროლისა და მონიტორინგის მხრივ. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რადგან ამ მიმართულებით ბაზარზე ჯერ კიდევ არსებობს დარღვევები. შედეგადად ამ აღმოჩენებისა და ოპტიმიზაციის მიზნით საჭიროა გაგრძელდეს საკანონმდებლო და ეფექტიანი მმართველობითი სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება, ამ დარგის მეცნიერების, ექსპერტების, მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

სასურსათო პროდუქტების უვნებლობის უზრუნველყოფა თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მისი აქტუალურობა ყოველწლიურად იზრდება, რადგან სწორედ სასურსათო პროდუქტებისა და ნედლეულის უვნებლობა განსაზღვრავს, დიდწილად, მოსახლეობის ჯანმრთელობასა და გენოფონდის შენარჩუნებას [1, გვ. 191].

ტერმინი-“სურსათის უვნებლობა” არცთუ დიდი ხანია რაც დამკვიდრდა საქართველოში. სურსათის უვნებლობის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინები-სურსათის ხარისხი და სურსათის უსაფრთხოება.

სურსათის უვნებლობა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების - ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა და, შესაბამისად, სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკებისაგან დაცვას გულისხმობს, ხოლო „სასურსათო უსაფრთხოება - ეს არის ნებისმიერი ქვეყნის ყველა ფენის მოსახლეობის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების

შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე“ [2, გვ.21].

სასურსათო ჯაჭვის ნებისმიერი რგოლი – ფერმერი, დამამზადებელი, გადამამუშავებელი, დისტრიბუტორი, სატრანსპორტო კომპანია, საცალოდ მოვაჭრე სრულყოფილად უნდა ფლობდეს ინფორმაციას გამოყენებული ნედლეულის, წარმოებული პროდუქტის, განხორციელებული საწარმოო პროცესების შესახებ, რათა ზუსტად დაადგინოს, თუ რა ეტაპზე, სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რა სახის პრობლემა შეიძლება წარმოიშვას და როგორ შეიძლება ამ საფრთხის თავიდან აცილება, მინიმუმამდე დაყვანა ან აღმოფხვრა.

სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა რამდენიმე საფეხურისაგან შედგება: 1. პირველადი წარმოების სანიმუშო პრაქტიკა; 2. წარმოების სანიმუშო პრაქტიკა – ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებული მოთხოვნები; 3. წინასწარი აუცილებელი პროგრამები– სტანდარტული სამუშაო ინსტრუქციები; 4.HAC-



CP- საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა [2, გვ.20].

ცხადია, სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირება მხოლოდ ყველა ეტაპის თანმიმდევრული, ეფექტიანი და სწორი განხორციელების შედეგად მიიღწევა.0

სურსათის უვნებლობის მიღწევა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. პირველ რიგში აუცილებელია, რომ ის არ შეიცავდეს ადამიანის ორგანიზმისათვის ისეთ მავნე ნივთიერებებს, როგორცაა: მძიმე მეტალები ან მათი მარილები, ზოგიერთი ალკალოიდი, გლიკოზიდი, საექვო გემოვანი დანამატი, კონსერვანტი, საკვებისათვის არადამახასიათებელი უცხო ნივთიერებები, ბუნებრივი ტოქსიკური ნივთიერებები, დამაჭუჭყიანებლები გარემოდან (მძიმე მეტალები, მიკოტოქსინები, პესტიციდები, რადიონუკლიდები) და სხვა.

ტოქსიკური ნივთიერებების საკვებ პროდუქტებში მოხვედრა შესაძლებელია სხვადასხვა გზით – ბიოლოგიური ჯაჭვის სხვადასხვა რგოლში დაგროვებით, წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესში.

დღეს, როდესაც განუწყვეტილად ფართოვდება სასურსათო პროდუქტების ასორტიმენტი, იცვლება კვების ხასიათი, ინერგება წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის ახალი ტექნოლოგიური პროცესები, რაც დაკავშირებულია ორგანიზმისათვის უცხო ქიმიური ნივთიერებების გამოყენების მკვეთრ ზრდასთან. შესაბამისად, უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სურსათის უვნებლობის საკითხები.

სასურსათო პროდუქტებში, ადამიანის ორგანიზმისათვის მავნე, საშიში ნაერთების მოხვედრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენებით დაბინძურებული გარემო წარმოადგენს. ამიტომ სასურსათო პროდუქტების უვნებლობის საკითხის გადაჭრისთვის, უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის წარმოების საკითხი უნდა გადაიჭრას. ეს გლობალური ამოცანაა და მისი გადაჭრისათვის საჭიროა არა მარტო დრო, არამედ – ფინანსებიც [1, გვ.191].

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგები ნათლად მეტყველებენ, თუ რაოდენ მაღალია საკვები პროდუქტების დაბინძურება ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებებით, რადიონუკლიდებით, ბიოლოგიური აგენტებით და მიკროორგანიზმებით. FAO-ს მონაცემებით 1990-იანი წლებიდან რადიონუკლიდების შემცველობა

საკვებ პროდუქტებში 5-20-ჯერ გაიზარდა, ნიტრატების - 5-ჯერ.

სასურსათო პროდუქტების უვნებლობის ძირითად გარანტიას მათი სერტიფიცირებისა და სტანდარტიზაციის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემა წარმოადგენს. ბოლო წლებამდე, კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგში ძირითადად ხდებოდა საბოლოო პროდუქციის სერტიფიცირება.

მომხმარებლის უფლებების დასაცავად, აუცილებელია, არა მარტო საბოლოო პროდუქტის, არამედ წარმოების სერტიფიცირებაც, რაც საშუალებას მისცემს კომპეტენტურ ორგანოებს აკონტოლონ სასურსათო პროდუქციის უვნებლობა და ხარისხი, მისი წარმოების ყველა ეტაპზე, დაწყებული ნედლეულიდან და დამთავრებული საბოლოო პროდუქტით .

ევროკავშირის მიერ 2002 წელს მიღებული „სურსათის ძირითადი კანონი“ [Regulation (EC) No 178/2002 of the European Parliament and of the Council of 28 January 2002 laying down the general principles and requirements of food law, establishing the European Food Safety Authority and laying down procedures in matters of food safety] ფაქტობრივად აჯამებს სურსათის რეგულირების სფეროში ევროკავშირის მიერ განვლილ გზას. კანონში თავმოყრილია სურსათის სფეროს რეგულირების ძირითადი, „ჩარჩოს“ დონის ზოგადი დებულებები. მათი უმეტესობა დამატებით, უფრო დეტალურად სხვა რეგულაციებში არის გაწერილი ან განმარტებული [3, გვ.27]. 178/2002 რეგულაცია სურსათის სფეროში ევროკავშირის ძირითად მარეგულირებელ ჰორიზონტალურ დოკუმენტს წარმოადგენს და სხვადასხვა დებულებებს მოიცავს: რეგულაციის პირველი მუხლით იკრძალება ჯანმრთელობისთვის მავნე და ადამიანის მოხმარებისთვის უვარგისი სურსათის ბაზარზე განთავსება. კერძოდ, რეგულაციის მე-14 მუხლის მიხედვით, „ბაზარზე არ უნდა განთავსდეს სურსათი, რომელიც არ არის უვნებელი“. „ითვლება, რომ სურსათი არ არის უვნებელი, თუკი ის: ა) საზიანოა ჯანმრთელობისთვის, ბ) გამოუსადეგარია ადამიანის მოხმარებისთვის“. რეგულაციის მე-15 მუხლი ანალოგიურ მოთხოვნებს ადგენს ცხოველთა საკვებისთვის, იმ განსხვავებით, რომ აკრძალვა ვრცელდება ცხოველთა მავნე საკვების არა მხოლოდ ბაზარზე გასაყიდად გამოტანაზე, არამედ ასეთი საკვებით იმ ცხოველების გამოკვებაზეც, რომლებიდან მიღებული პროდუქტები გამოიყენება გადაუმუშავებლად ან სხვა სახის სურსათის დასამზადებლად. ცხოველთა მავნე საკვებად მიიჩნევა საკვები, რომელიც

სხალი მკონოსი THE NEW ECONOMIST

უარყოფითად მოქმედებს ცხოველების ან ადამიანის ჯანმრთელობაზე ან რომლის გამოც ცხოველისგან დამზადებული სურსათი უვნებელი აღარ იქნება.

რეგულაცია ადგენს იმ ფაქტორებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს იმის გასარკვევად, არის თუ არა სურსათი მავნე, ჯანმრთელობისთვის საზიანო ან ადამიანის მოხმარებისთვის გამოუსადეგარი. კერძოდ, რეგულაცია ითხოვს, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დადგინდეს: ა) ამ პროდუქტის არა მხოლოდ მყისიერი, მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ეფექტი იმ ადამიანის ჯანმრთელობაზე, რომელმაც ის შეჭამა, არამედ მისი ზეგავლენა მომავალ თაობებზეც; ბ) სურსათის მოხმარების შედეგად მიღებული კუმულაციური (დაგროვებითი) ტოქსიკური ეფექტი; გ) მოხმარებელთა ცალკეული ჯგუფების ჯანმრთელობის განსაკუთრებული მგრძობელობა, თუკი სურსათი ამ ჯგუფისთვისაა გამიზნული [7, მუხლი 11].

ადამიანის მოხმარებისთვის სურსათის გამოუსადეგრობის დასადგენად აუცილებლად უნდა დაზუსტდეს ის ფაქტორები, რომელთა არსებობის შემთხვევაში მისი გამოყენება დაუშვებელია. ასეთი შეიძლება იყოს მისი დაბინძურება, ლპობა, დაძველება ან გაფუჭება. ყველა შემთხვევაში სურსათის ვარგისიანობის დადგენისას მხედველობაშია მისაღები: ა) მოხმარებლის მიერ ამ სურსათის მოხმარების ნორმალური (ჩვეულებრივი, დადგენილი) პირობები; ბ) ამ სურსათის ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების საშუალებები. სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკების შემცირებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მოხმარებლის ინფორმირებას.

ევროკავშირში სურსათის სფეროში სწრაფი შეტყობინების სისტემა 1979 წლიდან ფუნქციონირებს. ეს არის ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინირების სისტემა წევრ-ქვეყნებსა და ევროკომისიას შორის. ის უზრუნველყოფს სურსათის ნაკლის (წუნის) შესახებ ბაზარზე ან საზღვარზე გამოვლენილი ინფორმაციის სწრაფად მიწოდებას თანამეგობრობის საჯარო ორგანოებისთვის, წუნდებული სურსათის მთელი პარტიის გამოვლენას და ბაზრიდან მაქსიმალურად სწრაფად ამოღებას, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ან საერთოდ თავიდან იქნეს აცილებული მოხმარებლისთვის მიყენებული ზიანი. საგანგებო სიტუაციების მართვასა და კოორდინირებას უზრუნველყოფს ევროკომისია. რეგულაციის მიხედვით, ამ სისტემაში ასევე ჩართულია

სურსათის უვნებლობის ევროპული ორგანოც.

საქართველოში სურსათის უვნებლობის რეგულირების ძირითადი კანონია „საქართველოს კანონი სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ [7], ხოლო სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო არის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც სხვადასხვა დასახელებით ფუნქციონირებდა 2006 წლიდან. იგი შეიქმნა „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ხოლო 2011 წლიდან ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად [4].

სააგენტოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა უვნებელი სურსათის მიწოდების გზით. ეს და სხვა მნიშვნელოვანი ვალდებულებები ხორციელდება ცენტრალური აპარატისა და 11 რეგიონული სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით.

2012 წლის შემდგომ, სოფლის მეურნეობის დარგისთვის და კონკრეტულად, ცხოველთა/ მცენარეთა ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის სფეროებისთვის პრიორიტეტის მინიჭებამ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის განვითარების ახალი ეტაპის დაწყება განაპირობა. 2014 წლის დასაწყისიდან ლაბორატორიულ ქსელში განხორციელდა ფუნდამენტური ცვლილებები, მათ შორის: თბილისის სათავო ლაბორატორიამ მიიღო საერთაშორისო აკრედიტაცია, დაინერგა ISO 9001-ის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საკვების ექსპერტიზის განყოფილების მიერ წარმოებული სურსათისა და წყლის მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური კვლევების ჩამონათვალი; საბჭოთა სტანდარტებზე დაფუძნებული კვლევის მეთოდები (FOCT) ჩანაცვლდა საერთაშორისო სტანდარტებზე (ISO) დაფუძნებული მეთოდებით [6].

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზანია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და მოხმარებელთა ინტერესების დაცვა, რაც რისკის საფუძველზე შემდეგი მექანიზმებით ხორციელდება: ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი, ნიმუშის აღება, დოკუმენტური შემოწმება. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზნით სააგენტო ინსპექტირებას ახორციელებს გაფრთხილების გარეშე, გეგმურად და არაგეგმურად [4].



სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი არის გეგმური ინსპექტირება, რომლის დროსაც ბიზნესოპერატორებთან ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა სურსათის წარმოების, გადამამუშავების, დისტრიბუციისა და პირველადი წარმოების ეტაპზე. გეგმური ინსპექტირება ხორციელდება რისკზე დაფუძნებული სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შესაბამისად.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წელს განხორციელებული სახელმწიფო კონტროლი გაცილებით მასშტაბური იყო, ვიდრე დანარჩენ წლებში. სააგენტოში მიმდინარე ინსტიტუციურმა და საკადრო ცვლევებებმა უზრუნველყო სამომხმარებლო ბაზრის დაცვა, სკოლამდელი და სასკოლო, ასევე სამედიცინო დაწესებულებების კვების ბლოკების მასშტაბური შემოწმება, რის შემდეგაც ბევრად მეტად იქნა დაცული მომხმარებელი, ვიდრე გასულ წლებში. სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანობას ხელი შეუწყო საკანონმდებლო ცვლილებებმა. მაგალითად, რძისა და რძის პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედებამ რადიკალურად შეცვალა რძის პროდუქტების ბაზარზე არსებული ვითარება. ნორმატიული აქტების სრულყოფის შედეგად ინსპექტირებები განხორციელდა უფრო ეფექტიანად. ინსპექტირების განხორციელების პროცესში სამკერდე პორტატული აპარატურის დანერგვით გაიზარდა ინსპექტორთა კონტროლის მექანიზმები. ჩატარებული ტრენინგების შედეგად ამაღლდა ინსპექტორთა მოტივაცია და კომპეტენცია, რამაც, თავის მხრივ, გაზარდა ინსპექტირების ეფექტიანობა.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ საქართველოს მთავრობამ 2014 წელს მუშაობა დაიწყო სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ახალი საკანონმდებლო მიახლოების პროგრამების შემუშავებაზე. პროგრამები 2015-2027 წლებს მოიცავს და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის 272 ნორმატიულ აქტთან მიახლოებას ითვალისწინებს. 2015 წელს მხარეებმა ვერ მოახერხეს ამ პროგრამებზე საბოლოო შეთანხმება, თუმცა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკვე დაიწყო ამ დოკუმენტების მიხედვით მუშაობა. 2015 წლის ბოლოსათვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამების 2015 წლის გეგმებით გათვალისწინებული, ევროკავშირის 30 ნორმატიული აქტიდან 23-თან მოხდა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება, ანუ 2015 წლის გეგმა მხოლოდ 76%-ით შესრულდა.

ამავე დროს, დარჩენილი 7 ნორმატიული აქტიდან, 4 უკვე 2016 წლის იანვარში დამტკიცდა.

2015 წელს მთავრობის დადგენილებით მიღებულ იქნა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნები“, რომელიც 2016 წ. 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. ამ დოკუმენტით დაკონკრეტდა ის ინფორმაცია და პროცედურები, რომლებიც უნდა გააჩნდეს ბიზნესოპერატორს, რათა საჭიროების შემთხვევაში შეძლოს შეუსაბამო პროდუქციის წარმოქმნის მიზეზის დადგენა და, საჭიროების შემთხვევაში, ასეთი პროდუქციის ბაზარზე განთავსების შეზღუდვასთან/აკრძალვასთან ან ბაზრიდან მის ამოღებასთან დაკავშირებით, სათანადო ზომების გატარება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2015 წელს „სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი ჩატარა, რომელმაც შემოსავლების სამსახურის მიერ სურსათის სასაზღვრო კონტროლი და ასევე, სეს-ის მიერ განხორციელებული სურსათის ინსპექტირება და მონიტორინგი მოიცვა. აღსანიშნავია, რომ ევროპის ფონდის 2014 წლის სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირების ანგარიშის ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო მთავრობას სურსათის უვნებლობის რეფორმირებისათვის გამოყოფილი რესურსის გამოყენების ეფექტიანობა შეეფასებინა.

ეფექტიანობის აუდიტის პრაქტიკა საქართველოში სულ რამდენიმე წლის წინათ დაინერგა და სურსათის უვნებლობის რეგულირების სექტორი პირველად მოიცვა. ამ აუდიტის ჩატარება სურსათის უვნებლობის სფეროს მნიშვნელობის კიდევ ერთი აღიარება და ამ სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიურობის დაფასებაა [6]. გასათვალისწინებელია, რომ სანიტარიული და ფიტოსანიტარიული (SPS) ღონისძიებების ნაწილები საერთოდ არ ითვალისწინებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაწილეობას მაშინ, როცა აღნიშნული სამინისტროს აქტიური მუშაობის გარეშე შეუძლებელია სურსათის უვნებლობის ეფექტიანი სისტემის შექმნა. აღსანიშნავია, რომ „სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა“ ითვალისწინებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

სახელმწიფო აუდიტი საქართველოში THE NEW ECONOMIST

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2014 წელს შექმნა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის ერთ-ერთ ამოცანასაც წარმოადგენს სურსათის უვნებლობის კუთხით საქართველოში არსებული რისკების მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით შეფასება და, ამ მხრივ, ქვეყანაში არსებული დიდი ხარვეზის შევსება.

2015 წლის გეგმის შესრულების ანგარიშის პირველივე გვერდზე აღნიშნულია, რომ „ანგარიშში ასახული ინფორმაციის ნაწილი სცილდება საანგარიშო პერიოდს“. მართლაც, ანგარიშში შეტანილი საქმიანობის ნაწილი 2016 წელსაა განხორციელებული. ამრიგად, 2015 წლის გეგმის სრულად შესრულება ვერ მოხერხდა.

„ევროპის ფონდის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- მხოლოდ 76%-ით შესრულდა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროებში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გეგმები [5, გვ. 33];
- სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ვერ შეძლო ინსტიტუციური განვითარების გეგმის განახლება;
- კერძო სექტორთან თანამშრომლობა და მისთვის დახმარების გაწევა ახალი საკანონმდებლო

მოთხოვნების შესრულების მიზნით მიმდინარეობს, თუმცა ეს ღონისძიებები არასაკმარისია;

• სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ ვერ მოასწრო როგორც ფიტოსანიტარული კვლევების ლაბორატორიის პერსონალის გადამზადება და ლაბორატორიის აკრედიტაცია, ასევე, საველესადგურებში ცხოველთა ქვეყნისათვის პრიორიტეტული დაავადებების დიაგნოსტიკის დანერგვა.

განხილული მასალებიდან და ბაზრის შეფასებიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სურსათის უვნებლობის რეგულირება საქართველოში, როგორც საკანონმდებლო რეგულაციების ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების, ისე ბაზრის კონტროლისა და მონიტორინგის მხრივ, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ამ მიმართულებით, რადგან ბაზარზე ჯერ კიდევ არსებობს დარღვევები. საჭიროა გაგრძელდეს საკანონმდებლო და ეფექტიანი მმართველობითი სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება, ამ დარგის მეცნიერების, ექსპერტების, მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სარჯველაძე ე., წულაია დ., ქუჩუკაშვილი ზ. კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2015.
2. ლაფერაშვილი ქ., ქუჩუკაშვილი ზ. სურსათის უვნებლობა და ხარისხი. თბ., 2011 (ტემპუსის პროექტი JEP-159340 , www.biosciences-tempus.org).
3. თოდუა ლ. სურსათის რეგულირება ევროკავშირში, სურსათის ძირითადი კანონი. საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი. თბ., 2013. http://momxmarebeli.ge/images/file_246141.pdf
4. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის ანგარიში <http://nfa.gov.ge/ge/inspeqtirebis-shedegebi>
5. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს ხელისუფლების მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება. თბილისი. © ევროპის ფონდი, 2016.
(ანგარიში მომზადებულია ევროპის ფონდის მიერ, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „ევროკავშირთან დაახლოების გამჭვირვალე პროცესი: სანიტარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა საქართველოსა და მოლდოვაში“).
6. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ. http://moa.gov.ge/contentimage/STRATEGIA_-geo_print.pdf
7. საქართველოს კანონი სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ. თბილისი, 2005 წლის 27 დეკემბერი. N 2548 - რს



Eter Sarjveladze
 Doctor of Economics
 Assistant Professor of Economics and Business Faculty,
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Food safety is one of the most important problem for the modern society. Food safety, for human rights, protection of life and health is one of the necessary condition and, therefore, to protect the food consumption of the risks.

In Georgia food safety regulation and state control body is the Ministry of Agriculture of LEPL the National Food Agency, which is actually the achievement of food security provides the following mechanisms: inspection, supervision, monitoring, sampling, documentary check.

Food /animal feed safety controls, the Agency carries out inspections without warning, planned and unplanned. The Agency, acting in Georgia legislative acts of the last period of the works as a result of greatly improved food safety regulations in the situation in the country, as the legal regulations with the EU legislation closer to the control and monitoring of the market. But there is still much to be done, because in the market there are still violations. Increase efficiency and optimize the need for continued and effective management of design and execution, this branch of science, experts, entrepreneurs and other interested parties.



ბასილ ხიზანიშვილი

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში.

მობ: 592 20 09 21

E-mail: basil.khizanishvili@yahoo.com

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

საჯარო-კერძო პარტნიორობა (სკპ) არის ორგანიზაციული ფორმა, რომელიც ფინანსდება და ფუნქციონირებს ხელისუფლების და ერთი ან მეტი კერძო სექტორის კომპანიის მიერ.

სკპ მოიცავს კონტრაქტს ხელისუფლების საჯარო სექტორსა და კერძო მხარეს შორის, რომელშიც ეს ეხება ფინანსურ და ტექნიკურ უზრუნველყოფას.

არსებობს საჯარო-კერძო პარტნიორობათა კოოპერაციის განსხვავებული ფორმები. სკპ გულისხმობს თანამშრომლობის არსებით პრინციპთა დაცვას, სადაც კსპ თამაშობს მნიშვნელოვან როლს საერთო განვითარებისთვის.

ევროპის კავშირის მწვანე წიგნის* თანახმად, საჯარო-კერძო პარტნიორობა ეხება საჯარო სექტორსა და კერძო კომპანიებს შორის თანამშრომლობის ფორმებს დაფინანსების, მშენებლობის, რემონტის, ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისათუტექნიკური მხარდაჭერის, ასევე სერვისის უზრუნველყოფის მიმართულებით[1]. საჯარო-კერძო პარტნიორობათა სავალდებულო დეფინიცია არსებობს არც ევროპულ სამართალში და არც საერთაშორისო დონეზე. როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობის პრაქტიკა, ასევე მისი სამართლებრივი ჩარჩო-პირობები ვარირებენ ქვეყნიდან ქვეყანაში. ეს ეფუძნება პროექტების მრავალგვარობას, რომლებიც საჯარო-კერძო პარტნიორობის ფართო ცნების ქვეშ ერთიანდებიან. ევროპის იმ ქვეყნიდან, რომლებიც ინფრასტრუქტურათა უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებით სარგებლობენ საჯარო-კერძო პარტნიორობებით გამოირჩევიან დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ირლანდია და საფრანგეთი[2]. მათთან შედარებით გერმანიაში არსებობს ნაკლები საჯარო-კერძო პარტნიორობები, რომელთა რაოდენობა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა და უწინარესად განვითარების თანამშრომლობის ეს ინსტრუმენტი სისტემატურად იწერება

მეორე ათასწლეულიდან. ანალოგიური ტენდენციები მოიძებნება სხვა ქვეყნებშიც, და სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოთხოვნით ძლიერდება საჯარო-კერძო პარტნიორობის პროექტებისადმი მხარდაჭერა.

საჯარო-კერძო პარტნიორობის განსაკუთრებული უპირატესობა მდგომარეობს რისკების ოპტიმალურ ალოკაციაში, როცა მათზე კონტროლისათვის ერთ-ერთი პარტნიორთაგანი მაღალი კვალიფიკაციიდან გამომდინარე თავის თავზე იღებს ამ რისკებსა და მათ მენეჯმენტს. როგორც წესი ეს ნიშნავს, რომ კერძო პარტნიორი უზრუნველყოფს კომპანიის ეფექტიანობის მიღწევას, მაშინ როდესაც ამ მიღწევის ხარისხი საჯარო პარტნიორის მიერ კონტროლდება. შესაბამისად, კომპანია კისრულობს მომსახურების მიმწოდებლის ანუ სერვისპროვაიდერის ფუნქციას, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი პროექტი მისი საკუთარი Know-how და ეფექტური მენეჯმენტის მეთოდებით იღებს სარგებელს, მაშინ როდესაც სახელმწიფო თავისი შეცვლილი როლით საზოგადოებაში ნაცვლად საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფისა, საკუთარ თავზე აღებით აძლიერებს კოორდინატორის, ორგანიზატორისა და მაკონტროლებლის ფუნქციებს.

* ევროპის კომისიის მწვანე წიგნი წარმოადგენს აქტუალურ სადიკუსიო საკითხთა კრებულს, რომელიც ამ სფეროში საზოგადოებრივი და სამეცნიერო დისკუსიების წარმოებისა და ძირითადი პოლიტიკური მიზნების დადგენის მიზნით ახდენს განსაზღვრულ თემებთან დაკავშირებულ მითითებებისა და დირექტივების შეთავაზებას.

[Gruenbuch (Europäische Kommission)- Wikipedia., [https://de.wikipedia.org/wiki/Gruenbuch_\(Europäische_Kommission\)](https://de.wikipedia.org/wiki/Gruenbuch_(Europäische_Kommission))



ევროპის კავშირის მწვანე წიგნში არსებობს განსხვავება ხელშეკრულების საფუძველზე მყოფ საჯარო-კერძო პარტნიორობასა და ინსტიტუციონალიზირებულ საჯარო-კერძო პარტნიორობას შორის. იმ დროს, როდესაც პირველი მოკლევადიანი ბუნების არის, მეორე პირიქით, ხანგრძლივი დროით ხასიათდება, სადაც ერთობლივი მიზნის მისაღწევად იქმნება დამოუკიდებელი სამართლის სუბიექტი. ამოცანათა მრავალგვარობის გამო, რომელიც საჯარო-კერძო პარტნიორობის მიერ სრულდება, ასევე არსებობს კოოპერაციის ფორმათა მრავალგვარობაც. აქედან უმნიშვნელოვანესია მომსახურების ხელშეკრულებები (>> service contracts <<), მმართველობითი ხელშეკრულებები (>> operation and management contracts <<), სალიზინგო ხელშეკრულებები, ხელშეკრულებები რითაც კერძო პარტნიორი კონსტრუქციასა და მენეჯმენტზე არის პასუხისმგებელი და სახელმწიფო (საჯარო სექტორი) ხდება მესაკუთრე (>> turnkey procurement << შესაბამისად, >> build-operate-transfer <<), ისევე როგორც კონცესიები შემოსავლის მომტან პროექტებისთვის (>> design-build finance-operate concession <<)[3]. შევეცადოთ მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

მომსახურების ხელშეკრულებები განკუთვნილია უმეტესად მოკლევადიანი ოპერატიული ამოცანებისთვის, განსაკუთრებით საქონლის შეძენა-შენახვისათვის. ამასთან, ფინანსური და ორგანიზაციული პასუხისმგებლობა ეკისრება საჯარო პარტნიორს, რომელიც დიდწილად ასევე პროექტთან დაკავშირებული რისკების მატარებელიც არის და პროექტის შედეგების ხარისხსაც აკონტროლებს. ამგვარი ხელშეკრულებებით საჯარო სექტორი სარგებელს ნახულობს კომპანიის ტექნიკური ცოდნის პოტენციალით, რომელსაც საჯარო აქტიორზე უკეთესი ეკონომიკური პირობებით (იგულისხმება ოპტიმალური ხარჯების ოდენობა, ვ.ხ.) შეუძლია სერვისის წარმოება. მომსახურების ხელშეკრულებები ხშირად ეხება ქუჩებით სარგებლობის მოსაკრებლებს, სატრანსპორტო (გადამზიდი) საშუალებების გადაცემისა და მოვლის, ასევე სხვა ტექნიკურ მომსახურებებს.

მმართველობითი (მენეჯმენტკონტრაქტები) ხელშეკრულებები იდება მაშინ, როდესაც კერძო პარტნიორი მითითებულ განსაზღვრულ, უპირატესად დროის მოკლე მონაკვეთისთვის კისრულობს მმართველობითი ამოცანების შესრულებას. ასეთი ხელშეკრულებები როგორც წესი არის განგრძობადი და განკუთვნილია

განსაკუთრებით საჯარო მომსახურების სფეროს პრივატიზაციის გარდამავალი ფაზისთვის. კომპანია გაწეული სამუშაოსთვის იღებს ან ერთჯერადად დადგენილ ფიქსირებულ თანხას, ან მას ეს გასამრჯელო მომსახურების გრადუირების მიხედვით უნაზღაურდება. ამგვარად ეს ქმნის სტიმულს ინვესტიციებისთვის, რაც შესაბამისად ზრდის ეფექტიანობის ხარისხს და ამცირებს ხარჯებს და ასევე უზრუნველყოფს მოთხოვნის არსებობასაც.

სალიზინგო ხელშეკრულებები კომპანიებს უფლებას აძლევს შემოსავლებზე, საჯარო მატერიალური საშუალებებიდან წარმოებული საქონლისა თუ მომსახურების დადგენილი ფასით გაყიდვის გზით (მაგ., ეს შეიძლება ეხებოდეს ახლო და შორი მიმოსვლის საჯარო ტრანსპორტს, და მასთან დაკავშირებულ სამგზავრო ბილეთების გაყიდვასა და მისგან მიღებული დამოუკიდებელი შემოსავლების გენერირებას). ამასთან, სანაცვლო სერვისის სახით მათ აკისრებს აღნიშნულ საშუალებებზე მმართველობით და (ტექნიკური) მომსახურების მოვალეობებს. მაშასადამე, კერძო პარტნიორი ატარებს მოთხოვნისა და დაფინანსების რისკებს და ამიტომ მას გააჩნია ექსტრა ინტერესი შემდგომი დაგვარად ეფექტურად უზრუნველყოს საკუთარი მომსახურება.

ე.წ. Build-Operate-Transfer (BOT) (მშენებლობა-ექსპლუატაცია-გადაცემა) აღნიშნავს საჯარო-კერძო პარტნიორობებს, რომელშიც კომპანია პასუხს აგებს საზოგადოებრივი სიკეთის დიზაინისთვის, მშენებლობისთვის, შესაბამისად, მისი წარმოებისა და ადმინისტრირებისათვის. შექმნილი სიკეთის მესაკუთრე პროექტის დასრულებისას არის სახელმწიფო. იმის გამო, რომ ერთი და იგივე აქტიორი ყველა სამი პროექტის ფაზისთვის არის პასუხისმგებელი, შესაძლებელია ეფექტიანობის შემდგომი ზრდის რეალიზება. მართალია საჯარო სექტორი (სახელმწიფო) კარგავს კონტროლს პროექტის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე, თუმცა პროექტთან დაკავშირებული რისკები კვლავ მასთან რჩება. ამ მიზეზით, საჯარო სექტორის მხრიდან ხარისხის კრიტერიუმების დადგენასა და კონტროლს დიდი მნიშვნელობა აქვს მსგავსი პროექტების წარმატებით დასრულებისათვის. ამგვარი პროექტის ტიპის განსხვავებული ვარიანტები განსაკუთრებით გამოიყენება წყლით მომარაგებისა და ნარჩენთა მოცილების მენეჯმენტის დროს.

ე. წ. Concessions და Design-Build Finance-Operate (DBFO) Arrangements (კონცესიები და დიზაინი-მშენებლობა ფინანსები-ექსპლუატაციის

შეთანხმებები) ავართოებს ზემოაღნიშნულ შეთანხმებას. აქ კერძო პარტნიორი დამატებით პასუხისმგებელია საქონლისა და მომსახურების ფორმირებისათვის, რასაც ის აგრეთვე ხდის ხელმისაწვდომს, აფინანსებს და განკარგავს. ამასთან განირჩევიან კონცესიები, რომლებიც დადგენილი ხანგრძლივი დროით (უმეტესი 25-30 წელი) სარგებლობის უფლებას უზღუდავს კომპანიას, და ე.წ. Build-Operate-Own (BOO) projects (მშენებლობა-ექსპლუატაცია-ფლობის პროექტები), რითაც კომპანია პროექტის ხანგრძლივი დროით მესაკუთრე ხდება. კონტრაქტის ორივე ფორმა ვარგისია საგზაო-სამშენებლო სამუშაოებისთვის, წყლით მომარაგებისა და ნარჩენთა მოცილების (უტილიზაციის) პროექტათვის, ისევე როგორც ყველა სხვა მომსახურებისთვის, რომლებისთვისაც შესაძლებელია გადასახადებით (ზრდა-შემცირება) მანიპულირება.

გამომდინარე იქიდან, რომ კოოპერაციის კონტრაქტებისაჯარო-კერძოპარტნიორობებისთვის ხშირად ინდივიდუალურად მოდის პროექტთან შესაბამისობაში, პრაქტიკაში ასევე მოიძიება აქ აღწერილ კოოპერაციის ფორმათა სხვა ვარიანტებიც.

საჯარო-კერძო პარტნიორობებმა ბოლო ათასწლეულის საწყის ეტაპზევე მიიპყრო მზარდი ყურადღება პოლიტიკის მხრიდან, რაც გამოიხატებოდა შტუდიებისა და პოლიტიკური თვალსაზრისების ზრდით, და რაც ამ დროისათვის ფრიად საცნობია. მაგალითისათვის, ევროპის თანამეგობრობის კომისიის მიერ 2004 წელს გამოიცა საჯარო-კერძო პარტნიორობებისა და საზოგადოებრივი სამართლებრივი აქტების მწვანე წიგნი სახელმწიფო კონტრაქტებისა და კონცესიების შესახებ, რომელიც მათ ჩარჩო-პირობებს აერთიანებს ევროპულ სამართალში. აღნიშნულმა კომისიამ ამ სახით მოახდინა რეაგირება საჯარო-კერძო პარტნიორობათა გაძლიერებულ ხელშეწყობაზე წევრ ქვეყნებში. ამ ტენდენციის მიუხედავად, საჯარო-კერძო პარტნიორობები არ წარმოადგენს სიახლეს. კერძო და საჯარო აქტიორების თანამშრომლობა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების, მშენებლობისა და ადმინისტრირების (მართვა-გამგეობის) მხრივ საუკუნეთა წიაღში იღებს დასაბამს.

მაგალითად, მე-17 საუკუნის საფრანგეთში საჯარო-კერძო პარტნიორობის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს მიდის არხის (ფრ. Le Canal du Midi) მშენებლობა, რომელიც ასევე ლანგედოკის ანუ სამხრეთის არხის სახელწოდებით არის ცნობილი, და რომლის სულისჩამდგმელი, თანაინვესტორი და ხელმძღვანელი გახლდათ კერძო ბიზნენსმენი,

ბარონი პიერ პოლ რიკე. აღნიშნული არხის გარონის არხთან (ფრ. Le Canal de Garonne) მიერთებით შესაძლებელი გახდა ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტიკის ოკეანის ერთმანეთთან დაკავშირება. პროექტის დაფინანსება გადასაწილდა რიკეზე, სახელმწიფო ხაზინასა და ლანგედოკის პროვინციაზე. სახელმწიფო ხაზინის სახსრებით შეძენილი იქნა საჭირო მიწა, ლანგედოკის პროვინციამ გადაიხადა გაწეული სამუშაოსთვის, ხოლო რიკემ თავად დაფარა დაგეგმარების, ადმინისტრირების და საორგანიზაციო ხარჯები. ლუდოვიკო მე-14 ბრძანებით მშენებლობის დასრულების შემდეგ არხი მეწარმის ოჯახის საკუთრებასა და მართვაში გადავიდა[4]. არხთან დაკავშირებული ბიზნეს-ურთიერთობის მთელი ეს ფორმა დღეს შეიძლება დანახულ იქნას ე.წ. Design-Build-Operate-Own Arrangement ჭრილში.

საჯარო-კერძო პარტნიორობები, როგორც ორგანიზაციის ფორმა ასევე მოწოდებულია ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე განვითარების კუთხით. მაგ., გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გლობალური შეთანხმების ფარგლებში მხარს უჭერს ე.წ. >Partnerships for Development<. საპარტნიორო პროექტებმა წვლილი უნდა შეიტანოს მილენიუმის განვითარების მიზნის მიღწევაში. 1999 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (BMZ) ბუნდესსამინისტრომ საჯარო-კერძო საპარტნიორო პროექტებისთვის განვითარების მიზნის მიმართულებით შექმნა სპეციალური პროგრამა. რის შემდეგაც დაახლოებით 16,4 მლრდ. ევროს ბიუჯეტით 3000 პროექტი იქნა შესრულებული. ამ პროექტების 1/3 განხორციელდა ეკონომიკის მდგრადი განვითარების სფეროში. დანარჩენი 2/3 პროექტებისა კი დაფინანსდა ინვესტიციების მხარდამჭერი, გარემოს, წყლის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, განათლებისა და ენერგეტიკის მიმართულებით.

ევროპისკავშირისმწვანეწიგნიხელშეკრულებათა დადების დროს საჯარო პარტნიორებს მოუწოდებს დაიცვან >>ტრანსპარენტულობის, თანასწორობის, შესაბამისობისა და ურთიერთაღიარების<< ძირითადი პრინციპები იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ბაზრის პროფანაცია. ანალოგიური პრინციპების დაცვა მოეთხოვებათ ასევე კერძო პარტნიორებსაც. მაგალითად ისეთის, როგორც არის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. აქვე განსაკუთრებული ვალდებულება აკისრიათ მოქალაქეებს და მამასადამე შესაბამის პოტენციურ კლიენტურას, რომლებიც საკუთარი გადასახადებით აფინანსებენ

წარმოებისა თუ მომსახურების სფეროს პროდუქტის შექმნას. სწორედ ამიტომ, როგორც ცალკეული ადამიანის, ისე მთელი საზოგადოების უფლებათა დაცვით გამოხატული სამოქალაქო გარანტიების უზრუნველყოფა საქონელწარმოების სრულ ციკლურ პროცესში (იდეის ფორმირება-დამზადება-გასაღება) თამაშობს განსაკუთრებულ როლს. მაგ., თითოეული მოქალაქისათვის გარანტირებული უნდა იყოს წვდომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ისეთ საქონელსა და მომსახურებაზე, როგორც არის წყალი, ელექტრო ენერჯია, განათლება, ჯანდაცვა, საბანკო მომსახურება და სხვ. მაშინაც კი, როდესაც ცალკეულ შემთხვევაში ის სამეურნეო თვალსაზრისით გაუმართლებელია.

ზემოთ თქმულის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული პოზიცია საჯარო-კერძო პარტნიორობათა მონაწილეობის შესახებ სამოქალაქო განვითარების მიზნით ნებაყოფლობითი ენგაჟემენტის პირობებში ეხება საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის, ე.ი. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ნებაყოფლობით აღებას, რაც პირდაპირ უკავშირდება ერთი მხრივ საჯარო რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ხოლო მეორე მხრივ ტრანსპარენტულობის, პასუხისმგებლობის, სამოქალაქო გარანტიებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მორალურ ვალდებულებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kommission der Europaeischen Gemeinschaft: Gruenbuch zu oeffentlich-privaten Partnerschaften und den gemeinschaftlichen Rechtsvorschriften fuer oeffentliche Auftraege und Konzessionen. KOM (2004) 327. Bruessel 2004.
2. Europaeisches Parlament: Public-Private Partnerships. Models and Trends in the European Union. IP/A/IMCO/NT/2006-3. Bruessel 2006.
3. Bundesverband deutscher Banken: Public Private Partnership – Chance fuer die Modernisierung von Infrastruktur und Verwaltung, Berlin 2004.
4. UNESCO: Advisory Body Evaluation on World Heritage List: Le Canal du Midi. In: http://whc.unesco.org/archive/advisory_body_evaluation/770.pdf (28.09.1995).

Public Private Partnerships

Vasil Khizanishvili
 PhD in Economics
 Assistant Professor of Telavi State University

Public Private Partnership (PPP) is an organizational form that is funded and operated through a partnership of government and one or more private sector companies.

PPP involves a contract between a public sector authority and private party, in which this refer to financial and technical provision.

There are a different forms of cooperation of Public Private Partnerships. PPP means a defense of cooperation essential principles, where CSR play important role for the general development.

მცირე და საშუალო ბიზნესის რეგულირების მემანიჟმენტი
საქართველოში



ნინო ბაბუნაშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი
e-mail: Nbabunashvili4@yahoo.com;
ტელ.: 599 93 70 90

XXI საუკუნეში შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება კომერციის, წარმოების, ფინანსური ინსტიტუტისა და განვითარებული ინფრასტრუქტურის გარეშე. თანამედროვე მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა გამოცდილება, ნებისმიერ ქვეყანაში მაღალ განვითარებული და ეფექტიანი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აუცილებლობას ამტკიცებს. სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს იმ მძლავრ რგოლს, რომელსაც ეფუძნება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური აღმავლობა.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და სოფლის მეურნეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხერხემალი, რომლის სიძლიერსა და სიჯანსაღეზე დამოკიდებული ეკონომიკის აღმავლობა და საზოგადოების თითოეული წევრის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, გამომდინარე აქედან ქვეყნის მშპ-ს დონის ამაღლებაც.

როგორც წესი, სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში, რეგიონების დონეზე ხდება, რომელიც მოიცავს: თანმიმდევრული საკანონმდებლო სამუშაო პროგრამებს, ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების მექანიზმებს და ა.შ.

გასათვალისწინებელია შემდეგი მონაცემები: “განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნები), მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ საწარმოებში დიდი წილი უკავია, ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს, აქედან ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)

ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს.

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები მათი მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია – ხშირ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლები”, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე. საქართველოში, ბიზნეს-გარემოს ზოგადი გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია.

ამერიკელი ეკონომისტების ჯ. სტონერისა და ე. დოლანის აზრით, მცირე საწარმო არის საწარმო, რომლისთვისაც “დამახასიათებელია დამოუკიდებელი მფლობელობა და სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებელი ორგანიზაცია.”

საქართველო აგრარული ქვეყანაა და სოფლის მეურნეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხერხემალი,

რომლის სიძლიერსა და სიჯანსაღეზე დამოკიდებული ეკონომიკის აღმავლობა და საზოგადოების თითოეული წევრის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, გამომდინარე აქედან ქვეყნის მშპ-ს დონის ამაღლებაც.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ბიზნესის რეგულირების კუთხით არსებული ბევრი პოზიტივის მიუხედავად, გარკვეული პრობლემები ჯერ

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



კიდევ მოგვარებას საჭიროებს, მაგალითად: სუსტია ბიზნეს-სექტორის კავშირი სამოქალაქო საზოგადოებასთან, სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი მექანიზმი, როგორცაა ბიზნეს-ინკუბატორი, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდუალური ინიციატივების გამოვლენას და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების სწრაფად დანერგვას. საქართველოში ასეთი მექანიზმის დანერგვა მიზანშეწონილია მეწარმეთა მხარდასაჭერად და მომსახურების სფეროში – მეწარმეობის განსავითარებლად.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სრულყოფილად განვითარებისათვის ჯერ კიდევ არ გამოიყენება ყველა შესაძლებლობა. ამას მოწმობს მშპ-ში მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალი ხვედრითი წილი, რომელიც ბოლო 5 წელიწადში საქართველოში 19-20% (მცირე ბიზნესში) 14%-ს (საშუალო ბიზნესში) არ აღემატება, ხოლო სამუშაო ადგილების 43-44% მცირე ბიზნესშია დასაქმებული.

მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაში, სოციალური უთანაბრობის შერბილებაში და დასაქმების ზრდაში.

მცირე საწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სიღარიბის დაძლევაში, ისინი მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე, ადვილად ითვისებენ ახალ პროდუქციას და ძირითადად ორიენტირებულნი არიან ადგილობრივ ბაზარზე, რაც ადგილობრივი ბაზრის ეროვნული პროდუქტით გაჯერებას უწყობს ხელს. მცირე და საშუალო საწარმოების სტაბილური ურთიერთობები და გლობალურ საწარმოებთან მათი კონკურენტუნარიანობა არის საწარმოთა სიცოცხლის უნარიანობისა და სარგებლის ზრდის წინაპირობა, რომელიც “ღირებულები ზრდის” სახელითაა ცნობილი.

საქართველოს ეკონომიკის დაბალანსებისათვის უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია მცირე და საშუალო ბიზნესის სწრაფვას ოპერატიულად დაიკავოს თავისუფალი სივრცეები ადგილობრივ და კავკასიის ბაზრებზე.

ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობებით გაჯერებული თანამედროვე ბაზარი, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, საშუალო ფენის ჩამოყალიბებისა და საზოგადოების სოციალური დაცვის საფუძველია, აღიარებულია ცივილიზაციის უდიდეს მონპოვრად, რაც კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე შეიმუშავა და ამიტომ იყო, რომ საქართველომ, ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად

ბად სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაისახა მიზნად.

საქართველოში მცირე საწარმოთა უპირატეს განვითარებას რიგი ხელსაყრელი პირობები განაპირობებს, ესენია:

- ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებს და მათი შედარებით თანაბარი განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;
- ჭარბი დაუსაქმებელი სამუშაო ძალა ცალკეულ რეგიონებში;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ტერიტორიების არსებობა;
- ინდივიდუალური შრომისაკენ დამახასიათებელი მისწრაფება.

თუმცა ქვეყანაში არ არის შექმნილი ხანგრძლივი ეკონომიკური სტრატეგია და კომპლექსური პროგრამა იმისათვის, რომ დაიცვას მეწარმეობა. სახელმწიფო, პრობლემების გადასაჭრელად, ქვეყანაში დროებით ადმინისტრაციულ ღონისძიებებს ახორციელებს, რაც მოკლევადიან შედეგებზეა ორიენტირებული და მიმართულია ერთი დარგიდან მეორეზე ეკონომიკური სარგებლის გადანაწილებისაკენ.

ქვეყანაში იგრძნობა ბიზნესის სფეროში, კერძოდ მარკეტინგისა და მენეჯმენტის სფეროებში განათლების დაბალი დონე, შესაბამისად მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ორგანოების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მეწარმეებს სრული ინფორმირებულობით, კონსულტაციებით, ჩაატარებს ტრენინგებსა და სხვა საჭირო ღონისძიებებს შესაძლებელია ასოციაციების ფორმირებით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მეწარმეების გავლენის მოპოვებას ბაზარზე.

უკვე აღვნიშნეთ და კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად მიგვაჩნია აგრარული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. ქვეყნის გეოგრაფიულ და მეურნეობრიობის თავისებურებების, ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნების, ტრადიციების გათვალისწინებით პერსპექტიულად გვესახება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. რეგიონებში მსბ-ს განვითარებაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომელთაგან აღსანიშნავია რეგიონის დემოგრაფიული თავისებურებები, რესურსების ათვისების ხასიათი, ინფრასტრუქტურის დონე, რეგიონული თვითმმართველობის დამოკიდებულება აღნიშნულ პრობლემებთან მიმართებაში და სხვა.

ზემოთ აღნიშნულის მისაღწევად, მცირე და

საშუალო ბიზნესი უნდა იყოს დამოუკიდებელი და თვითრეგულირებადი ინსტიტუტი. აშკარაა რომ საკმარისი არ არის შესაბამისი კომისიებისა და კომიტეტების შექმნა აღმასრულებელ და საკანონმდებლო სტრუქტურებში, თუმცა ამ დონისძიებათა გატარება გარდაუვალი.

როგორც წესი, სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში, ფედერალურ დონეზე ხდება, რომელიც მოიცავს: თანმიმდევრულ საკანონმდებლო სამუშაო პროგრამებს, ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების მექანიზმებს, მცირე ბიზნესის განვითარებისათვის შექმნილი პროგრამების გადაწყვეტისათვის ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის ფორმირებას, მუდმივი და შედარებითი სამეურნეო კლიმატის მონიტორინგის გამართვას და გადაწყვეტილების მიღებას ბიუჯეტთან დაკავშირებით.

მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკაში გადაწყვეტილი უნდა იყოს სხვადასხვა დონის ხელისუფლების პასუხისმგებლობის ურთიერთქმედებისა და გამიჯვნის პრობლემა. დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა ძირითადად ხდება ადგილებზე (მუნიციპალიტეტებში), აგრეთვე განისაზღვრება განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, ხდება ხელსაყრელი პირობების შექმნა მცირე ბიზნესისათვის და შესაბამისად მთელი ტექნოლოგიური ხაზის დაკვირვება და პრობლემური მონკვეთის გამოვლენა.

მცირე ბიზნესისათვის პრინციპული სულაც არ არის ეკონომიკური განვითარების საერთო პრობლემების განხილვა, მთავარ ამოცანად უნდა იქნეს მიხნეული დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტა. უცილებელია რეგიონებში გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარდეს პერიოდული საინფორმაციო ბრიფინგი მეწარმეებისათვის სიახლეების მიწოდების მიზნით. მცირე ბიზნესის ფუნქცია მხოლოდ მაშინ იქნება რეალიზებული, როდესაც სამეწარმეო საქმიანობის შედეგები დაუკავშირდება მეწარმის მიერ საკუთარი საქმის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს.

აუცილებლად მიგვანჩნია საზღვრისპირა რეგიონების კომუნალური და მიწის გადასახადისაგან გათავისუფლება, საბანკო კრედიტების მინიმალური პროცენტით გაცემა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შემდგომში მიგრაციის შეჩერების მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს “დაცლილი” სოფლების პოპულარიზაციის აუცილებლობა, ყველა ზემოთ მოყვანილი (და არა მარტო) ხერხებით, რათა ათვისებულ იქნეს

მიტოვებული მიწის სავარგულები და სოფლები. გასაგები ხდება, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქცია მაშინ იქნება რეალიზებული, როდესაც სამეწარმეო საქმიანობის შედეგები დაუკავშირდება მეწარმის მიერ საკუთარი საქმის წარმართვის უნარს.

საქართველოს ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, მოითხოვს ბიზნესის განვითარებისათვის ისეთი აუცილებელი პრინციპების შემუშავებასა და რეალიზაციას, როგორებიცაა:

1. კონკურენციის განვითარება;
 2. სამეწარმეო საქმიანობაში არჩევანის თავისუფლება;
 3. მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება და შრომის მოტივაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა;
 4. მეორადი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა;
 5. თავისუფალი ფასწარმოქმნის სისტემის დამკვიდრება;
 6. კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება;
 7. მიწის გადასახადის განაკვეთის მოცულობის განსაზღვრა, რაც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. და ა.შ.
- დღეს არსებული მდგომარეობით, საგადასახადო კოდექსის მიხედვით მიწის გადასახადი არ განეკუთვნება ადგილობრივ გადასახადებს, თუმცა ყველა გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ იგი ადგილობრივი დატვირთვის მატარებელია, რითაც მისი მნიშვნელობა არ მცირდება. ურბანულ მიწებზე ტერიტორიული კოეფიციენტის განსაზღვრით – ტერიტორიულ ორგანოს საბაზისო განაკვეთზე თავისუფალი ზემოქმედების საშუალება აქვს. მიწის გადასახადით მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები ადგილობრივ ბიუჯეტში სრული მოცულობით ჩაირიცხება.

- შეგვიძლია დავსკვნათ, რომ:
1. საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში პერმანენტულად ყალიბდება მცირე და საშუალო საწარმოთა (მსს) სექტორი, თანდათან იხვეწება მცირე და საშუალო მეწარმეობის როგორც სექტორული ისე დარგობრივი სტრუქტურა;
 2. საქართველოში საბაზრო სისტემისა და ბიზნეს სექტორის განვითარებაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ რეგისტრირებულ საწარმოთა 99,2% (318957 ერთეული) კერძოა. სწორედ კერძო სექტორში იქმნება ქვეყანაში წარმოებული დამატებითი ღირებულების 88,4%, გამოშვებული პროდუქციის 90,3%, კერძო სექტორში დასაქმებუ-

ლია 80% .

3. საჭიროდ მიგვაჩნია საქართველომ გამოიყენოს მდიდარი მსოფლიო გამოცდილება, მოახდინოს მსხ-ების განვითარებისა და მხარდაჭერის წარმატებული მოდელების დანერგვა. ამ პროცესში აუცილებელია ეროვნული, ტერიტორიული, კლიმატური, საწარმოო და ინფრასტრუქტურული სპეციფიკურობების, აგრეთვე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება.

4. მცირე და საშუალო საწარმოების კრიტერიუმების განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ ქვეყნის მაშტაბი, ეროვნული ეკონომიკის

სპეციფიკურობები, დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებანი და ეკონომიკის განვითარების დონე. ეს კრიტერიუმები უნდა იყოს ერთიანი და გადამოწმდეს პერიოდულად (3-4 წ-ში) კორექტირების მიზნით;

ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარაჭერის ღონისძიებები, მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასტაბილურება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მყარი გარანტიები, დაბალანსებული ეკონომიკის ფორმირებასა და ფუნქციონირების რეალური საფუძველი გახდება.

ბამოქმენიშული ლიტერატრა:

1. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებითვის;
2. საქსტატი: ძირითადი მონაცემები რეგიონული ანალიზისათვის და რეგიონული განვითარების პროგრამის შეფასებისათვის, 2002-2015;
3. ჭითანავა ნ. “საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები”, “საქართველო”, თბ., 1993.;
4. კოლუაშვილი პ., ბენია შ., “ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ასპექტები”, სამეცნიერო შრომათა კრებული. თ. (XIX), 2002;
5. დოლონაძე ა., ლურჯკაია, “მიწის რესურსების მართვის პრობლემები”, “ასკემსი”, სამეცნიერო შრომათა კრებული ტ. 2, 1999;
6. სმიტი ა., “გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ;
7. Шумпетер Й. Теория экономического развития, М., “Эксмо”, 2007
8. დევიდ ვ. ლენდი “მწვანე მინდვრები” – საქართველო სოფლის მეურნეობის რეალობა და პოტენციალი;
9. ევროკომისია 2010, დიალოგი “მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკაზე” აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში (Dialogue on «SME Policy» with regard to the multi-lateral framework of the Eastern Partnership);
10. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/overview/agriculture_and_rural_development/index_ka.htm
11. <http://imereti.gov.ge/res/docs/strategia.pdf>
12. http://gov.ge/files/275_38368_341843_136617.09.13%E2%80%931.pdf
13. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.3&d=HASH2ff40e4921399b171cb567.6&x=1>

Small and medium businesses (SME) regulation mechanisms in Georgia

Nino Babunashvili
Associate Professor of Economic Sciences
CIU Assistant Professor

Economic development of a country in the XXI century is impossible without commerce, production, financial institutions and the developed infrastructure. The experience of the world modern leading states confirms the need of the development of high-developed and effective small and medium-sized business in any country. Just small and medium-sized business is a strong link, which is the basis of economic and social growth of society.

In Georgia, despite general improvement of business environment in viewpoint of the development of small and medium businesses, there are the same challenges as in many developing countries. Although the small and medium enterprises occupy a great part of active enterprises, their share in GDP is still very low.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო THE NEW ECONOMIST


ვიშნაბრალის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები
ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ:
სლოვაკეთი



ეკა ლეკაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: eka.lekashvili@tsu.ge
ტელ: 599 89 98 09



ქიქიაკეტი ჯიქია
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის მაგისტრანტი
ელ.ფოსტა: jikiaketi@gmail.com
ტელ: 593 28 52 88



მარია მ ბიწაძე
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის მაგისტრანტი
ელ.ფოსტა: bitsadze.mariam@gmail.com
ტელ: 558 55 33 76

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ვასრულებთ, სტატიათა სერიების სახით ნაშრომის „ვიშნაბრალის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ“ ეტაპობრივ წარმოდგენას.

წინამდებარე სტატია მოიცავს სლოვაკეთის გამოცდილებას. შესწავლილია მისი ეკონომიკური მაჩვენებლები და მათი ცვლილებების ტენდენცია ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდგომ; ასევე, ქვეყანაში არსებული ძირითადი პრობლემები და გამოწვევები, როგორცაა: ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და ჰარმონიზაციის პროცესების უზრუნველყოფა, კონკურენტული ბიზნეს-გარემოს შექმნა და კორუფციის შემცირება, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხარისხი და მოცულობა, სოფლის მეურნეობა. სლოვაკეთის გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნები შეიძლება გათვალისწინებულ იქნას საქართველოსთვის ევროინტეგრაციის გზაზე.

ჩეხოსლოვაკიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ორი სახელმწიფო ჩეხეთის რესპუბლიკა და სლოვაკეთი დამოუკიდებლად განაგრძობენ არსებობას საერთაშორისო სივრცეში. 1994-1998 წლები სლოვაკეთისთვის მნიშვნელოვან პერიოდად აღიქმება, ამ უკანასკნელმა შემოიღო ახალი ვალუტა, განახორციელა საგარეო ვაჭრობის

და ფასების ლიბერალიზაცია. საწყისი ეტაპისთვის ქვეყნის მმართველი პოლიტიკური პარტიები აფერხებდნენ ქვეყნის მონაწილეობას ევროპული ინტეგრაციის პროცესებში, რაც აისახა კიდევ 1999 წლის ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ შეფასებაში. კომისიამ მიიჩნია, რომ სლოვაკეთი ვერ ასრულებდა კოპენჰაგენში დათქმულ



პირობებს, კერძოდ პოლიტიკურ კრიტერიუმებს, სლოვაკეთი ამ პერიოდისთვის წარმოადგენდა ევროკავშირის ერთადერთ ასოცირებულ წევრ ქვეყანას, რომელმაც ვერ შეასრულა ევროკავშირში გაერთიანებისათვის აუცილებელი პოლიტიკური კრიტერიუმები შიდა პრობლემების გამო. დემოკრატიის არსებულმა დეფიციტმა სლოვაკეთი გამოთიშა პოსტ-სოციალისტური ქვეყნების პირველ ტალღას, რომლებმაც გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყეს ევროკავშირთან და ნატო-სთან. დემოკრატიის არსებული დეფიციტი და დემოკრატიული პრინციპების არასაკმარისი გამოყენება აღმოჩნდა ძირითადი დაბრკოლებელი გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად, შესაბამისად სლოვაკეთი მიაკუთვნეს აპლიკანტთა მეორე ტალღას.

1994-1998 წლებში პრობლემების დაძლევაში ქვეყანას დაეხმარა სლოვაკეთის მთავრობის აქტიური თანამშრომლობა ევროკომისიასთან, რომელმაც შემქნა ევროკომისია-სლოვაკეთის მაღალი დონის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ, როგორც ევროკომისიის ასევე სლოვაკეთის მთავრობის წარმომადგენლები. ჯგუფი კონსულტაციებს ატარებდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებზე. მთლიანობაში არსებობდა სამი სახის მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ: 1. მაღალი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი სლოვაკეთისთვის - ბირთვული სადგურების დახურვა და ჯგუფის აქტიური მუშაობის შედეგად დაიხურა ორი ბირთვული რეაქტორი; 2. ჰორიზონტალური საკითხები - განსაკუთრებით „ოთხი თავისუფლება“, მათგან სამუშაო ძალის გადაადგილების თავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი იყო; 3. ევროკავშირის წევრი ქვეყნების და ევროპარლამენტის მიერ უნდა დადასტურებულიყო ახალი ქვეყნის შესვლა კავშირში.

სლოვაკეთის მთავრობამ გააუმჯობესა ორმხრივი კონტაქტები ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანასთან, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო საბოლოო წარმატების მისაღწევად. წინა ტენდენციასთან განსხვავებით, როდესაც სლოვაკეთი აღმოჩნდა „ცენტრალური ევროპის პერიფერია“, 2002 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ევროკავშირის ბევრმა ოფიციალურმა პირმა შვებით ამოისუნთქა, რადგან „სლოვაკეთმა ჩააბარა დემოკრატიის ტესტი“ და სხვა კანდიდატ 9 ქვეყანასთან ერთად, მათ შორის მეზობელ ქვეყნებთან – ჩეხეთის რესპუბლიკასთან, პოლონეთთან და უნგრეთთან ერთად, წარმატებით დაასრულა. 2004 წლის მაისში სლოვაკეთი გახდა

ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. 2007 წელს სლოვაკეთი გაწევრიანდა შენგენის ზონაში, 2009 წელს კი შეუერთდა ევროზონას.

ევროკავშირში გაწევრიანებამდე აუცილებელი გახდა ქვეყანას მიეღო ის სტანდარტები, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში ათწლეულების მანძილზე მოქმედებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას არ ჰქონდა შანსი, ამ სტანდარტებზე ზეგავლენა მოეხდინა, რაც მთავარ გამოწვევად მიიჩნეოდა ქვეყნისთვის. სლოვაკეთს „უბრალოდ“ გადაეცა გაწერილი წესები, ხოლო ქვეყნის ბიუროკრატიულმა სტრუქტურებმა გადაწყვეტი როლი ითამაშეს სლოვაკეთის ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, კერძოდ სლოვაკეთის პარლამენტი, რომელმაც მიიღო კანონმდებლობა, რომელიც აუცილებელი იყო ევროკავშირში გასაწევრიანებლად; ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მყოფი კანონების მიღება, 100 000 გვერდისგან შედგებოდა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ პარლამენტს ძირითადი დავალებები და მითითებები უკვე შეასრულებული ჰქონდა, აღნიშნულმა შეამცირა სადისკუსიო სივრცე. სლოვაკეთისთვის მთავარი ამოცანა ევროკავშირის პირობებზე მორგება იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანამ ევროკავშირში შესვლის წინაპერიოდი ჰკვიანურად გამოიყენა, რათა გაეცნო რეფორმები ქვეყნის მოსახლეობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სლოვაკეთს „დაგვიანებულ მოთამაშეს“ უწოდებდნენ, 21-ე საუკუნის პირველ დეკადაში ის „ვარსკვლავ შემსრულებელს“ დაემსგავსა, ამასთან ზოგიერთი პოლიტიკოსი და ეკონომისტი სლოვაკეთს მოიხსენიებს „ტატრების ვეფხვად“. დღეისათვის სლოვაკეთის რესპუბლიკა კვლავ დგას მთელი რიგი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე, რომელთა გადაჭრა აუცილებელია ხანგრძლივი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისთვის, რაც ყველას სიკეთეს მოუტანს გრძელვადიან პერსპექტივაში.

ეკონომიკის ტრანსფორმაცია სრულდება, როცა:

- იქმნება ფუნქციონირების უნარის მქონე საბაზრო მექანიზმი;
- ეკონომიკას შეუძლია საგრძნობი და მდგრადი ზრდის გენერირება;
- უთანაბრობები დაძლეულია, რაც საშუალებას იძლევა, მოხდეს ეკონომიკის თანასწორი ურთიერთქმედება უფრო წინ წასულ საბაზრო ეკონომიკებთან, ძლიერი პროტექციონიზმის გარეშე.

1991 წელს ჩეხოსლოვაკიაში განხორციელებულმა

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

პრივატიზაციის პროცესების, რაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლის პროცესის ბირთვი გახდა, დროს საკუთრების რესტიტუციის, “მცირე” და “დიდი” პრივატიზაციის შესახებ მიღებულმა კანონებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს როგორც ჩეხეთის ასევე სლოვაკეთის, როგორც ცალკეული ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში. პრივატიზაციის პროცესი დაიწყო ე.წ. “მცირე” პრივატიზაციის განხორციელებით, რომელიც მოიცავდა საცალო მაღაზიების, სერვისების, რესტორნების, სასადილოებისა და სხვა ობიექტების გაყიდვას.

“მცირე” პრივატიზაცია 1991 წლის თებერვალში დაიწყო და 1993 წლის ივლისში დასრულდა. 1991 წელს “დიდი” პრივატიზაციის პროცესი დაიწყო, რაც ნიშნავდა სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი ძალიან დიდ რაოდენობის საწარმოების, რომლებიც ოთხი ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოს კუთვნილ ქონებას წარმოადგენდნენ, მფლობელობის შეცვლას ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და სერვისების ყველა სექტორში. კომპანიებს ჰქონდათ არჩევანი გამოეყენებინათ პრივატიზაციის სხვადასხვა მეთოდები. 1993-1995 წლებში, ეს კანონები საშუალოდ ყოველ 51 დღეში იცვლებოდა, რაც მიანიშნებდა პრივატიზაციის პროცესის სამართლებრივი ჩარჩოს არასაკმარის სტაბილურობაზე.

პრივატიზაციის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება 1995 წელს, მთავრობის მიერ ეგრეთ წოდებული ვაუჩერული პრივატიზაციის მეორე ტალღის გაუქმება გახლდათ. ვაუჩერული პრივატიზაციის პირველმა ტალღამ 2.59 მილიონი მოქალაქე ანუ ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობის ორი მესამედი მოიცვა. პირველი ტალღა მოიცავდა 752 სახელმწიფო საწარმოს პრივატიზაციას. 1994 წლის ზაფხულში, 3.4 მილიონამდე მოქალაქე დარეგისტრირდა პრივატიზაციის მეორე ტალღისათვის, რომელიც მოიცავდა 648 საწარმოს. თუმცა, 1994 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალმა მთავრობამ გააუქმა ვაუჩერული პრივატიზაციის მეორე ტალღა, რაც მიანიშნებდა ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციისათვის აუცილებელი პირობების საკუთარი წევრებისა და პოლიტიკური მხარდამჭერებისათვის პატრონაჟისა და პროტექციონიზმის სისტემის შექმნას, შედეგად 1995-1998 წლებში, მთავრობამ განახორციელა არაგამჭვირვალე პრივატიზაცია მისი კლიენტების სასარგებლოდ, რომელმაც მთლიანი ეკონომიკური განვითარებისათვის ნეგატიური შედეგები

მოიტანა. გაუმჭვირვალე პროცესს თან სდევდა ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა, რომელიც რეალურ შესაძლებლობებს არ ეყრდნობოდა.


1999 წლის არჩევნების შემდეგ, აქცენტი გადატანილ იქნა საერთაშორისო ინვესტორების მონაწილეობით გამოცხადებულ საჯარო ტენდერებზე, რის შედეგადაც ამის ე.წ. ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო ქონება (ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ობიექტები) გაიყიდა და განხორციელდა საბანკო სექტორის რექტრუქტურითაც. 2006 წელს, კერძო სექტორის მიერ წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქციის წილი 91.3 პროცენტი იყო.

კავშირში გაწვევიანებამდე ამ ქვეყნებმა ფინანსური დახმარება მიიღეს ევროკავშირის ფონდებიდან, რომლებიც უნდა დახარჯულიყო 2004-2006 წლების საპროგრამო პერიოდზე. შემდგომ, 2007-2013 წლების საპროგრამო პერიოდში ვიშვგრადის ქვეყნებმა მიიღეს მიერთების ფონდების ლომის წილი. სლოვაკეთს გადაეცა – \$ 11.4 მლრდ. ამგვარმა „საჩუქარმა“ ძლიერი გავლენა მოახდინა ამ ქვეყნების შემდგომ განვითარებაზე. 2007-2013 წლების საპროგრამო პერიოდისათვის, სლოვაკეთმა დიდი თანხები მიიღო. მთავრობამ გადაწყვიტა, რომ \$ 11.4 მილიარდიანი ფინანსური პაკეტი გაენაწილებინა 11 სამოქმედო პროგრამაზე – მათ შორის იყო დასაქმება და სოციალური ინკლუზია, რეგიონული სამოქმედო პროგრამა, ტრანსპორტი, ჯანდაცვა, მეცნიერება და კვლევა, განათლება და ინფორმაციული საზოგადოება. ევროკავშირის ფონდებთან მიმართებაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს კორუფცია და ბიუროკრატია. ზოგიერთი პოლიტიკოსი დამეწარმე ბიზნესს აკეთებდა ამ ფონდებით და მათ იყენებდა საკუთარი სარგებლისა და მეგობრებისათვის, რაც უგულვებელყოფდა ძირითად მიზანს – რეგიონულ უთანასწორობათა დაბალანსებასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი კორუფციის მიხედვით სლოვაკეთის ქულა აღწევს 67.2-ს შეადგენს, Heritage Foundation-ის თანახმად [1], რომელიც ზომავს კორუფციისგან თავისუფლებას, ბიზნესის თავისუფლებას, შრომითი ძალის თავისუფლებას, მონეტარულ თავისუფლებას და სახელმწიფო ხარჯების მართვას. სლოვაკეთი 22-ე ადგილზეა 43 ქვეყანას შორის ევროპის რეგიონში, და მისი საერთო ქულა უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში. კორუფციის მაჩვენებელი ისევ მაღალია და აღწევს 50-ს (იხ. დიაგრამა 4.1).



დიაგრამა 4.1. კორუფციისგან თავისუფლების მაჩვენებელი (1995-2016)



წყარო: <http://www.heritage.org/index/visualize?cnts=slovakia&type=9>


სლოვაკეთის საბაზისო ეკონომიკური გარემო ჯერ კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებას. კანონის უზენაესობა სუსტია, რაც კორუფციისთვის სასურველ ნიადაგს ქმნის და არსებობს გამჭვირვალობის პრობლემა სახელმწიფო სექტორში. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, ბიზნესის რეგულირება არაეფექტური რჩება და შრომის ბაზრის სიხისტე ახანგრძლივებს ბიზნესის ციკლების შესუსტებას.

მიუხედავად იმისა, რომ სლოვაკეთი წარმოადგენს ევროპის ეკონომიკური და მონეტარული (სავალუტო) კავშირის წევრს და 2009 წლიდან მის ვალუტას წარმოადგენს ევრო, ვნახოთ აკმაყოფილებს თუ არა ის მან მაასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს:

1. ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიგა პროდუქტის 3%-ს; სლოვაკეთის შემოსავლებმა და ხარჯებმა 2015 წლისთვის შესაბამისად შეადგინეს \$32.66 მლრდ. და \$35.71 მლრდ., დეფიციტი აღწევს \$3.05 მლრდ.-ს, რაც მშპ-ს 3.5%-ს შეადგენს.

სლოვაკეთი წარმოადგენს იმის ბრწყინვალე მაგალითს, თუ როგორი მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროკავშირის გაფართოების პროცესმა ქვეყნის შიდა განვითარებაზე, რაც ქვეყნის მაჩვენებლებზეც აისახა. მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე ძალიან დაბალი იყო (1990 წელს 2395.6 \$), თუმცა 2003 წლიდან ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა და მან 8696.9\$ შეადგინა. რაც შეეხება, მშპ-ის მოცულობას ერთ სულ მოსახლეზე, მისი ცვლილების ტენდენცია გამოსახულია დიაგრამაზე 4.2.

დიაგრამა 4.2. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 1990-2014 წლებში (მიმდინარე \$)




წყარო: <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD>

მშპ-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2008 წელს - 18604.3\$. 2009 წლიდან კი ვარდნა განიცადა, თუმცა 2014 წელს 18501.2\$ მიაღწია. რაც შეეხება მშპ-ს ზრდის ტემპი ერთ სულ მოსახლეზე ასე გამოიყურება (იხ. დიაგრამა 4.3). 1990-იანი წლების დასაწყისში ქვეყნის ეკონომიკური ზრდა დაბალი იყო. რეცესიის ფაზა იყო 1999 - 2000

წლებში. 1990 წელს მისი მოცულობა 12.694 მლრდ \$ იყო, ხოლო მისი ევროკავშირში გაწევრიანების დროს, 2004 წელს კი 57.240 მლრდ \$, 2014 წელს კი ამ მაჩვენებელმა 100.248 მლრ \$ მიაღწია. რაც შეეხება მშპ-ის და მშპ ერთ სულ მოსახლეზე ზრდის ტემპებს შესაძლებელია იხილოთ დიაგრამაზე 4.3.

დიაგრამა 4.3. მშპ-ის და მშპ ერთ სულ მოსახლეზე ზრდის ტემპი სლოვაკეთში (1994-2014)



წყარო: <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD.ZG>

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2008 წლამდე სლოვაკეთის ეკონომიკა ყველაზე ძლიერი გახდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა არა მხოლოდ ვიშეგრადის ოთხეულის ეკონომიკური აქტივობის შემცირება გამოიწვია, არამედ მთელ ევროკავშირზე მოახდინა გავლენა. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი სრულად შეეხო სლოვაკეთს 2008 – 2009 წლებში.

2. ვალი არ უნდა აღმატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს;


სლოვაკეთის ვალმა \$46 მლრდ-ს მიაღწია და

მშპ-ის 52,69% შეადგინა (6).

3. ინფლაცია 1,5%-ზე მეტად არ უნდა აღმატებოდეს სამი ყველაზე წარმატებული წევრი სახელმწიფოს მონაცემს;

სლოვაკეთის მოქალაქეების მიერ დიდი რაოდენობით საქონლის ყიდვამ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე იმოქმედა ვალუტის გაუფასურებაზე. დღეს სლოვაკეთის ინფლაციის დონე დაკავშირებულია დევალვაციის მართვის შერჩეული სავალუტო კურსის რეჟიმთან (იხ. დიაგრამა 4.4).

დიაგრამა 4.4. ინფლაცია (წლიური %)



წყარო: <http://data.worldbank.org/indicator/FP.CPI.TOTL.ZG>



ქვეყანაში ინფლაცია ორნიშნა რიცხვით იყო გამოხატული, მაგრამ დროთა განმავლობაში ახერხებდა შემცირებას. სავალუტო პოლიტიკის ჩარჩოს ცვლილებამ ინფლაციისთვის, ხელი შეუწყო ინფლაციის დონის შემცირებას აღნიშნულ ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, ყველაზე მაღალმა მაჩვენებელმა 1994 წელს, 13.4% მიაღწია, ხოლო უარყოფილი იყო 2014 წელს, კერძოდ -0.1%.

4. უნდა არსებობდეს გრძელვადიანი

საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სამი ყველაზე წარმატებული ქვეყნის ერთად აღებულ მაჩვენებელს არ უნდა აღემატებოდეს ორ პროცენტზე მეტად; სლოვაკეთის გრძელვადიანმა საპროცენტო განაკვეთმა 2015 წლის დეკემბერში მიაღწია 0.72%-ს. სლოვაკეთის გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გამოსახულია დიაგრამაზე 4.5.

დიაგრამა 4.5. სლოვაკეთის გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი (2001-2016)



წყარო: http://sdw.ecb.europa.eu/browseChart.do?DATASET=0&REF_AREA=282&node=bbn4864&trans=N


5. უნდა მოხდეს ევროპულ სავალუტო სისტემაში არსებული სავალუტო გაცვლის კურსების მექანიზმით გათვალისწინებული საზღვრების დაცვა ორი წლის განმავლობაში.

ევროკავშირი დაეთანხმა სლოვაკეთში შესვლას ევროზონაში 2008 წლის ივლისში ბრიუსელის სამიტზე. 16 წლის განმავლობაში ქვეყანაში ფუნქციონირებდა სლოვაკური კრონა (SKK). გაცვლის კურსი 1 ევრო = 30.126 SKK. 2009 წლის 1 იანვრიდან პოლონეთის ვალუტას ევრო წარმოადგენს [8]. 2016 წლის 26 თებერვლისთვის 1 ამერიკული დოლარი = 0.9086 ევროს [9].

სლოვაკეთის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა უკავშირდებოდა ახალი შესამებლობის მიცემას

იმ მოქალაქეებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური და სურდათ დაეწყოთ პროფესიული კარიერა, რაც დაძლეულ იქნა ახალი სოციალური დახმარებისა და პროფესიული გადამზადების კონკრეტული სისტემის შემოღებით. სლოვაკეთის გამოცდილებამ აჩვენა, რომ უმუშევრობის დონე პირდაპირ კავშირშია მთავრობის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასთან. 90-იანი წლების დასასრულს უმუშევრობის დონე გაიზარდა სამუშაო ძალების 20 პროცენტამდე (ამ საუკუნის პირველ ათწლეულში უმუშევრობის დონემ 10 პროცენტამდე დაიკლო, მაგრამ, 2012 წელს, ძირითადად გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამო, ისევ 14 პროცენტამდე გაიზარდა) (იხ. დიაგრამა 4.6).

დიაგრამა 4.6. უმუშევრობის დონე (%) სლოვაკეთში (1998-2014)



წყარო: <http://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.ZS>

უმუშევრობის დონე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ უმუშევრობის მაღალი ტენდენცია 2004 წლის დასაწყისამდე შენარჩუნდა, როდესაც სლოვაკეთი ევროკავშირში შევიდა. ხოლო ახალი სისტემის ამოქმედებამ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნამ და განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო უმუშევრობის შემცირებას. უმუშევრობის საშუალო დონე დიდი ხნის მანძილზე ორნიშნა ციფრით იყო გამოხატული და ევროკავშირში ყველაზე მაღალ მაჩვენებლს წარმოადგენდა. შრომის ნაყოფიერების საგრძნობმა და განუწყვეტელმა ზრდამ განაპირობა ეკონომიკის ზრდა დასაქმების ზრდის გარეშე. ამჟამინდელ დასაქმებას განსხვავებული მახასიათებლები აქვს, ვიდრე წარსულში: ის შეიცვალა სტრუქტურული ცვლილებების შედეგად და მნიშვნელოვანმა ნაწილმა გადაინაცვლა არაპერსპექტიული სფეროებიდან კონკურენტუნარიან დარგებში. მიუხედავად ამისა, ეს არ ამცირებს პრობლემის სიმწვავეს. ტრანსფორმაციის 20 წლის შემდეგაც კი, დასაქმება კვლავ იგივე არასაკმარის დონეზეა, როგორც 20 წლის წინათ დაჩამორჩება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (72.0% 2014 წელს).


დასაქმების პოლიტიკის კვლავდაკვალ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა (CAP), რომელიც ევროკავშირის პოლიტიკის ყველაზე ინტეგრირებული ნაწილია. იგი ეყრდნობა კავშირის სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებსა და პროგრამებს. სოფლის მეურნეობის სექტორი არაერთი გამოწვევის წინაშე დადგა. წარმოება 30%-ით შემცირდა დაბალი მოთხოვნისა და მაღალი იმპორტის გამო 1990 და 1997 წლებს შორის. მთავარი ცვლილება, რომელიც

აღნიშნულ სექტორში განხორციელდა იყო ის, რომ ყოფილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კომპანიები გარდაიქმნა კერძო ბიზნეს კომპანიებად და თანაპარტნიორ კოოპერატივებად.

სლოვაკეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანახმად, 2004-2013 წლების სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის დაცვა წარმოების ყველა პირობით; კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოება; ბუნების რესურსების უფრო ეფექტური გამოყენების, დაცვის, რეგენერაციისა და მუდმივი რეპროდუქციის უზრუნველყოფა; ასევე დაბალანსებული გარემოსა და სოფლის მოსახლეობის დაცვა. სოფლის განვითარების პროგრამები ორიენტირებულია მეურნეობათა მოდერნიზაციაზე, ტყის ეკონომიკური ფასეულობის გაზრდაზე, არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობათა დივერსიფიკაციაზე, სასოფლო ტურიზმის წახალისებაზე და სოფლის რევიტალიზაციაზე და სოციალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარებაზე.

ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების სამინისტროსთან არსებული სოფლის მეურნეობისა და მომსახურების განყოფილება, ჩვეულებრივ, ურთიერთობებს აგვარებს სლოვაკეთის სოფლის მეურნეობის პალატასთან. სოფლის მეურნეობა ეკონომიკაში მაღალი წილით არ იყო წარმოდგენილი ევროკავშირში შესვლისას და, ამდენად, უფრო მეტი პრიორიტეტი სამრეწველო სექტორს ენიჭებოდა (იხ. დიაგრამა 4.7).

დიაგრამა 4.7. სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მომსახურების %-ული წილი მშპ-ში (1995-2014)




წყარო: <http://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS>;
<http://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TETC.ZS>
<http://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS>

სოფლის მეურნეობის ზოგიერთი მცირე საწარმო ვერ იცავდა ევროკავშირის ნორმებს და მათი კომპანიები იხურებოდა, მაგრამ ეს გავრცელებული მოვლენა არ ყოფილა. სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობაში დასაქმების დონის სწრაფად დაცემის შედეგად სოფლის

მეურნეობის სექტორი სლოვაკეთში, ერთგვარად, არასაბაზრო მიმართულების გახდა და ახლარეგულარულად ლობირებს, ითხოვს რა მის მიმართ პროტექციონისტული ზომების განხორციელებას (იხ. დიაგრამა 4.8).

დიაგრამა 4.8. პოლონეთში დასაქმების წილი და დინამიკა სექტორების მიხედვით (1994-2014)



წყარო: <http://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS>;
<http://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TETC.ZS>;
<http://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS>

რაც შეეხება სლოვაკეთის სამრეწველო მოდელის კონკურენტუნარიანობას, ის ემყარება დაბალ ხელფასებს და დაბალ გადასახადებს, არ არის მდგრადი გრძელვადიან პერსპექტივაში. გარდა ამისა, წარმოების რეგიონული კონცენტრაცია დასავლეთ სლოვაკეთში ქმნის უთანასწორობას რეგიონული განვითარების სქემაში. სამრეწველო ზრდამ ვერ შეიტანა მნიშვნელოვანი როლი უმუშევრობის მაღალი დონის შემცირებაში ქვეყნის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებში.

ბიზნეს საზოგადოება სლოვაკეთში არაერთგვაროვანია. უცხოურ მფლობელობაში მყოფი კომპანიები და ქვეყნის შიგნით არსებული მცირე და საშუალო საწარმოები, ზოგადად, პროინტეგრაციონისტები არიან და, ჩვეულებრივ, მხარს უჭერენ ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას, რადგანაც ისინი დამოკიდებული არიან უცხოურ ბაზრებზე და სარგებელს იღებენ ევროპული კანონების განხორციელებისგან. პრივატიზაციის კონგლომერატები ან „ოლიგარქები“, უფრო შიდა ბაზრებსა და სახელმწიფო შესყიდვებზე არიან დამოკიდებული და მათი თანამშრომლობა მთავრობასთან ნაკლებად გამჭვირვალეა. სლოვაკეთში მთავრობასა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი მექანიზმი კანონმემოქმედებით

პროცესთან თანამშრომლობაა.

უნდა აღინიშნოს, ისიც რომ სლოვაკეთში უცხოურ კომპანიებს ჰქონდათ დიდი ხელშეწყობა. მაგ.: როცა კოკა-კოლა შემოვიდა სლოვაკეთში, დაახლოებით, 10-15 წელი გათავისუფლებული იყო გადასახადებისგან, რადგან მისი შემოსვლით ქვეყანაში გაჩნდა სამუშაო ადგილები და გაიხსნა საწარმოები [17].

კანონის ზეგავლენა ბიზნეს-გარემოზე ეკონომიკის სამინისტროს მიერ ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: რეგულაციის შედეგად მოსალოდნელი ხარჯებისა და სარგებელის ბუნება, ადმინისტრაციული ხარჯები, კომპანიების ქვეყანაზე რეგულაციების ზეგავლენა, კომპანიათა მოსალოდნელი რიცხვი, რომლებზეც კანონი ზეგავლენას ახდენს და უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა. კომპანიებისთვის ადმინისტრაციული ხარჯების გამოთვლის მეთოდოლოგია სტანდარტული დანახარჯების მოდელს ეფუძნება, რომელსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობა იყენებს.

ბიზნესის კეთებისთვის ყველაზე პრობლემური ფაქტორები სლოვაკეთში განსაზღვრულია გლობალური კონკურენტულობის ინდექსში: არაეფექტიანი სამთავრობო ბიუროკრატია (16.1%), შემზღვეველი შრომითი რეგულაციები (14.5%),

საგადასახადო განაკვეთები (10.3%), საგადასახადო რეგულაციები (10.1%), ინფრასტრუქტურის არასაკმარისი დონე (9.3%), პოლიტიკის არასტაბილურობა (7.7%), არასაკმარისად განათლებული სამუშაო ძალა (6.3%), წვდომა ფინანსებთან (2.8%), ეროვნული სამუშაო ძალის დაბალი შრომითი ეტიკა (2.0%), ინოვაციების არასაკმარისი მოცულობა (1.8%) და სხვა (1%)

(მაგალითად, ინფლაცია 0.2%).

სლოვაკეთი დამოკიდებულია ექსპორტზე და ისეთ წამყვან სექტორზე, როგორცაა საავტომობილო წარმოება. 2014 წლისთვის სლოვაკეთი მსოფლიოში პირველ ადგილზეა 1,000 მოქალაქეზე 183 ავტომობილის წარმოებით. მისი ექსპორტი სასაქონლო ნიშნის მიხედვით მოცემულია ცხრილში 4.1:

ცხრილი 4.1. სლოვაკეთის ექსპორტი სასაქონლო ნიშნის მიხედვით

1994წ.		2014წ.	
მეტალები	23,54%	მანქანა და ელექტრონიკა	33,27%
მანქანა და ელექტრონიკა	12,24%	ტრანსპორტირება	25,61%
ქიმიკატები	8,70%	მეტალები	10,45%
ხე	8,48%	პლასტმასი და რეზინი	5,55%
ტექსტილი და ტანსაცმელი	8,18%	საწვავი	4,75%
პლასტმასი და რეზინი	7,86%	სხვადასხვა	3,90%
ტრანსპორტირება	7,68%	ქიმიკატები	3,13%
სხვადასხვა	4,75%	ხე	2,93%
საწვავი	4,64%	ტექსტილი და ტანსაცმელი	2,45%
ქვა და მინა	3,37%	საკვები პროდუქტები	1,66%
საკვები პროდუქტები	2,50%	ფხვსაცმელი	1,63%
ბოსტნეული	2,15%	ბოსტნეული	1,53%
მინერალები	1,99%	ქვა და მინა	1,32%
ფხვსაცმელი	1,80%	ცხოველები	1,06%
ცხოველები	1,30%	მინერალები	0,43%
ტყავი	0,80%	ტყავი	0,34%

წყარო: <http://wits.worldbank.org/country-analysis-visualization.html>

იმპორტირებული საქონლის ხუთეულს წარმოადგენს: მანქანები და ელექტრონიკა 21.77%, საწვავი 19.26%, ქიმიკატები 11.05%, მეტალები 9.41% 1994 წელი. 2014 წლის მონაცემები კი ასე გამოიყურება: მანქანები და ელექტრონიკა 32.33%, ტრანსპორტირება 14.32%, მეტალები 10.18%.

სლოვაკეთის 3 ავტომწარმოებელმა (Kia Motors Slovakia, PSA Peugeot Citroen, Volkswagen Slovakia) 2014 წელს 973,370 მანქანა გამოუშვა. ასევე, ავტომობილების მწარმოებელმა Jaguar Land Rover-მა ხელი მოაწერა მემორანდუმს

სლოვაკეთის მთავრობასთან 2015 წლის აგვისტოში [20], სლოვაკეთში ახალი ქარხნის გახსნასთან დაკავშირებით, რომელიც 2018 წელს დაიწყებს წარმოებას. თუმცა, ეკონომიკის შემდგომი ტრანსფორმაცია ცოდნის ეკონომიკის მიმართულებით ერთობ რთული, ხარჯიანი და სავარაუდოდ, ხანგრძლივი პროცესი იქნება.

რაც შეეხება ქვეყნებს, სადაც სლოვაკეთი ახორციელებს ექსპორტის უმეტეს ნაწილს, წარმოდგენილია ცხრილში 4.2.

ცხრილი 4.2. სლოვაკეთის საექსპორტო ქვეყნები

1994წ.		2014წ.	
ჩეხეთი	37,39%	გერმანია	22,00%
გერმანია	17,10%	ჩეხეთი	12,82%
უნგრეთი	5,47%	პოლონეთი	8,04%
ავსტრია	5,25%	ავსტრია	6,13%
იტალია	4,31%	უნგრეთი	6,11%
რუსეთი	4,15%	გაერთიანებული სამეფო	5,20%
პოლონეთი	2,83%	საფრანგეთი	4,95%
ბელგია-ლუქსემბურგი	1,32%	იტალია	4,57%
გაერთიანებული სამეფო	1,28%	რუსეთი	3,21%
ინდოეთი	0,91%	ნიდერლანდები	2,54%

წყარო: <http://wits.worldbank.org/country-analysis-visualization.html>



იმპორტიორი ქვეყნების სამეული შემდეგი სახით წარმოგვიდგება: გერმანია 15.79%, ჩეხეთის რესპუბლიკა 11.06% და ჩინეთი 8.18% 2014 წლისთვის, ხოლო 1994 წელს: ჩეხეთის რესპუბლიკა 29.62%, რუსეთი 18.07% და გერმანია 13.43%.

ამრიგად, სლოვაკეთმა აჩვენა, რომ გადამწყვეტია ფუნქციონირებადი ინსტიტუტების შექმნა, ნებისმიერი ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე. გარდა ამისა, რეფორმების როგორც ნელმა, ასევე სწრაფმა განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს ტრანსფორმაციის პროცესის შენელება ან შეჩერება. ამავე დროს, რეფორმების მაღალი სიჩქარე არ უნდა იქნას მიღწეული მათი ხარისხის და გრძელვადიანი მდგრადობის ხარჯზე.

სლოვაკეთის საბაზრო ეკონომიკა, მისი სტრუქტურა, ისევე როგორც პოლონეთისა და უნგრეთის, ჯერაც არ არის დამაკმაყოფილებელი. მსოფლიო ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა გარდაქმნის კიდევ უფრო მეტი პრობლემები. რეფორმების ხშირი ცვლილებები, კანონების ცვლა და მოულოდნელი ცვლილებები

იწვევდა შიშს და გაურკვევლობას რეფორმების საბოლოო შედეგების შესახებ.

სლოვაკეთის რესპუბლიკის წინაშე მდგომი ძირითადი გამოწვევებია: კონკურენტულ ბიზნეს-გარემოს შექმნა და კორუფციის შემცირება; წარმოების და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია; სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხარისხის და რაოდენობის ზრდა და ამ სექტორის უფრო აქტიური ურთიერთქმედება ბიზნესის სექტორთან; გრძელვადიანი უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტა და დაბრუნება მოქნილ სამუშაო ბაზართან და სხვ.

ვიშეგრადის ქვეყნების განხილვამ საშუალება მოგვცა აღვვინიშნა ის ფაქტი, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ეს არის შესაძლებლობა ქვეყნისთვის განვითარდეს, იბრძოლოს არსებული პრობლემების აღმოფხვრისთვის ან თუნდაც მინიმუმზაციისთვის, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ის არ წარმოადგენს განვითარების მიღწევის გარანტიას, ევროკავშირში გაწევრიანება გამოწვევაა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი გამოწვევაა იყო ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. გველესიანი, შ. მურღულია, დ. ნარმანია, მ. ნანტიტაშვილი, გ. ხუციშვილი, ო. ზედელაშვილი, ევროკავშირი, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო, ჟურნ. "ბიულეტენი" #102, თბ., 2007;
2. ე. ლევაშვილი, დოქტორანტი გ. ყუფარაძე, დოქტორანტი ნ. მაისურაძე, ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე (ლექციების კურსი), თბ., 2013;
3. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), ევროპული პოლიტიკის კოორდინაციის გაუმჯობესება საქართველოში, ვიშეგრადის ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბ., 2015
4. <http://www.heritage.org/index/pdf/2015/countries/slovakia.pdf>
5. <http://www.heritage.org/index/visualize?cnts=slovakia&type=9>
6. <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD>
7. <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD.ZG>
8. <http://data.worldbank.org/indicator/FP.CPI.TOTL.ZG>
9. <http://www.nationaldebtclocks.org/debtclock/slovakia>
10. http://sdw.ecb.europa.eu/browseChart.do?DATASET=0&REF_AREA=282&node=bbn4864&trans=N
11. <http://www.slovak-republic.org/currency/>
12. <https://www.ecb.europa.eu/stats/exchange/eurofxref/html/eurofxref-graph-usd.en.html>
13. <http://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.ZS>
14. <http://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS>;
15. <http://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TETC.ZS>
16. <http://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS>
17. <http://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS>;
18. <http://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TETC.ZS>;
19. <http://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS>
20. <http://eugeorgia.info/ka/article/250/estonetisa-da-slovaketis-gamocdileba-da-rchevebi-saqartvelos-evrointegraciis-gzaze>
21. <http://wits.worldbank.org/country-analysis-visualization.html>
22. <http://wits.worldbank.org/country-analysis-visualization.html>
23. <http://fortune.com/2015/08/11/jaguar-land-rover-slovakia/>

Challenges of Economic Policy of Visegrad Countries after joining EU:
Slovak Republic

Eka Lekashvili,
TSU Associated Professor
Mariam Bitsadze,
Magister of Economic and Business Faculty at TSU
Ketevan Jikia,
Magister of Economic and Business Faculty at TSU

We are concluding series of articles about “Challenges of Economic Policy for Visegrad Countries after joining EU”.

Presented article contains Slovakian experience. Economical values and their variation before and after joining EU; also, main problems and challenges were studied, such as: process of getting close to and harmonizing with EU legislations, making of competitive business environment and decreasing levels of corruption, quality and quantity of scientific research operations, agriculture. On the basis of studying Slovakian experience, it can be considered as a way to join EU for Georgia.

სუპერკომპიუტერების განვითარების ტენდენციები და გორდონ მურის კანონი



თეიმურაზ გოგნაძე
ბიზნესის ადმინისტრირების
აკადემიური დოქტორი
e-mail: teimuraz.gognadze@tsu.ge
ტელ: 577 24 45 45

სტატიაში განხილულია კომპიუტერების ერთ-ერთი კლასის სუპერკომპიუტერების განვითარების სტატისტიკა. გაანალიზებულია კომპიუტერების ძირითადი მახასიათებლები: მწარმოებლურობა (ტექტური სისწორე), კომპიუტერის ძირითადი ელემენტის ტრანზისტორების რაოდენობის ზრდა კომპიუტერში, შეფარდება-ფასი/მწარმოებლურობა. გაკეთებულია დასკვნა, რომ განვლილი პერიოდის განმავლობაში სუპერკომპიუტერის მწარმოებლობა იზრდება გორდონ მურის კანონის შესაბამისად და გამოძინარე მიკროელექტრონიკის განვითარებაში მიღწეული პროგრესიდან კომპიუტერების ფასი შესაბამისად მცირდება. საბოლოოდ გაკეთებულია დასკვნა, რომ გორდონ მურის კანონის მოქმედება კიდევ გაგრძელდება რამდენიმე ათეული წელი.

ცივილიზებული სახელმწიფოსათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია საკმაოდ რთული ტექნიკურ-სახოგადობრივი სიტუაციის მოდელირება და ანალიზი უმოკლეს დროში, რომელიც საჭიროებს უამრავი ინფორმაციის ერთდროულ და სწრაფ დამუშავებას. ამ მიზნის მიღწევა წარმოუდგენელია სუპერკომპიუტერის გარეშე. მაგალითად 1 TFlops სიმძლავრის სუპერკომპიუტერის მიერ შესრულებული გამოთვლების ჩასატარებლად თანამედროვე კალკულატორით საჭიროა 0.8 მილიონი წელი. ინფორმაციული მასივების მოცულობა დღით-დღე იზრდება და შესაბამისად გაზრდილია მოთხოვნები მათ დამუშავებაზე. დღეისათვის მეცნიერები ხშირად იყენებენ ელექტრონული მოდელირების მეთოდს. საინტერესოა ქიმიური და ბიოლოგიური აგენტების ქცევის მოდელირება და მათზე და დაკვირვება ვირტუალურ რეჟიმში. მაგალითისათვის 1 გრამი ანტიმატერიის მისაღებად და მასთან სამუშაოდ 1 საათის განმავლობაში საჭიროა 64 ტრილიონი დოლარი. ასეთი თანხების მობილიზაციის არარეალურობის მიუხედავად ამ საკითხებზე აქტიურად მუშაობს მსოფლიოს ათობით ინსტიტუტი. შესაძლებელია ამინდის, ბუნებრივი მოვლენების, ავადმყოფობების მოდელირება. უამრავი სხვადასხვა პარამეტრის ერთდროული აკუმულირებისა და სწრაფი დამუშავების საფუძველზე შესაძლებელია კონკრეტულ პირობებში მინიმალურ დროში პირველი რიგის ამოცანების დასახვა და ეფექტური ღონისძიებების შემუშავება.

საჭირო მონაცემთა წინასწარი დამუშავება და შესწავლა საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ნებისმიერი მოვლენის პროგნოზირების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სრული სურათი.

საკვანძო სიტყვები: სუპერკომპიუტერი, მურის კანონი, სუპერკომპიუტერის მწარმოებლურობა, სუპერკომპიუტერის ფასი.

1960-იან წლებში ლუვერმანის ნაციონალურ ლაბორატორიაში და შემდეგში CDC კომპანიაში მომუშავე ინჟინრებმა ჯორჯ მაიკლმა და სინდი ფერნ ბახმა შემოგვთავაზა ტერმინი სუპერკომპიუტერი.[1]

სუპერკომპიუტერი ეწოდება გამომთვლელ სისტემებს, რომლებიც სისწრაფით ბევრად აღემატებიან ტიპურ კომპიუტერებს და რომელთა საშუალებითაც მიმდინარეობს ქიმიური და ბიოლოგიური კვლევები, ბირთვული ცდების მოდელირება და ამინდის პროგნოზირება და ა. შემდეგ.

1993 წელს რუბინ ლანდაუმ და პოლ ფინკმა თავიანთ სტატიაში შემოგვთავაზეს სუპერკომპიუტერის ასეთი განმარტება: სუპერკომპიუტერი კომპიუტერების ყველაზე ძლიერი და სწრაფი კლასია მათ შორის, რაც კი შეიძლება არსებობდეს.

სუპერკომპიუტერი ესაა ძლიერი კომპიუტერების კატეგორია დიდი ტევადობით, რომელსაც შეუძლია აითვისოს მასიური ინფორმაცია და გადაამუშაოს იგი მაქსიმალურად მოკლე დროში.

თვით ტერმინის “სუპერკომპიუტერი“-ს მნიშვნელობა იცვლებოდა იმის მიხედვით თუ

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

რა სიმძლავრის იყო მაქსიმალურად ძლიერი კომპიუტერი ანუ რამდენ არითმეტიკულ ოპერაციას ასრულებდა იგი წამში, რომელიც იზომება ფლოპსებში FLOPS(Floating Polat Operatin Per Second). ყველაზე მთავარი ატრიბუტი სუპერკომპიუტერების შესაფასებლად არის მეხსიერების ტევადობა და სიმძლავრე. მაგალითისათვის 1994 წელს სუპერკომპიუტერი ეწოდა ისეთ კომპიუტერს, რომლის სწრაფქმედება იყო 195 მილიონი თეორიული ოპერაცია წამში (Theoretical operations per second (MTOPS)). უკვე მომდევნო 1995 წლისათვის გამოვიდა 1500 მილიონი თეორიული ოპერაციის შემსრულებელი კომპიუტერი. სუპერკომპიუტერებისათვის ყოველწლიურად იქმნება ტოპ 500 სია და მხოლოდ ამ სიაში მოხვედრილი კომპიუტერები იწოდება სუპერკომპიუტერებად. ეს რეიტინგი ქვეყნდება წელიწადში ორჯერ ივნისსა და ნოემბერში 1993 წლიდან. მისი მთავარი მახასიათებლებია Rmax (Tflop/s)-მინიმალური მწარმოებლობა და Rpeak (Tflop/s)-მაქსიმალური მწარმოებლობა. ასევე ბირთვების რაოდენობა.

დღეისათვის მსოფლიოს ყველაზე მძლავრი კომპიუტერის განახლებულ რეიტინგს კიდევ ერთი ჩინური კომპიუტერი ჩაუდგა სათავეში, 93 პეტაფლოპის მქონე Sunway TaihuLight. მოწოდებლობა ჩინეთის ქალაქ ვუხის ეროვნულ კომპიუტერულ ცენტრში ჩართეს. კომპიუტერი მაქსიმალური დატვირთვისას წამში 93,000 ტრილიონ კალკულაციას აკეთებს. ის ორჯერ უფრო სწრაფი და სამჯერ უფრო ეფექტურია ვიდრე წინა ლიდერი –ასევე ჩინური სუპერკომპიუტერი Tianhe-2.

მანქანას გააჩნია 10,5 მილიონი ლოკალური პროცესორის ბირთვი და 40,960 კვანძი. ის მუშაობს ლინუქსის ოპერაციულ სისტემაზე. მსოფლიოს სუპერკომპიუტერების ტოპ 500-ში ჩინეთი ამერიკას უსწრებს. რეიტინგში 167 ჩინეთის სუპერკომპიუტერი მოხვდა, ხოლო 165 ამერიკული. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 10 წლის წინ რეიტინგში მხოლოდ 28 ჩინური კომპიუტერი იყო და არც ერთი მათგანი ტოპ-30-ში არ ირიცხებოდა. აღსანიშნავია, რომ ტოპ-10-ში ამერიკის 4 კომპიუტერია, ხოლო ჩინეთის ორი, რომლებიც პირველ და მეორე ადგილებზე მოხვდნენ. სხვა პოზიციებზე აღმოჩნდნენ სუპერკომპიუტერები იაპონიიდან, შვეიცარიიდან, გერმანიიდან და საუდის არაბეთიდან.

სუპერკომპიუტერებისა და ზოგადად კომპიუტერული მეცნიერების კვლევა შემოგვთავაზა აშშ-მა სამხედრო საქმეში სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. ამის მიუხედავად პირველი თანამედროვე ელექტრონული

გამომთვლელი მანქანა შეიქმნა 1943 წელს ბრიტანეთში გიგანტური მანქანა-დანადგარის სახით, რომელსაც ეწოდა ბლუჩლი პარკი. იგი შეიქმნა გერმანული სამხედრო ტექნოლოგიის მუშაობის შესაფერხებლად. მან მეორე მსოფლიო ომის დროს გადამწყვეტი როლი შეასრულა ამერიკული სამხედრო ინფორმაციის დაცვისა და სხვა სახელმწიფოებიდან ინფორმაციის მოპოვების საქმეში. ამერიკელებმა ბრიტანული სისტემის მოდერნიზაციით შეძლეს მისი მორგება ამერიკულ რეალობაზე.

1945 წელს პენსილვანიის უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა კომპიუტერი ენიაკი, რომლის საშუალებითაც მოხდა ამერიკული ბალისტიკური რაკეტების გაუმჯობესება და ეტაპობრივად კონტინენტთაშორისო დონეზე გადაყვანა. მის ბაზაზე ჯონ ეკერტმა და ჯონ მაუჩლიმ შექმნეს კომპიუტერი ენიაკი, რომელიც გამოიყენეს საჰაერო თავდაცვაში. ენიაკის გაუმჯობესებული ვერსიები, რომლებიც თვისობრივად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან შეიქმნა სეაკისა და ERRA 1101-ის სახით. სუპერკომპიუტერის პიონერად ითვლება ამერიკელი ინჟინერი სეიმურ კრეი. მან 1953 წელს დაიწყო მუშაობა კომპანიაში Engireening Research Associates და შექმნა თავისი პირველი კომპიუტერი ERRA 1103 (იგივე UNIVAC 1103). ამავე წელს შეიქმნა კომპიუტერი IBM 701. აშშ იწყებს მუშაობას კოსმოსური კვლევებისა და კოსმოსური ხომალდების ტექნიკური გამართვის მიზნით. 60-იანი წლებიდან და 70-იან წლებამდე ამერიკის სუპერკომპიუტერების ინდუსტრიაში ორი ამერიკული კომპანია CDC და მისი შთამომავალი Crey დომინირებდა. 60-იანი წლებიდან CDC გახდა ლიდერი კომპიუტერების სფეროში. კომპანია ხშირად იცვლიდა მფლობელებსა და სახელწოდებებს, რაც გახდა მიზეზი კრეისა და მისი კოლეგებისათვის დაეარსებინათ საკუთარი კომპანია Control Data Corporacion-ი. რადიო მილაკების ნაცვლად გერმანიუმის ტრანზისტორების გამოყენებით 1960 წელს კრეიმ შექმნა 200 პერც სისშირეზე (1 ტაქტი 5 მიკროწამი) მომუშავე ახალი კომპიუტერი CDC 1604, რომელმაც თავისი შესაძლებლობებით გადააჭარბა ყველა ელექტრონული გამომთვლელი მანქანას, რის გამოც იგი შეიძლება ჩაითვალოს პირველ სუპერკომპიუტერად. CDC-ისა და CDC 1604-ის ბაზაზე სეიმურ კრეიმ 1965 წელს დაასრულა მუშაობა მეორე CDC 6600 სუპერკომპიუტერზე, რომელშიც სილიციუმის ტრანზისტორებმა და VLIW არქიტექტურამ სისშირე 10 მეგაპერცამდე (ტაქტი 100 ნანოწამი) გაზარდა. ჰაერით გაგრილების ნაცვლად გამოყენებულ



იქნა ფრენის სისტემა. CDC 6600 –ის სისწრაფე გახდა 1 მეგაფლოპსი (მილიონი ოპერაცია წამში), რაც 50 000-ჯერ აღემატება CDC 1604-ის სისწრაფეს და მისი პირველი ეგზემპლარი განათავსეს ცერნის ევროპული კვლევების ცენტრში.

1969 წელს სემურ კრემ წარმოადგინა განახლებული სუპერკომპიუტერი CDC 7600, რომელიც მუშაობდა 37 მეგაპერც (სისწრაფე 10 მეგაფლოპსი) სიხშირეზე. ოთხპროცესორიანი CDC 8600 დიდ ელექტრონეგიას (24 კვტ) მოიხმარდა და გაგრილება რთული იყო (სისტემა 20 ტონას იწონიდა). ეს პროექტი დაიხურა და კრემ Control Data Corporation-ში დატოვა. უკვე 1972 წელს სემურ კრემ მუშაობას აგრძელებს მის მიერვე დაარსებულ კომპანიაში Cray Research თავდაცვის სამინისტროსა და სამეცნიერო დაწესებულებებისათვის სუპერკომპიუტერებზე, სადაც 1975 წელს უშვებს Cray-1 კომპიუტერს (კრემ იხელმძღვანელებდა CDC 8600 და CDC STAR-100 სუპერკომპიუტერების დადებითი და უარყოფითი მხარეებით), რომელშიც ტრანზისტორების ნაცვლად ინტეგრალური მიკროსქემები და მრავალპროცესორიანი სისტემის ნაცვლად ვექტორული პროცესორი გამოიყენა. CDC STAR-100 მაღალ სისწრაფეს გეინვენებდა ვექტორული გამოთვლების დროს, მაგრამ ნელი იყო სკალარული გამოთვლებისას. ამიტომ ამ სუპერკომპიუტერმა თავი გამოიჩინა ისეთ სპეციალურ ამოცანებზე, რომლებშიც მოითხოვებოდა მონაცემთა დიდი მასივების დამუშავება. Cray-1-ისა ამოცანების ასეთი კომპიუტერის სისწრაფემ 80 მეგაფლოფსს მიაღწია. ათი წლის განმავლობაში კრემს თანამშრომლები მუშაობდნენ სუპერკომპიუტერზე Cray-2, რომელშიც იყენებდნენ 64 სკალარულ პროცესორს. სისწრაფემ 1.9 გიგაფლოპსი შეადგინა და 1990 წლამდე ყველაზე ძლიერ სუპერკომპიუტერად ითვლებოდა. ახალ Cray-3 სუპერკომპიუტერში სილიციუმის პროცესორების ნაცვლად გალიუმის არსენიდზე დამზადებული ჩიპები გამოიყენეს. კრემს იმედი, რომ სიხშირე 500 მეგაპერცს მიაღწევდა არ გამართლდა საჭირო რთული ნახევარგამტარების წარმოების სიძვირის გამო და პროექტიც შეჩერდა. იგი ტოვებს კომპანიას და 1989 წელს აარსებს ახალს Cray Computer, სადაც აგრძელებს Cray-3-ზე მუშაობას. 1995 წელს კომპანია Cray Computer გაკოტრდა და კრემ აარსებს მესამე კომპანიას SRC Computer. 1996 კრემ ავტოკატასტროფაში იღუპება, მაგრამ მის მიერ შექმნილი Cray Research დღესაც აწარმოებს სუპერკომპიუტერებს Cray inc-ის სახელწოდებით.

1990 წლიდან IBM გახდა სრულყოფილად ჩამოყალიბებული სუპერკომპიუტერები. ლორენს ბერკლის სახელობის ნაციონალური ლაბორატორიისა და ტენესისის უნივერსიტეტის სპეციალისტები აქვეყნებენ ტოპ 500 (TOP 500) რეიტინგს რომელშიც მოცემულია მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სუპერკომპიუტერების სია. იგი წელიწადში ქვეყნდება ორჯერ ივნისში და ნოემბერში. Rmax (TFlops) და Rpeak (TFlops) მახასიათებლების გარდა მიუთითებენ მწარმოებელს, ადგილს, წარმოების წელს, პროცესორსა და მესხიერებას. რეიტინგი ქვეყნდება 1993 წლიდან, რომლის მიხედვითაც იგრძნობა ამერიკისა და აზიური ქვეყნების წილის ცვლილება. 2004 წლიდან ტოპ ათეულში (TOP 10) პირველად შევიდნენ აზიური წარმოების Tian-he, რაც აზიური კომპიუტერული ინჟინერიის დიდი წარმატება იყო.[2]

TOP 500-ის პარალელურად 2007 წლიდან ქვეყნდება GREEN 500 სია, რომელშიც ასახულია სუპერკომპიუტერების ენერგოეფექტიანობა, რაც მიუთითებს თუ რამდენად ნაკლები ელექტრო ენერჯის მოხმარების ხარჯზე ასრულებს იგი თავის სამუშაოს ეფექტურად. ენერგოეფექტურობის მოთხოვნა მეცნიერებმა წაუყენეს სუპერკომპიუტერებს 2002 წლიდან იაპონიაში შექმნილი კრიტიკის გამო. ეს კომპიუტერი გამოსვლისთანავე მოხვდა ტოპ 500 სიაში და წარდმოადგინა მაშინდელი შესაძლებლობების პიკს, მაგრამ გამოთვლებმა ცხადყვეს მისგან ელექტროენერჯის უზარმაზარი რაოდენობის მოხმარება. ამიტომ ამ სუპერკომპიუტერის მოხმარება ნებისმიერ ქვეყანას ძვირი დაუჯდებოდა და მეცნიერებმა დაიწყეს ამ მხრივ კომპიუტერების შეფასებაც. სუპერკომპიუტერების მწარმოებლებს ეკოლოგები და გარემოს დამცველები ადანაშაულებდნენ ენერგორესურსების განუზომელ ხარჯვაში. მიუხედავად ამისა 2007 წელს წამყვანი სუპერკომპიუტერი Blue Geene/L წელიწადში 1 მილიონი დოლარის ენერჯიას მოიხმარდა. ანალოგიურად დიდ ენერჯიას ხარჯავდნენ სხვა სუპერკომპიუტერებიც. ამიტომ დაიწყო მუშაობა ელექტრო ენერჯიის მოხმარების შემცირების მიმართულებითაც. 2007 წლისათვის ლოს-ალამოს ნაციონალურ ლაბორატორიაში (აშშ) წარმოებული კომპიუტერი გაგრილების სისტემის გამოყენების შედეგად აღწევს ენერგო ეფექტურობის 10-15 %-იან დონეს. სწორედ ამის შემდეგ პრიორიტეტი მიენიჭა ენერგოეფექტურობას სუპერკომპიუტერების წარმოებაში და შექმნილი კომპიუტერებიც შედარებით ნაკლებ ენერჯიას მოიხმარენ.

გთავაზობთ 2016 წლის იენისისა და ნოემბრის სუპერკომპიუტერების ტოპ ათეულს (TOP 10) ათეულში ადგილის, სახელის, მწარმოებლისა და ქვეყნის მიხედვით.[3]

2016 წლის იენის-ნოემბრის კონკურში გამარჯვებული სუპერკომპიუტერები:[4]
სუპერკომპიუტერების შექმნა, მონტაჟი და მუშაობის უზრუნველყოფა დიდ თანხებთანაა

2016 წლის სუპერკომპიუტერების ტოპ ათეული

იენისი	სუპერკომპიუტერის დასახელება	მწარმოებელი	ადგილმდებარეობა	ნომბერი	სუპერკომპიუტერის დასახელება	მწარმოებელი	ადგილმდებარეობა
ადგილი				ადგილი			
1	Sunway TaihuLight	NRCPC	ჩინეთი	1	Sunway TaihuLight	NRCPC	ჩინეთი
2	Tianhe-2	NUDT	ჩინეთი	2	Tianhe-2	NUDT	ჩინეთი
3	Titan	Gray Inc.	აშშ	3	Titan	Gray Inc.	აშშ
4	Sequoia	IBM	აშშ	4	Sequoia	IBM	აშშ
5	K Computer	Fujitsu	იაპონია	5	Cori	Gray Inc.	აშშ
6	Mira	IBM	აშშ	6	Oakforest-PACS	Fujitsu	იაპონია
7	Trinity	Gray Inc.	აშშ	7	K Computer	Fujitsu	იაპონია
8	Piz Daint	Gray Inc.	შვეიცარია	8	Piz Daint	Gray Inc.	შვეიცარია
9	Hazel Hen	Gray Inc.	გერმანია	9	Mira	IBM	აშშ
10	Shaheen II	Gray Inc.	საუდიის არაბეთი	10	Trintig	Gray Inc.	აშშ

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

დაკავშირებული და ამიტომ მათ ძირითადად იყენებენ სახელმწიფო სამსახურები სამეცნიერო და თავდაცვითი მიზნებისათვის. სუპერკომპიუტერების გამოყენების სფეროა:

- ეროვნული უსაფრთხოება;
- კიბერუსაფრთხოება;
- ამინდის წინასწარმეტყველება;
- პლაზმური ფიზიკის კვლევები;
- აეროპორტების, მეტროების და რკინიგზის

გამართული მუშაობა;

- ბიონჟინერის კვლევები;
- სოციალური ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;

- სეისმოლოგია;
- გეოგრაფია და გეოგრაფიული მეცნიერებები;

- ასტროფიზიკა;
- კომპიუტერული ინჟინერია და საინფორმაციო ტექნოლოგიები.

ინფორმაციული რევოლუციის დასაწყისში 1960-იან წლებში კორპორაცია Intel-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გორდონ მურმა (ამერიკელი კომპიუტერული ინჟინერი და ბიზნესმენი) ყურადღება მიაქცია კომპიუტერების განვითარების კანონზომიერებას. მან შეამჩნია რომ, ყოველ ორ წელიწადში კომპიუტერული მეხსიერება ორმაგდება. მალე გამოჩნდა, რომ არა მარტო მეხსიერება, არამედ კომპიუტერის წარმადობის ყოველი მაჩვენებელი, როგორცაა: მიკროსქემების ზომები, პროცესორის სიჩქარე და სხვა ემორჩილება ხსენებულ წესს. ამ წლებში კომპიუტერ-

ული ინდუსტრია წარმოების სხვა დარგებთან შედარებით საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა. აქ განვითარების ძირითად განმსაზღვრელ ძალას წარმოადგენდა მიკროსქემების დამამზადებელი ფირმების შესაძლებლობანი ყოველწლიურად ერთეულოვან ჩიპებში სულ უფრო მეტი რაოდენობის ტრანზისტორები ჩაატონ. მეხსიერების სიდიდე და პროცესორების სიმძლავრე დამოკიდებულია ტრანზისტორების ანუ პაწაწინა ელექტრონული გადამრთველების რაოდენობაზე.

გორდონ მურმა 1963 წელს ჟურნალ "ელექტრონიკაში" დაწერა სტატია, სადაც ჩამოაყალიბა "მურის კანონი", რომელიც ასე უღერდა: "ყოველ 24 თვეში ინტეგრირებულ სქემაში ტრანზისტორების რაოდენობის გაორმაგება შესაძლებელი". ეს კანონი დღემდე მოქმედებს და უფრო გაძლიერდა კიდევაც. დღეს შეიძლება ითქვას, რომ კომპიუტერის სისწრაფე და სიმძლავრე ყოველ 18 თვეში ორმაგდება, ხოლო მისი ფასი წელიწადში მესამედით მცირდება.[5]

კანონის მიხედვით 2018 წლისათვის კომპიუტერისათვის უნდა მივიღოთ შემდეგი მაჩვენებლები: მეხსიერება 104032 Mb, დისკის მოცულობა 20480 Gb, სისწრაფე 612000 mhz, კომპიუტერის ფასი 2,72\$.


საინტერესოა კიდევ რამდენ წელს იმოქმედებს მურის კანონი?

1993 წლიდან 2016 წლის ჩათვლით ნოემბრის თვის გამარჯვებული (პირველ ადგილზე გასული) სუპერკომპიუტერებისათვის ავაგოთ ცხრილი მათი მწარმოებლობის Rmax(Gflops) და მაქსიმალური შესაძლო მწარმოებლობის Rpeak(Gflops) №4(43), 2016 წელი, year




გიგაფლოპსებში და ბირთვების რაოდენობის მიხედვით:


ამ ცხრილის დახმარებით ავსებთ წლების მიხედვით მწარმოებლურობის გრაფიკი Rmax(Gflops) გიგაფლოპსებში:




ნახაზიდან ჩანს, რომ 1993 წლიდან თითქმის 2010 წლამდე სუპერკომპიუტერების მწარმოებლობა მცირედით მაგრამ მაინც იზრდებოდა, ხოლო 2010 წლის შემდეგ მწარმოებლობა საკმაოდ სწრაფი ნახტომით ვითარდება. ანალოგიურად ვნახოთ მაქსიმალური შესაძლო მწარმოებლობის Rpeak(Gflops) გიგაფლოპსებში გრაფიკი. იგი ასე გამოიყურება:



ნახაზიდან კარგად ჩანს სუპერკომპიუტერებში 2010 წლიდან მაქსიმალურად შესაძლო მწარმოებლობის განვითარების კანონზომიერება. განვიხილოთ როგორ მიმდინარეობდა ბირთვების რაოდენობრივი ცვლილებები წლებთან მიმართებაში:



სუპერკომპიუტერებში 1993 წლიდან 2006 წლამდე თანმიმდევრულად იმატებდა, ხოლო შემდეგ უკვე დაიწყო სწრაფი მატება და 2016 წლისათვის მისმა როდენობა რეკორდულ მაჩვენებლს 93 014 600 მიაღწია. ანალოგიურ ცხრილის საფუძველზე თუ ავაგებთ წლების მიხედვით ფასი/მწარმოებლობა გრაფიკს, მივიღებთ:



გრაფიკიდან კარგად ჩანს, რომ 1993 წლიდან 1997 წლამდე ფასი/მწარმოებლობა მკვეთრად დაეცა, ხოლო შემდეგ იწყო კლება და 2016 წლის მდგომარეობით მიაღწია მინიმალურ დონეს. საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩიპის წარმოებაში (7-14 ნანომეტრი) განვითარების პერსპექტივა კიდევ უფრო გაახანგრძლივებს გორდონ მურის კანონის მოქმედება რამდენიმე ათეული წლით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1). intermedia.ge/სტატია/61899/;
- 2). <https://www.top500.org/lists/>;
- 3). [https://ruhttps://www.top500.org/lists/2016/11/.wikipedia.org/wiki/TOP500/](https://ruhttps://www.top500.org/lists/2016/11/.wikipedia.org/wiki/TOP500;);
- 4). <https://www.top500.org/lists/2016/11/>;
- 5). https://en.wikipedia.org/wiki/Sunway_TaihuLight;
- 6). http://jemalisblogi.blogspot.com/2008/11/blog-post_9144.htm;

Supercomputer development tendencies and the Gordon Moore law

Temur Gognadze
Business Administration
Academic Doctor

Resume

In the article considers one of the computer classes – supercomputer development statistics. We have analyzed the main characteristics of the computers: productivity (tactic frequency), increase of the key elements - transistors number in computers, the cost/productivity ratio. We have concluded, that during the recent period the productivity of supercomputer increases according to G. Moore law and taking into consideration the progress we have in the microelectronics development, its price decreases accordingly.

Finally, we conclude that G. Moore law will work (be actual) for several decades more.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



„შავი“ და „თეთრი“ სია - სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში კონკურენციის შემოღებაში თუ წამახალისებელი ფაქტორები



ლაშა მგელაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი
ტელ: (+995) 577229889
ელ.ფოსტა: lmgeladze@gmail.com

სტატია ეხება კონკურენციის (ანტიმონოპოლიურ) თემატიკას. განხილულია ქვეყნისა და ბიზნესისთვის უმნიშველოვანესი სფეროს - სახელმწიფო შეყიდვების სისტემის ერთ-ერთი კომპონენტი - „შავი“ და „თეთრი“ სიების წარმოებასთან დაკავშირებული, კანონდებლობით განსაზღვრული, რეგულაციები და მათი ზემოქმედება კონკურენციულ გარემოზე (კონკურენციის პრინციპების დაცვასთან მიმართებაში).

შესაბამისად, მიმოხილულია „შავი“ და „თეთრი“ სიების წარმოების არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური მოდელი. განხილულია თითოეული მათგანი ცალ-ცალკე და გადმოცემულია ავტორის შეფასება მათთან დაკავშირებით. ბოლოს, დასკვნის სახით, მოკლედ არის წარმოდგენილი ავტორის ხედვა „შავი“ და „თეთრი“ სიების წარმოების მიზანშეწონილობის შესახებ.

იმისათვის, რომ სახელმწიფო შეყიდვების სასაქონლო ბაზრებზე იყოს ჯანსაღი კონკურენტული გარემო, მასში მონაწილე კომპანიებს ჰქონდეს ერთნაირი სასტარტო პირობები და არცერთი კომპანია არ იყოს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენებული, საჭიროა, „სახელმწიფო შეყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოღებულ იქნას „თეთრი“ და „შავი“ სიის წარმოების უფლებამოსილება, აღნიშნულია დასკვნაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქვეყანაში კონკურენტული გარემოს შექმნა (ყველა მიმართულებით) და ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბება ხელს უწყობს როგორც ეკონომიკის, ისე პოლიტიკური, სოციოლოგიური, განათლების და სხვა სფეროების/სისტემების მკვეთრ და ჯანსაღ განვითარებას. აღნიშნული, საერთო ჯამში, ქვეყნის საერთო/სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე პირდაპირპროპორციულად აისახება.

ამჯერად ეკონომიკის სფეროში კონკურენციული გარემოს შექმნასა და მის მნიშვნელობაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. მიგვაჩნია, რომ ეკონომიკის სფეროში კონკურენციის პრინციპების დაცვა და კონკურენტული გარემოს შექმნა პირდაპირპროპორციულად უყრის საფუძველს სხვა სფეროებში კონკურენციის პრინციპების დანერგვას (ეკონომიკა მოიცავს სოციალურ, განათლების, ჯანდაცვის, პოლიტიკის და სხვა, ქვეყნისთვის საჭირო თითქმის ყველა სფეროს) და სწრაფ განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბაზარზე/ეკონომიკაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნისათვის

აუცილებელია სახელმწიფო სტრუქტურების და მათი ფუნქციების ისე ჩამოყალიბება/შექმნა, რომ არ შეუშალოს ხელი თავისუფალი კონკურენციის განვითარებას. სწორედ სახელმწიფოა ის ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია მკვეთრად დააზიანოს ან გააუმჯობესოს კონკურენტული გარემო ეკონომიკაში, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის სწრაფ განვითარებაზე ან პირიქით, შეფერხებაზე.

ამჯერად, კიდევ უფრო დავაკონკრეტებთ და შევხებით ქვეყნისა და ბიზნესისთვის ერთ-ერთ უმნიშველოვანეს სფეროს - სახელმწიფო შეყიდვების სისტემას. მის ერთ-ერთ კომპონენტს - „შავი“ და „თეთრი“ სიების წარმოებას. შესაბამისად, განვიხილავთ „შავი“ და „თეთრი“ სიების წარმოებასთან დაკავშირებულ, კანონდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებს კონკურენციის პრინციპების დაცვასთან მიმართებაში.

რატომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემა? ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი კონკურენციის

სახელი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

მარეგულირებელი ორგანოსათვის ისეთივე დაკვირვების სფეროა, როგორც ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების ბაზრები.

უფრო მეტიც, სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი ერთ-ერთი უმსხვილესია. იგი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%-ს უტოლდება [5, გვ.9]. 2014 წელს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 2,846,942,257 ლარს მიაღწია [5, გვ.9], ხოლო 2015 წელს 3,203,258,126 ლარი შეადგინა [6, გვ.10].

შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე კონკურენციის დაცვა/კონკურენტული გარემოს შექმნა და ბაზრის კონკურენციის კუთხით მონიტორინგი, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

აღნიშნული, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითაც დასტურდება:

კანონის ერთ-ერთი მიზანია „სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება“ (მუხლი 2. პუნქტი. ბ). კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრულია, რომ „... შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად... საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.“

ამავე კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, „შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე... ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა“ [1].

სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება პირდაპირპროპორციულად აისახება როგორც აღნიშნული ბაზრის, ისე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე (გამომდინარე ბაზრის მასშტაბიდან). საკითხს მგრძობიარობას მატებს ისიც, რომ ბაზარზე მოქმედი შემსყიდველები არიან სახელმწიფო ორგანიზაციები, ანუ ორგანიზაციები, რომელიც არ არის ორიენტირებული მოგებაზე. მათზე არ მოქმედებს ეგრეთწოდებული „უხილავი ხელის“ პრინციპი და არ არის კონკურენტულ მდგომარეობაში სხვა შემსყიდველებთან.

შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე კონკურენციის დაცვას, საქმიანობის გამჭვირვალობას და

სიმარტივეს, რომლისკენაც უნდა იყოს მიმართული შესაბამისი მარეგულირებელი აქტები. სისტემის გამართულად (კონკურენტულად გამართულად) ფუნქციონირება პირდაპირპროპორციულად აისახება ასევე, სისტემაში/ სფეროში მოთამაშე ეკონომიკური აგენტების განვითარებასა და გაკოტრებაზე. აღნიშნული ეკონომიკური აგენტების წახალისებისა თუ არაკეთილსინდისიერების გამოვლენისა და შესაბამისი სანქციის გატარების რეგულირებისკენ არის მიმართული სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში „შავი“ და „თეთრი“ სიების წარმოების კომპონენტი.

ეკონომიკის განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალას ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები წარმოადგენენ. ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში რაც შეიძლება მეტ ძლიერ და თავისუფალ/ კონკურენტულ გარემოში მოქმედ ეკონომიკური აგენტების არსებობას.

შესაბამისად, ჩვენი აზრით, სახელმწიფო პოლიტიკამიმართული უნდა იყოს ზემოაღნიშნული ეკონომიკური აგენტების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისაკენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვთლით, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში არსებული „შავი“ და „თეთრი“ სიების წარმოების კომპონენტის განხილვას და შეფასებას. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალკე.

შავი სიის განმარტება მოცემულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში. კანონის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით იგი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრს. კერძოდ:

„შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი (შემდგომ – შავი სია) – შავი სია, რომელსაც... სააგენტო ელექტრონულად აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. შავ სიაში აისახება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე იმ არაკეთილსინდისიერ პირთა, პრეტენდენტთა და მიმწოდებელთა მონაცემები, რომლებსაც შავ სიაში შეტანიდან 1 წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში და დადონ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. „შავი სია“ ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. „შავი სიის“ წარმოების წესი და პირობები განისაზღვრება... კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით (შემდგომ – კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი);“

რეესტრის წარმოების წესი და პირობები



განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის #19 ბრძანებით - „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

„შავი სია“ წარმოადგენს სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ ოფიციალურ რეესტრს, რომელშიც რეგისტრირებულ პრეტენდენტს/მიმწოდებელს, შავ სიაში დარეგისტრირებიდან 1 წლის განმავლობაში, არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვაში და დადოს ხელშეკრულება.

შესაბამისი მარეგულირებელი ორგანო „შავ სიას“ აწარმოებს ელექტრონულად, საკუთარ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. [7, მუხლი. 2]

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ: 2011 წელს „შავ სიაში“ შეყვანილი იქნა 137 ეკონომიკური აგენტი [2, გვ.24]; 2012 წელს - 217 ეკონომიკური აგენტი [3, გვ.23]; 2013 წელს - 155 ეკონომიკური აგენტი [4, გვ.31]; 2014 წელს მიღებული იქნა 649 გადაწყვეტილება საიდანაც: 214 (33%) იყო „შავ სიაში“ დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, 395 (61%) გაფრთხილების მიცემის თაობაზე და მხოლოდ 28 (4%) შემთხვევაში ითქვა უარი „შავ სიაში“ რეგისტრაციაზე [5, გვ.30]; 2015 წელს კი მიღებული იქნა 803 გადაწყვეტილება, საიდანაც: 477 (59%) იყო „შავ სიაში“ დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, 259 (32%) გაფრთხილების მიცემის თაობაზე და მხოლოდ 45 (6%) შემთხვევაში ითქვა უარი „შავ სიაში“ რეგისტრაციაზე [6, გვ.38].

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკიდან იკვეთება, რომ შავ სიაში რეგისტრირებულ კომპანიათა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, გამონაკლისს მხოლოდ 2013 წელი წარმოადგენს, სადაც წინა წელთან შედარებით 62 (28,6%) ერთეულით კლება შეინიშნება. „გაშავებულ“ კომპანიათა რიცხვმა რეკორდულ ნიშნულს 2015 წელს მიაღწია (477 „გაშავებული“ ეკონომიკური აგენტი) და წინა წელთან შედარებით გაორმაგდა. ჯამში 2011-2015 წლებში ეკონომიკურ აგენტთა „გაშავებაზე“ მიღებული იქნა 1200 გადაწყვეტილება. გაშავებულ ეკონომიკურ აგენტთა მატება ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საშუალოდ 85 ერთეულს შეადგენს (საშუალოდ, ყველწლიურად 85 ეკონომიკური აგენტით მეტი ხვდება „შავ სიაში“).

აღსანიშნავია, რომ შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრის - შავი სიის წარმოება, როგორც არაეფექტური მექანიზმი, შეიძლება გახდეს კონკურენციის შემზღვეველი ფაქტორი. ის აფრთხობს ბიზნესს, არ არის

დახარჯული რესურსების ადეკვატური და ვერ აღწევს სრულყოფილად იმ მიზანს, რომლის გამოც მიმდინარეობს რეესტრის წარმოება (თუმცა „შვი სიის“ წარმოების მიზნის შესახებ [რა მიზნით იწარმოება იგი] კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი):

- ვფიქრობთ, რომ „შავი სიის“ წარმოება შინაარსობრივად ეწინააღმდეგება თავისთავს. კანონმდებლობის მიხედვით შავ სიაში მოხვედრილ ეკონომიკურ აგენტს არ აქვს უფლება ერთი წლის განმავლობაში მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო ტენდერებში (ელექტრონული სისტემა ბლოკავს).

ამასთან, სანამ არ არის მიღებული გაშავების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება, ეკონომიკურ აგენტს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ტენდერებში. ანუ, ეკონომიკურმა აგენტმა შეიძლება გაიმარჯვოს ტენდერში და ამის შემდგომ გაშავდეს. ეკონომიკური აგენტი აგრძელებს უკვე/გაშავებამდე დადებული ხელშეკრულების შესრულებას და ხშირია შემთხვევები, როცა იგი პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას მიუხედავად იმისა, რომ იგი შავ სიაში დარეგისტრირდა. ასევე, არის შემთხვევები როცა შავ სიაში მოხვედრილ ეკონომიკურ აგენტს, სხვა, ბაზარზე მოქმედ კომპანიებთან შედარებით უფრო იაფად შეუძლია საქონლისა თუ მომსახურების მიწოდება (იგივე ხარისხის საქონლის ან მომსახურების უფრო იაფად მიწოდება, ვიდრე ბაზარზე მოქმედ სხვა კომპანიებს).

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ „შავი სიის“ წარმოება წინააღმდეგობრივია და უფრო სადამსჯელო ფუნქციას ატარებს, ვიდრე პრობლემის მოგვარებისას.

- იქნებ, დაშვებული შეცდომის შედეგად უფრო მობილიზებული და ეფექტური ხდება კომპანია, მეორედ იგივე შეცდომა რომ არ მოუვიდეს. აღნიშნული მიდგომით კი, მას ერთმევა გაუმჯობესების/განვითარების შანსი სულ მცირე ერთი წლით.

- 5 წლის განმავლობაში 1000-1200-მდე, (ერთი წლის მანძილზე 477 [2015 წელს], ხოლო ყოველწლიურად საშუალოდ დამატებით 85) „გაშავებული“ ეკონომიკური აგენტი, ჩვენი აზრით, ძალიან დიდი რიცხვია. მითუმეტეს ქვეყნისთვის, რომელიც ეკონომიკური განვითარების ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და თითოეული, ბაზარზე შექმნილი და მოქმედი („შავი სიის“ წარმოება ხომ მოქმედ კომპანიებს ეხება, რომელიც მეტ-ნაკლებად დოვლათს ქმნის) კომპანია სასიცოცხლოდ აუცილებელია ეკონომიკისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ვსაუბრობთ

პირებზე/სექტორზე, რომელთა/რომლის გამართულ მუშაობაზე/ფუნქციონირებაზე არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება და სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირება.

• უმჯობესია, თუ შესაბამისი მარეგულირებელი ორგანო ორიენტირებული იქნება სახელმწიფო უწყებებების (შემსყიდველების) მიერ სწორად და გამჭვირვალედ ჩატარებული ტენდერების უზრუნველყოფაზე და არა კერძო სექტორის რეგულირებაზე („დასჯაზე“). მისი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლი და არა კერძო კომპანიების საქმიანობის რეგულირება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის კუთხით.

ჩვენი აზრით, აღნიშნული სულისკვეთება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდანაც იკვეთება. კერძოდ, კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, „ამ კანონის მიზანია: ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა; ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება; გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა; დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა; ე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.“

• ხაზი უნდა გაესვას ასევე იმ ფაქტსაც, რომ შესაბამისი ორგანო ეკონომიკური აგენტის „გაშვების“ შესახებ ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას (კოლეგიური ორგანოც კი არ იხილავს მას) და პასუხისმგებლობის საკითხი არასწორად მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არსად არ არის გაწერილი. ანუ, თუ კერძო კომპანია არასწორად მოიქცა, ხვდება შავ სიაში, ხოლო თუ სახელმწიფო ორგანო არასწორად იქცევა, პასუხისმგებლობის საკითხი არ დგას. მაქსიმუმ ბათილად იქნეს ცნობილი მისი გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მიდგომა მაშინ, როცა საქმე კერძო კომპანიებს და ბიზნესს ეხება, არასწორია.

• უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბის #19 ბრძანების - „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის

მიხედვით - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო უფლებამოსილია უარი თქვას ეკონომიკური აგენტის „შავ სიაში“ დარეგისტრირებაზე, თუ პრეტენდენტის „შავ სიაში“ დარეგისტრირებით მნიშვნელოვნად დაირღვევა ბაზარზე კონკურენციის დაცვისა და საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპები. თუმცა, არსად არ არის გაწერილი, თუ რომელი მეთოდოლოგიის საფუძველზე უნდა მოხდეს ამის შეფასება.

კანონმდებლობის მიხედვით, კონკურენციის სააგენტოს საწყის პერიოდში 3 თვიანი ვადა აქვს შესაბამისი ბაზრის კვლევისთვის, რომელიც შეიძლება 10 თვემდე გაიზარდოს. ასევე, მთელი დეპარტამენტი/სააგენტო მუშაობს იმის დასადგენად, ირღვევა თუ არა ამა თუ იმ ბაზარზე კონკურენციის პრინციპები. ამასთან, შემუშავებული და დამტკიცებულია მთელი რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მათ შორის, სასაქონლო ბაზრების კვლევის და კონცეტრაციის დონის დადგენის მეთოდოლოგიები.

ამდენად ცხადია, რომ შესაბამისმა ორგანომ შეუძლებელია 2 თვეში (არაუმეტეს 3 თვისა) დაადგინოს, ირღვევა თუ არა (მისი გადაწყვეტილებით დაირღვევა თუ არა) ბაზარზე კონკურენციის პრინციპები. მითუმეტეს, იმ პირობებში როდესაც ამ ორგანოს შესაბამისი ინსტიტუციური შესაძლებლობა და სათანადო კვალიფიკაცია არ გააჩნია, მისი პროფილიდან გამომდინარე.

• „გაშვებული“ კომპანიის მფლობელს შეუძლია არაუმეტეს 6 დღეში დაარეგისტრიროს ახალი კომპანია (თუ უკვე დარეგისტრირებული არ აქვს) რომელიც შეძლებს ტენდერებში მონაწილეობის მიღებას.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას შავი სიის არაეფექტურობის შესახებ. ე. ი. „შავი სიის“ წარმოება ზედმეტი, ფუჭი ფუნქციაა.

ზემოთ მოტანილი არგუმენტების საპირწონედ შეიძლება ითქვას, „შავი სიის“ არსებობა აუცილებელია იმისთვის, რომ თავი დავიცვათ არაკეთილსინდისიერი ეკონომიკური აგენტებისგან და გავუფრთხილდეთ სახელმწიფო სახსრების არაეფექტურ ხარჯვას.

• არაკეთილსინდისიერი კომპანიებისაგან თავის დაცვა უნდა ხდებოდეს პირგასამტეხლოს პრინციპით და არა პირის ჩამოშორებით სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისაგან. ანუ, ხელშეკრულებაში უნდა იყოს შესაბამისი სანქციები ჩადებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ზარალის სრულად ანაზღაურების თაობაზე.

• ის, რომ ხელშეკრულების პირობა ვერ



შევასრულე არ ნიშნავს, რომ აუცილებლად არაკეთილსინდისიერი ვარ. სახელმწიფო სახსრების არაეფექტურად ხარჯვა რომ არ მოხდეს, ზარალის ანაზღაურება უნდა დაევალოს კომპანიას. აღნიშნული გააოცმაგებს კერძო კომპანიის ყურადღებას და მინიმუმამდე შეამცირებს ხელშეკრულების არშესრულების რისკს.

• ასევე, დაგები ყოველი ხელშეკრულების დარღვევის შესახებ, უნდა წყდებოდეს ფართოდ აპრობირებული და პრაქტიკაში დამკვიდრებული პრინციპის საფუძველზე არბიტრაჟის/სასამართლოს გზით (სამართალს მიერ, განსაკუთრებულად შემუშავებული წესის მიხედვით) და არა ერთი სახელმწიფო უწყების მიერ.

მითუმეტეს, რომ პირის „გაშავება“ სახელმწიფოს ზარალს ვერ აუნაზღაურებს. თუ ხელშეკრულებით ზარალის ანაზღაურება განსაზღვრულია, მაშინ „შავი სიის“ წარმოება საერთოდ აზრს კარგავს.

• რაც შეეხება თაღლითებს, ანუ ხელშეკრულების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენას. რა გარანტიაა იმისი, რომ ერთი წლის მერე ეს კომპანიები იგივეს არ ჩაიდენენ. მათ პასუხი უნდა აგონ კანონის მთელი სიმკაცრით და არა სახელმწიფო შესყიდვების კანონით დარეგულირებული ადმინისტრაციული პროცედურებით.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ 2015 წელს ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტთა საშუალო რაოდენობა წარმოადგენს 2.02 ერთეულს (ანუ გამოცხადებულ ტენდერში საშუალოდ მხოლოდ 2.02 ეკონომიკური აგენტი იღებს მონაწილეობას) [6, გვ.22]. ჩვენი აზრით, ციფრი ძალიან მცირეა, რისი მიზეზიც სხვა ფაქტორებთან ერთად სწორედ „შავი სიის“ წარმოება შეიძლება იყოს. კომპანიები მსგავსი დამოკიდებულების გამო, „ხელი თუ წამიცდა გამაშავებენ“, თავს იკავებს ტენდერებში მონაწილეობისაგან (თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია, რომელიც საკითხთან ლოგიკური მიდგომის შედეგად ჩამოგვიყალიბდა).

ამრიგად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვფიქრობთ, რომ „შავი სიის“ წარმოება არაეფექტური მექანიზმია და იგი უფრო მეტ პრობლემას ქმნის (ბიუროკრატიული წნეხია ბიზნესზე), ვიდრე აგვარებს.

რაც შეეხება „თეთრი სიის“ წარმოებას. მისი განმარტება მოცემულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში. კანონის მე-3 მუხლის მ1) ქვეპუნქტის მიხედვით, იგი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრს. კერძოდ: „შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ

მიმწოდებელთა რეესტრი (შემდგომ – „თეთრი სია“) – „თეთრი სია“, რომელსაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ელექტრონულად აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. „თეთრი სიაში“ აისახება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე იმ კვალიფიციურ მიმწოდებელთა მონაცემები, რომლებიც აკმაყოფილებენ თეთრი სიაში რეგისტრაციისათვის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ კრიტერიუმებს. თეთრი სიაში რეგისტრირებული კვალიფიციური მიმწოდებელი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას სარგებლობს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურებით. თეთრი სიის წარმოების წესი და პირობები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“

რეესტრის წარმოების წესი და პირობები განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის #2 ბრძანებით - თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.

„თეთრი სია“ წარმოადგენს სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ ოფიციალურ რეესტრს, რომელშიც რეგისტრირებული მიმწოდებელი, რეგისტრაციიდან ერთი წლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას სარგებლობს კანონითა და ამ წესით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურებით.

სააგენტო თეთრი სიას აწარმოებს საკუთარ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის [8, მუხლი 2].

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ „თეთრი სიის“ წარმოება 2012 წლიდან დაიწყო. 2012 წელს თეთრი სიაში დარეგისტრირდა 24 ეკონომიკური აგენტი; [3, გვ.23] 2013 წელს - 36 ეკონომიკური აგენტი; [4, გვ. 31] 2014 წელს - 65 ეკონომიკური აგენტი; [5, გვ.31] 2015 წელს - 62 ეკონომიკური აგენტი. [6, გვ.40]

უნდა აღინიშნოს, რომ თეთრი სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი:

ა) თავისუფლდება საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან, იმისდა მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაცია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნას;

ბ) წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ

სახელმწიფო ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

გადასახდელი თანხის ნახევარი ოდენობის გარანტიას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

გ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს მოთხოვნილი ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ნახევარს.

2. თეთრსიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია სრულად გათავისუფლდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის ვალდებულებისაგან. (თუმცა არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ პირი შეასრულებს პირნათლად ვალდებულებებს და არ დაარღვევს კონტრაქტს)

ძირითადი სიტყვები: ტრანსნაციონალური გაერთიანებები, მრავალ ეროვნული კომპანიები, მდგრადი განვითარება, მდგრადობა, აქტიური/მოთამაშე, სიღარიბე.



რუბრიკა მიჰყავს ომარ შუღრას

საოფისე საქმისწარმოების იურიდიული ასპექტები

გლდანის პროვინიული მომზადების ცენტრი
მაია ოშიაძე
იურიტი
ელ.ფოსტა: maiaomiadze@gmail.com
ტელ: 577 41 55 91
ლეილა ბიორბობიანი
პედაგოგი
leilagiorgobiani58@gmail.com
591 28 07 78

საოფისე საქმისწარმოება ადმინისტრაციული მართვის დარგია. მისი ძირითადი ფუნქციაა მართვის დოკუმენტური უზრუნველყოფა. თუ დაწესებულებაში არაა წესრიგი, უარესდება მართვაც, მათ შორის დოკუმენტურ უზრუნველყოფასთან მიმართებაშიც. დაწესებულების მუშაობის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული დოკუმენტბრუნვის ხარისხზე, მის ინფრასტრუქტურაზე, სამუშაო ადგილის ორგანიზებაზე და სხვ.

საქმისწარმოების ძირეულ ამოცანებს წარმოადგენს დოკუმენტებზე მუშაობის ფორმირებისა და მეთოდების სრულყოფა, დადგენილი წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად. საქმისწარმოების სამსახურის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქმისწარმოების სამუშაოების ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა, კოორდინაცია, კონტროლი, რეალიზაცია და დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, მათი შედგენისა და გაფორმების ხარისხისა და მმართველობითი აპარატის მუშაობის ეფექტურობის ამაღლება.

საოფისე საქმისწარმოებისას ვხელმძღვანელობთ მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებას, გამოცემას და აღსრულებას, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტას, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადებას,

დადებას ან გაუქმებას. რაც, თავის მხრივ გულისხმობს საგანკარგულებლო დოკუმენტების წარმოებას.

საგანკარგულებლო დოკუმენტების კლასიფიკაცია გაწერილია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის 414 ბრძანებულებაში. საგანკარგულებლო დოკუმენტს მიეუკუთვნება განკარგულება, გადაწყვეტილება, დადგენილება, ბრძანება, ოქმი, ინსტრუქცია, წესდება, დებულება და სხვა. საგანკარგულებლო ეწოდება დოკუმენტებს, რომლითაც ფორმირდება ერთმმართველობისა და კოლექტიური ორგანოების განმკარგულებლო საქმიანობა. ყველაზე გავრცელებულ განმკარგულებლო დოკუმენტს წარმოადგენს ბრძანება. (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი), რომელიც არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის მნიშვნელოვანი სამართლებრივი ფორმა და ადმინისტრაციული სამართლის ცენტრალური ინსტიტუტი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიცია მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან

პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

ბრძანება არ არის ზემდგომი ორგანოს ან ხელმძღვანელ პირთა განკარგულება, რომელიც მოითხოვს გარკვეული საკითხის შესრულებას ან აკანონებს რაიმე წესებს, დაწესებულებების მუშაობის ხასიათის მიხედვით. ბრძანება ფართოდ გაგრცელებული დოკუმენტია, რომლის შედგენა აუცილებელია: დაქირავებულის სამუშაოზე მიღების, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის, გათავისუფლების, წახალისების, დაჯილდოების, ადმინისტრაციული სასჯელის დადების მიზნით ან მრავალ სხვა შემთხვევაში.

ბრძანებების პროექტებს შეიმუშავენ დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფები ხელმძღვანელობის დავალებით ან საკუთარი ინიციატივით.

შინაარსის მიხედვით ბრძანებები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ბრძანება პირადი შემადგენლობის მიმართ და ბრძანება საერთო საკითხებზე. როგორც წესი, ბრძანების ტექსტი შედგება საკონსტატაციო და განკარგულებითი ნაწილები-საგან. თუ ბრძანების გამოცემის საფუძველს წარმოადგენს საკანონმდებლო, სხვა სამართლებრივი აქტი ან ზემდგომი დაწესებულების დავალება, საკონსტატაციო ნაწილში მიეთითება მისი სახეობა, თარიღი, ნომერი, სათაური და გადმოიცემა იმ ნაწილის შინაარსი, რომელიც უშუალოდ ეხება მოცემულ დაწესებულებას. ბრძანებები ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში.

ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად საქართველოს საკანონმდებლო აქტითა და საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნორმატიული აქტების მიღების/გამოცემის უფლებამოსილების მქონე ორგანოებმა/თანამდებობის პირებმა შეიძლება მიიღონ/გამოსცენ ერთობლივი ნორმატიული აქტი. იგივე პრინციპი მოქმედებს ოქმისა და ერთობლივი ოქმის შექმნასთან დაკავშირებით.

ოქმი ეწოდება კოლექტიური ორგანოს მუშაობის, კოლექტიური ორგანოების თათბირებზე, კრებებზე, კონფერენციებზე საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების მიმდინარეობების ჩანაწერს.

დადგენილება მიეკუთვნება საგანმკარგულებლო დოკუმენტების ჯგუფს, რომელიც მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხის გადასაწყვეტად გარკვეული დონისძიებაა დასახული.

დადგენილება სამართლებრივი აქტია,

რომელიც მიღებულია კოლექტიური მმართველობის უმაღლესი და ზოგიერთი ცენტრალური ორგანოს მიერ მათ წინაშე დასახული ყველაზე მნიშვნელოვანი და პრინციპული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით.

გადაწყვეტილება ეწოდება აგრეთვე ერთობლივ აქტებს, რომლებიც გამოცემულია რამდენიმე არაერთგვაროვანი ორგანოს მიერ (კოლექტიური ალურობისა და ერთმმართველობის საფუძველზე მოქმედი ორგანოს მიერ, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ და ა.შ.).

გადაწყვეტილება ერთობლივი აქტია, რომლებიც გამოცემულია რამდენიმე არაერთგვაროვანი ორგანოს მიერ. მას შესაძლებელია ხელს აწერდეს რამდენიმე პირი.

დადგენილება საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებაა (გარდა განაჩენისა) ნებისმიერ საკითხზე. აგრეთვე პროკურორის და გამოძიებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც წარმოიშობა საქმის წინასწარი გამოძიებისას.

განკარგულებითი დოკუმენტების ტექსტების ანალოგიურად წერილების ტექსტებიც, როგორც წესი, შედგება ორი ნაწილისაგან: პირველ ნაწილში მიეთითება წერილის შედგენის საფუძველი ან მიზეზი, მეორეში გადმოიცემა წინადადებები, მოსაზრებები, დასკვნები, თხოვნა.

ზემდგომ, დაქვემდებარებულ და სხვა დაწესებულებებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან ოპერატიული კავშირის განხორციელებისას მმართველობის ყველა დონის დაწესებულებას

თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია დაგზავნოს წერილები. როგორც წესი, წერილები დგება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ან გაძნელებულია ინფორმაციის გაცვლის უდოკუმენტო საშუალება: ზეპირი განმარტებები, მითითებები (პირადი ან ტელეფონით). ინფორმაციის სასწრაფოდ გადაცემის აუცილებლობის შემთხვევაში დგება ტელეგრაფები და ტელეფონოგრაფები.

დაწესებულებებში პირადი შემადგენლობის (საკადრო) ბრძანებები საქმისწარმოების ერთიანი წესების თანახმად იწარმოება ცალკე საქმედ და აღირიცხება დაწესებულების სხვა დანარჩენი ბრძანებებისგან დამოუკიდებლად. საკადრო ბრძანებების ასლი ან ამონაწერი ბრძანებებიდან ინახება პერსონალის პირად საქმეში და უნდა ფიქსირდებოდეს პერსონალის დოკუმენტის გაცნობის დამადასტურებელი ხელმოწერა.

საკადრო დოკუმენტების მნიშვნელობა და აუცილებლობა განპირობებულია პირველ რიგში იმით, რომ ნებისმიერი საკადრო დოკუმენტი ფიქსირებული იურიდიული ფაქტია, რომელიც წარმოადგენს დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობების საფუძველს. როგორც წესი, პერსონალის სამსახურში მიღებისას ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, საქართველოს ორგანული კანონის (შრომის კოდექსის), დაწესებულების წესდების, შინაგანაწესის, თანამდებობის სამუშაოს აღწერილობის, დადგენილი საშტატო განაკვეთის და შესასრულებელი სამუშაოს ხასიათის შესაბამისად.

ოფისის მენეჯმენტში წარმატებული მართვისა და საქმიანობისათვის, ერთ-ერთი უმთავრესი თვისებათაგანი არის საკუთარი და სხვისი დროის რაციონალური დაგეგმვა-გამოყენება. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ტექნოლოგიებმა განაპირობა ვაკონტროლოთ და დაეზოგოთ დრო მაქსიმალურად. ხელმძღვანელი პირის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის ან ხელმოსაწერ დოკუმენტთა სიმრავლის შემთხვევაში მისი ნების გამოვლენის დადასტურების შესაძლებლობა განაპირობა ფაქსიმილეს გამოჩენამ საოფისე საქმისწარმოებაში.

ფაქსიმილეს გამოყენების უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ბრძანებით განისაზღვრება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. უფლებამოსილი პირი ფაქსიმილეს იყენებს დირექტორის ზეპირი თანხმობის შემთხვევაში. ფაქსიმილეს გამოყენების მიზანია ისეთი დოკუმენტის ხელმოწერის შეუძლებლობა, რომლის გამოუცემლობამ შეიძლება გამოიწვიოს დაწესებულებისათვის, სხვა პირისათვის ზიანის მიყენება ან/და კანონიერი ინტერესების სხვაგვარი შეზღუდვა. დაუშვებელია, მხოლოდ ხელმოსაწერ დოკუმენტთა სიმრავლიდან გამომდინარე, ფაქსიმილეს გამოყენება ფინანსურ დოკუმენტაციაზე.

ელექტრონული ხელმოწერა ხელმოწერის სპეციფიკური ტიპია. განსხვავებით ჩვეულებრივი ხელნაწერით შესრულებული ხელმოწერისაგან, მისი შექმნა მთლიანად ტექნიკური (ელექტრონული) საშუალებებით ხდება. „ელექტრონული ხელმოწერა წარმოადგენს ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილ მონაცემთა ერთობლიობას, რომელსაც ხელმომწერი იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის აღსანიშნავად“. კერძოდ, მოცემული დეფინიცია აწესებს სამართლებრივ და არა ტექნიკურ კონცეფციას, რომლის მიხედვით ე-ხელმოწერისათვის

მთავარია არა გამოყენებული ტექნოლოგიის სახეობა, არამედ წმინდა სამართლებრივი ხასიათის მოთხოვნა, რომ ელექტრონული საშუალებით შექმნილ ხელმოწერას შეეძლოს ნების გამოვლენის იდენტიფიკაცია ან/და აუთენტიკაცია. შესაბამისად, აქცენტი ხორციელდება სამართლებრივ და არა ტექნიკურ კონცეფციაზე.

ელექტრონული ხელმოწერების იურიდიული თვალსაზრისით კლასიფიკაცია ტექნიკური გამართულობისა და უსაფრთხოების ხარისხის კრიტერიუმებს ემყარება. კანონი ელექტრონული ხელმოწერების შემდგენიარ სამართლებრივ კლასიფიკაციას გვთავაზობს: ა) ჩვეულებრივი ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც შექმნილია ძირითადად ჩვეულებრივი და პრიმიტიული ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ბ) მოწმობის საფუძველზე შექმნილი ციფრული ხელმოწერა.

როგორც ვიცით, დაწესებულებაში შემოსული დოკუმენტები გადაიან პირველად დამუშავებას, შემოსული კორესპონდენციის პირველ გვერდზე მარჯვენა ქვედა კუთხეში დაესმება შტამპი სარეგისტრაციო ნომრითა და შემოსვლის თარიღით, ფურცლების რაოდენობის მითითებით.

შტამპი შესაძლოა მოიცავდეს აღნიშვნას კონფიდენციალობის შესახებ ან კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მითითებას.

ბეჭედი ისმება დოკუმენტის გარკვეულ ადგილზე, სადაც ის უნდა შეეხოს თანამდებობის პირის, კონკრეტულ შემთხვევაში - ხელმოწერის თანამდებობის დასახელების ნაწილს.

ბეჭდებისა და შტამპების შენახვისა და სწორი გამოყენების მიზნით, დაწესებულებაში გამოიყოფა პასუხისმგებელი პირები. პასუხისმგებელი პირის არყოფნის შემთხვევაში, ბეჭდები და შტამპები ხელწერილით ან გადაბარების აქტით გადაეცემა მისი მოვალეობის დროებით შემსრულებელ პირს. ბეჭდები და შტამპები უქმდება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

საოფისე საქმისწარმოებაში აქტუალურად გამოიყენება ფაქსი. იგი, კავშირგაბმულობის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ტექსტებსა და გამოსახულებას გადასცემს სატელეფონო ქსელით.

თანამედროვე ფაქსის აპარატები არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქსიმილური შეტყობინების კოპირებითა და გადაცემით, არამედ აღჭურვილია მრავალი ფუნქციით, რომლებიც საჭიროა საოფისე მომსახურებისათვის. სწორედ ამიტომ, ფაქსი იყოფა მონოფუნქციურ და მრავალფუნქციურ აპარატებად. მრავალფუნქციური აპარატები

ასრულებენ პრინციპის, ასლგადამდები, სკანერის, ფაქსის, ტელეფონისა და მოდემის ფუნქციასაც კი. ფაქსის აპარატები არსებობს ასევე მონოქრომული და ფერადი. ჭავჭავი, ლაზერული, თერმული ქაღალდით. ფაქსით ინფორმაციის გადაცემისას მიღებულია კორექსიონდენციის პირველი გვერდის სტანდარტული გაფორმება. გადასაცემი ინფორმაცია, როგორც წესი დაწესებულების ბლანკზე ფორმდება. ტექსტი იბეჭდება და კეთდება ხელმოწერა. ყველა გვერდი, გარდა პირველისა, ინომრება. თუ გასაგზავნი ინფორმაცია დოკუმენტს არ წარმოადგენს ბეჭდის დასმა საჭირო არ არის. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ფაქსი ინფორმაციის კონფიდენციალობას ვერ უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, თუ კონფიდენციალურ ინფორმაციას აგზავნით, წინასწარ შეატყობინეთ მის მიმღებს, რათა საჭირო დროს ადგილზე იმყოფებოდეს. შეტყობინება შეასრულეთ საქმიან სტილში და ყველა ეტიკეტის დაცვით, გაითვალისწინეთ, რომ ის ადრესატის გარდა შესაძლოა სხვამაც წაიკითხოს. თუ სხვა პირისთვის გამოგზავნილი ფაქსი თქვენ მიიღეთ, ნუ დაივიწყებთ ეტიკეტს.

ოფისის მენეჯმენტში დიდი დრო და ყურადღება ეთმობა აგრეთვე შეხვედრების ორგანიზებას. ღონისძიების ორგანიზების დროს შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს

პროფესიონალის დახმარება, მათ შორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტის, კრეატიული დირექტორის და პროდიუსერის.

PR, ანუ საზოგადოებასთან ურთიერთობა (Public Relations) ნიშნავს გაგებისა და კეთილგანწყობის დამკვიდრებას ორგანიზაციაში, ხალხის ჯგუფებსა და საზოგადოებას შორის, საინფორმაციო მასალების გავრცელების, ორმხრივი ურთიერთობების დამყარებისა და საზოგადოების რეაქციის შესწავლის გზით. საზოგადოებასთან ურთიერთობის (პიარის (PR)) მიმართულებით სამ-

სახურის ფუნქციებია: საზოგადოებრივი ურთიერთობების კოორდინაცია, ორგანიზაციის იმიჯის წარმოჩენა და გაძლიერება, როგორც გარე, ასევე შიდა აუდიტორიის წინაშე, პიარ-კამპანიების დაგეგმვა, ორგანიზება და მონიტორინგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, არასამთავრობო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა, პრეს-რელიზების, საინფორმაციო წერილების, პიარ-ლიტერატურის შექმნა; პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების მოწყობა; პიარ-ფაილებისა და დოკუმენტების შენახვა ტელე, ბეჭდვითი და ელექტრონული საინფორმაციო საშუალებების მიმოსილვა.

როგორც, სტატიიდან ირკვევა ოფისის მენეჯერი კოორდინატორული ცენტრია დაწესებულებისა, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების მართებულ გაფორმებას, მოლაპარაკებათა ორგანიზებას, უშუალოდ მონაწილეობს და ხელმძღვანელობს გადაწყვეტილების შესრულებას და ფლობს დაწესებულების საქმიანობის სხვა მრავალ წერილმან დეტალსა თუ მნიშვნელოვან საკითხს.

ზემოთ ჩამოთვლილი იურიდიული ასპექტები სავალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა, საქმისწარმოების ერთიანი წესების თანახმად. აღნიშნული წესების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს, ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად), რეპუტაციის შელახვა ან ორგანიზაციის/დასაქმებული პერსონალის მიმართ უნდობლობა.

რუბრიკა მიჰყავს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა
დოქტორს, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის
ნამდვილ წევრს, ომარ შუღრას



ევგენი მიქელაძე

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

როზა კაზარიანი
მრავალპროფილიანი საერო სკოლის „დეას“ პედაგოგი
E-mail: rozakazariani@mail.ru

ჭაღები ჩაქრა და მოსკოვის დიდი თეატრის დარბაზი სიბნელეში ჩაიძირა. ორკესტრში დირიჟორის ფიგურა წამოიშრია. წაბლისფერი თმა უკან გადაეყარა, ენერგიული, ალალი სახე ჰქონდა. მან ერთბაშად მიიპყრო ხალხით გადაჭედილი დარბაზის ყურადღება. სიბნელე ჰობოის რბილმა ჟღერამ გაჰკვეთა. თეატრში წარმტაცი, შთამაგონებელი ხმები დაიღვარა, თანდათან მომძლავრდა და მქუხარე მელოდია მთელ დარბაზს დაეუფლა. მერე ნელ-ნელა მიწყნარდა. ჩუმად გაიხშიანა ჰობოიმ და კვლავ დადუმდა ყველაფერი. დირიჟორმა ჯოხი დაუშვა, ხალხი ერთბაშად წამოდგა და გაისმა მქუხარე ტაში.

ეს იყო ქართული ხელოვნების პიველი დეკადის პირველი დღე მოსკოვში. გადიოდა ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“. დირიჟორის პულტთან იდგა ევგენი მიქელაძე.

ცამეტი წლის წინათ მან პირველად მოისმინა ეს ოპერა თბილისის საოპერო თეატრში, მაშინ ხარბად ეწაფებოდა ყოველ ნოტს და ოპერით შთაგონებულმა, დირიჟორობა გადაწყვიტა.

გარდა შინაგანი მოწოდებისა, მწელი იქნება დავასახელოთ სხვა რამ მიზეზი, თუ რატომ მიუწევდა ევგენის გული დირიჟორებისკენ. ოჯახში იშვიათად ესმოდა მუსიკა და ახლობელთაგან არც არავის შთაუწერგავს მისთვის მუსიკის სიყვარული, ინსტრუმენტიც კი არა ჰქონდათ სახლში.

ევგენი მიქელაძე დაიბადა 1903 წლის 27 ივნისს, ბაქოში. 1910 წელს მიქელაძეების ოჯახი თბილისში

გადმოსახლდა. 1913 წელს, 10 წლის ბიჭი კადეტთა კორპუსში შეიყვანეს. სასწავლებელში ჟენია ორი რამით გამოირჩეოდა - მუსიკალობითა და ყოყლოჩინობით. დაუდგრომელი ხასიათის იყო, ამიტომაც მოხდენილად შეარქვეს „ყვინჩილა“. კადეტთა კორპუსში ადამიანურ ღირსებას ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს. ევგენი კი თავმოყვარე იყო, შეურაცხყოფას აგრერიგად ვერ აიტანდა. ერთ-ერთ დღესასწაულზე მას უფლება მისცეს საზეიმო სუფრას დასწვოდეს. შემთხვევით ჭიქას ხელი გაჰკვრა და სუფრაზე ღვინო დაიღვარა.

- სადა ხართ გაზრდილი?! - შეჰყვირა ოფიცერმა. ჟენია წესისამებრ გამოეჭიმა ოფიცერს და მიახალა: „იქ, სადაც სამჯერ ცვლიან ხოლმე სუფრას ყოველდღიურად“.

ამ შემთხვევის გამო მას ქალაქში გასვლა აუკრძალეს. ყოყლოჩინობის გამო ხშირად იჯდა ხოლმე კორპუსში გამოკეტილი, შინ წასვლის უფლებაწართმეული. არადა, სულმოუთქმელად ელოდებოდა ხოლმე იმ დღეს, როცა ყაზარმის სულისშემხუთველ გარემოს თავს დაადწევდა და თუნდაც მცირე ხნით, მყუდრო ჭერს შეაფარებდა თავს. კადეტთა კორპუსში შეისწავლა ევგენიმ საყვირზე დაკვრა და მალე სასულე ორკესტრშიც უკრავდა. ასევე, სიამოვნებით ესწრებოდა ტანვარჯიშის გაკვეთილებს. სპორტსმენები ალერსით „ტრუბაჩს“ ემახდნენ. საყვირზე კი დამდამობით მეცადინეობდა და შინაურები რომ არ შეეწუხებინა, ინსტრუმენტს ჩვრებით ახშობდა

ხოლმე. „მიკვირს, როგორ არ გადმოაყოლა ფილტვები ამ საყვირს“, იგონებდა ჟენიას და.

მიქელამის მუსიკალურობამ და შრომისმოყვარეობამ მაშინდელი კაპელმეისტერის, ვალერიან მიზანდარის ყურადღება მიიქცია. მალე ევგენი უფროს მუსიკოსად დააწინაურეს. 17-18 წლის ყმაწვილი ორკესტრის რეპეტიციებს ხელმძღვანელობდა, ნაკლებად მნიშვნელოვან კონცერტებზე დირიჟორობდა კიდეც.

ვინაიდან თბილისის კონსერვატორიაში სადირიჟორო სპეციალობა არ იყო, მიქელამე საკომპოზიციო-თეორიულ განყოფილებაზე ჩაირიცხა. თუმცა საკუთარი თავი ვერც თეორეტიკოსად წარმოედგინა და ვერც კომპოზიტორად. დირიჟორობის შესწავლის უდიდესმა სურვილმა განაპირობა, რომ ევგენი სწავლის გასაგრძელებლად ლენინგრადში გაემგზავრა. წასვლის წინ, ის სიყვარულში გამოუტყდა ალპინისტ გოგონას, რომელთანაც დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა. ქალიშვილმა მისი გრძნობები არ გაიზიარა და სამუდამო მეგობრობა შესთავაზა. ასეც მოხდა - ისინი სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდნენ.

მიქელამის ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო. მან ჩააბარა ლენინგრადის კონსერვატორიასთან არსებულ მუსიკალურ ტექნიკუმში, 1927 წელს კი- კონსერვატორიაში, ვალტორნაზე, თუმცა კვლავ დირიჟორობაზე ოცნებობდა. წადილის ასრულებაში მას გამოჩენილი რუსი დირიჟორი ნიკოლაი მალკო დაეხმარა. ერთ-ერთი გამოკითხვის დროს მალკომ მოულოდნელად ჩოგბურთის ჩოგანი მაგიდის კიდეც ჩამოჰკრა და სტუდენტებს შესთავაზა გამოეცნოთ თუ რა ნოტი იყო. ევგენიმ იგივე ბგერა მორიდებულად გაიმეორა როიალზე, რითაც დირიჟორი განაცვიფრა. მალკომ ჟენიას ნება მისცა სადირიჟორო სპეციალობაზე მის ლექციებს დასწრებოდა. ასევე ბარათიც გადასცა, რითაც ხელმოკლე სტუდენტს შეეძლო საოპერო თეატრის წარმოდგენებს უფასოდ დასწრებოდა.

წელიწადზე მეტხანს დაჰყო მიქელამემ მალკოსთან, სანამ ეს უკანასკნელი საზღვარგარეთ გაემგზავრებოდა. შემდეგ კი მიქელამე სწავლობდა შესანიშნავ პედაგოგთან, ალექსანდრე გაუკთან. დირიჟორი დიდად აფასებდა სტუდენტის ნიჭსა და შრომისმოყვარეობას. მოგვიანებით იგი ამბობდა: „ჩემს კლასში მთელი მისი მუშაობა დამყარებული იყო საოცარ ნებისყოფაზე“. ჟენია მართლაც თავდაუზოგავად შრომობდა. არ არსებობდა მისთვის არავითარი გადახვევა, არავითარი კომპრომისი. ზოგჯერ დღეში ოც საათს მუშაობდა, ავადმყოფობასაც არ ეპუებოდა. მას ხელების

პროფესიული დაავადება აწუხებდა. (როიალზე დაკვრა გვიან დაიწყო და ზედმეტი დატვირთვის გამო ხელები სტკიოდა). თავად წერდა: „როგორც კი ტკივილი მიუჭდება, მაშინვე როიალს მივვარდები, რომ მოვასწრო და სამიოდე საათს მაინც დავუკრა“. იგი დიდ დროს უთმობდა პარტიტურის შესწავლასაც. შინაგანი სმენით პარტიტურის აღქმაში ძალიან გაიწაფა, შეეძლო ზედმიწევნითი სიზუსტით შეეგრძნო და შეეთვისებინა იგი ისე, რომ როიალს არც კი მიჰკარებოდა. ერთხელ, რაღაც მნიშვნელოვანი გარემოებების გამო, კონცერტის წინ გამგზავრება მოუხდა და მატარებლის ვაგონში ზეპირად შეისწავლა პარტიტურა (ბეთჰოვენის საფორტეპიანო კონცერტი).

სადირიჟორო პულტთან გამოჩენის პირველივე საათებში გამოავლინა ევგენიმ თავისი შეუვალი ხასიათი. რიმსკი-კორსაკოვის ოპერის „მეფის საცოლის“ პირველ რეპეტიციაზე ი.ვ.ერშოვმა, სახელგანთქმულმა რუსმა მომღერალმა, რომლის სიტყვაც კანონს წარმოადგენდა საოპერო სტუდიაში, სცადა რეპეტიცია შეეჩერებინა და ახალგაზრდა დირიჟორისთვის შენიშვნები მიეცა, მიქელამემ კი უცერემონიოდ უთხრა: „აქ უფროსი მე გახლავართ.“ მსგავსი შემთხვევები ბევრი იყო მიქელამის შემოქმედებით ცხოვრებაში. მაგალითად, 1930 წელს, თბილისის საოპერო თეატრში, „კარმენის“ რეპეტიციის დროს, მთავარი დირიჟორი ივანე ფალიაშვილი მიუახლოვდა, მისთვის ყურში რაღაცის თქმა უნდოდა. მიქელამეს ეს არ ესიამოვნა, გაბრაზებულმა დახურა კლავირი და ზეპირად განაგრძო რეპეტიცია. მოსკოვში, რადიო-სტუდიაში რეპეტიციის დროს, იგი კვლავაც პარტიტურის გარეშე დირიჟორობდა. მოულოდნელად ორკესტრი შეაჩერა და ერთ-ერთ მუსიკოსს არასწორი ნოტის გამო შენიშვნა მისცა. მან კი იუკადრისა - სჯობდა მაესტროს კლავირით ეხელმძღვანელა. პარტიტურა გადაამოწმეს და მიქელამე მართალი აღმოჩნდა. ერთ-ერთი სპექტაკლის წინ კი მუსიკოსებმა სანამდღეო დადეს, მიხვდებოდა თუ არა მაესტრო, ოპერის გუნდის რამდენიმე წევრის სიმღერის ნაცვლად, უბრალოდ პირის მოძრაობას. ორკესტრის, სოლისტების, გუნდის მქუხარე მელოდიის მიუხედავად, ევგენის ეს ნიუანსი არ გამოჰკარვია და წარმოდგენის შემდეგ თითოეულ მათგანს უსაყვედურა.

1931 წლის გაზაფხულზე ევგენიმ წარმატებით დაასრულა ლენინგრადის კონსერვატორია, იმავე წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის დირიჟორად დაინიშნა. ივანე ფალიაშვილის გარდაცვალების შემდეგ (1934 წ.) კი - თეატრის მთავარ დირიჟორად. შვიდწლიანი სადირიჟორო მოღვაწეობის

განმავლობაში მიქელამემ ბევრ კარგ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი. ადადგინა ოპერა „ოტელო“, დირიჟორობდა ოცზე მეტ სპექტაკლს: „ფაუსტი“, „ტოსკა“, „ევგენი ონეგინი“, „ბორის გოდუნოვი“, „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“ ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად დადგა ბალეტი „მზეჭაბუკი“.

1932 წელს ევგენიმ მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში და სათავეში ჩაუდგა სტუდენტთა სიმფონიურ ორკესტრს. ახალგაზრდების აღზრდის საქმეში მიქელამე, ეს ბუნებით ფიცხი კაცი, საოცარ მოთმინებასა და თავმჯდომეობას იჩენდა. დაუღალავი შრომისა და დისციპლინის წყალობით, სიმფონიური ორკესტრი მრავალფეროვანი რეპერტუარით წარსდგა ფართო აუდიტორიის წინაშე და ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელს კავშირში, მალე ევროპაშიც გაითქვა სახელი. მიქელამე ორკესტრის თითოეულ წევრზე ზრუნავდა, მუდმივად ცდილობდა მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მათ ჭირსა და ლხინს იზიარებდა. ამბობენ, რომ ევგენი განსაკუთრებით თბილ დამოკიდებულებას იჩენდა თეატრის ტექ.პერსონალის მიმართ. მას ძალიან უყვარდა უბრალო ხალხთან ურთიერთობა.

ორკესტრის ჩამოყალიბებას დაემთხვა მნიშვნელოვანი მოვლენა მის პირად ცხოვრებაში: მიქელამემ ქეთევან მამიას ასულ ორახელაშვილზე იქორწინა. მალე ქალ-ვაჟი შეეძინათ. დიდებული მანქანა ყურადღებანი მამა და მეუღლე გამოდგა. ახალგაზრდა წყვილი შეხმატკბილებულად ცხოვრობდა. ქეთო მრავალმხრივ განვითარებული, უღამაზესი ქალი იყო. იგი 19 წლის გახლდათ, ჟენია - ოცდაათის. ქეთევანის მშობლები პირველი თაობის ბოლშევიკები, სოციალ-დემოკრატები იყვნენ. მამია ორახელაშვილი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახლდათ, მისი მეუღლე მარიამი კი - განათლების კომისარი. მათ ხუთოთახიანი ბინა ჰქონდათ, სწორედ ამ სახლში დაბინავდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. მათ მოპირდაპირე სახლში ლავრენტი ბერია ცხოვრობდა. მას ძალიან უყვარდა ოპერა და მიქელამის შემოქმედებასაც დიდად აფასებდა, მაგრამ რაც ევგენი ქეთუსიაზე დაქორწინდა, მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა. ამბობენ, რომ ბერიას პირადი წყენა ჰქონდა, რაც

დაკავშირებული იყო ევგენის მეუღლესთან, რომელმაც გაუბედა და უარი უთხრა პირველ ჩეკისტს...

დამაბულობა პიკს აღწევდა, ამას მიქელამის შეუვალი ხასიათიც უწყობდა ხელს. ერთ-ერთ რეპეტიციაზე ბერიას დარბაზის დატოვება მოსთხოვა, „დაისის“ რეპეტიციის დროს კი, როცა ლავრენტიმ მუსიკალური ნომრის განმეორება მოითხოვა, მანქანა დაუდევრად აუქნია ხელი და ბერია გაბრაზებული გავიდა თეატრიდან. 1937 წლის იანვარში, მოსკოვში, ქართული დეკადის დღეებში, სამთავრობო ვახშამზე ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ლავრენტის ევგენისკენ არც კი გაუხედავს. მიქელამის ბედი გადაწყვეტილი იყო...

1937 წლის 4 ნოემბერს, „ლატავრას“ გენერალური რეპეტიციის შემდეგ, ევგენი ოპერის ავ-კარგანობაზე თათბირობდა კოლეგებთან. კარი გაიღო და ჩეკისტებმა იგი დააკავეს. ერთმა მათგანმა მას შრომის წითელი დროშის ორდენი ჩამოგლიჯა. ჟენია წაიყვანეს... 13 დეკემბერს მას დახვრეტა მიუსაჯეს. მალე ხმა გამოვიდა, რომ ნაცემი, თვალმდათხრილი მიქელამე იატაკზე იწვა, მასთან ბერია შევიდა, მანქანა იგი ხმაზე იცნო. მეორე დღესვე ევგენის ყურებში შანთი გაუყარეს... არავინ იცის რა არის ტყუილი, რა მართალი, ფაქტი ისაა, რომ ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, ნიჭიერი დირიჟორი სისტემის მსხვერპლი გახდა.

მალე ქეთევანიც დააპატიმრეს და ყაზახეთში გადაასახლეს. მათ სახლში ოპერის მომღერალი ეკატერინე სოხაძე შეასახლეს. პატარა თინათინი და ვახტანგი ძიძასთან ერთად საკუჭნაოში გამოკეტეს. მოგვიანებით ბავშვებიც ყარაგანდაში გადაასახლეს.

ევგენი მიქელამის გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეული წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მრავალჯერ გაიჟღერა ჰობოიმ და გაჰყვითა დარბაზის სიჩუმე, მრავალჯერ აღაფრთოვანა „დაისის“ ღვთაებრივმა მელოდიამ მსმენელი, სადირიჟორო პულტთან შეიცვალნენ დირიჟორები - ზოგი მეტად კაშკაშა, ზოგიც ნაკლებად, ქართული საოპერო ხელოვნება დღესაც ვითარდება, მაგრამ მიქელამის დირიჟორობის შვიდმა წელმა წარუშლელი კვალი გაავლო ეროვნულ მუსიკალურ კულტურაში.



აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე

1969 წელი. ყველაზე წარმატებული, ე.წ. „კოსიგინის ხუთწლედით“. მოსკოვის ოლქში, ფიზიკოსთა ქალაქის, დუბნის ლამპიონების შუქზე თოვლით გადაპენტილი ქუჩები. მეცნიერთა კლუბის კაფესთან, იქვე მყუდრო, თბილი სამკითხველო დარბაზია, სადაც შეიძლება მთელი მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთების დათვალიერება (ყოველგვარი ბიბლიოთეკარის გარეშე).

ხელში გაზეთით დავინახე ა. თავხელიძე, სახეზე წითელი ლაქებით, ალბათ დაძაბული სამუშაო დღის გამო. მე, 1966 წლიდან საერთაშორისო ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორიის ასპირანტი-ექსპერიმენტატორი, ახალგაზრდული ფამილარობით მასთან პირველად მივედი დავთხოვე, რომ დირექციის დახმარებით ეშოვნა ოპტიკური აპარატურის თბილისის უნივერსიტეტში გასაგზავნად... საბარგო მანქანა.

ბუნებრივია, მან უხეშად მიპასუხა. ცნობილია, რომ პირველ შთაბეჭდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს... მას შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მე გაეხდი მის მიერვე თბილისში შექმნილი ინსტიტუტის დირექციის წევრი, თავხელიძე ყოველთვის აღმაცერად, ეჭვის თვალთ მიცქეროდა (აპარატურა კი მე მატარებლით მაინც გაავაზავნე).

ალბერტ ნიკიფორეს-ძე (ალეკო) მრავალი სამეცნიერო მიმართულების ფუძემდებელია თეორიულ ფიზიკაში. მის სახელს ატარებს მრავალი ფორმულა და განტოლება. ის საინტერესო აღმოჩენის თანააგებია, რამდენიმეჯერ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე, იყო რუსეთის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, საზღვარგარეთის რამდენიმე მეცნიერების აკადემიების წევრი, ლენინური და სსრკ სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, რუსეთის და

უცხოეთის რამდენიმე ინსტიტუტის საპატიო დოქტორი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

ა. თავხელიძემ, როგორც მეცნიერების ორგანიზატორმა, აღზარდა ფიზიკოს-თეორეტიკოსთა მსოფლიოში ცნობილი სკოლა. ის ხელს უწყობდა სამეცნიერო კადრების აღზრდას რუსეთის, საქართველოს, უკრაინის, ბულგარეთის და სხვა წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. იშვიათი შრომისმოყვარე, ენერგიული და ქარიზმატული, ის ნიჭიერი ახალგაზრდობის მფარველი ანგელოზი იყო.

ა. თავხელიძე დაიბადა 1930 წელს თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 33 წლის ასაკში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა მოსკოვში. იმ დროს ეს იყო იშვიათი მოვლენა. 1956 წელს ბირთვულ გამოკვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტში (ქ. დუბნა) ის ლაბორატორიის (შემდგომ ინსტიტუტის) დირექტორმა, აკადემიკოსმა ნ.ნ. ბოგოლიუბოვმა მიიწვია.

ალეკო აღმერთებდა თავის ხელმძღვანელს, ნ.ნ. ბოგოლიუბოვს, რომელსაც ყველა გენიოსად, მასწავლებლად, კლასიკოსად თვლიდა: ის 21 წლის ასაკში გახდა მეცნიერებათა დოქტორი, 27 წლისა – კიევის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის გამგე, 1950-53 წლებში კი ა. სახაროვთან ერთად წყალბადის ბომბის გათვლებს აწარმოებდა ზესაიდუმლო არზამას-16-ში (ამჟამად ქ. საროვი), თუმცა, როგორც მორწმუნე, არ იყო სკკპ წევრი....

ნ. ბოგოლიუბოვი მრავალი სამეცნიერო მიმართულების ფუძემდებელია თეორიულ ფიზიკაში, იცოდა ათამდე უცხო ენა, იღებდა ყველაზე მაღალ ხელფასს ქვეყანაში.

დუბნა იმ წლებში ოაზისი იყო მთელს საბჭოთა კავშირში, სადაც განსაკუთრებული მომარაგება, კეთილგანწყობის, დემოკრატიულობის და მაღალი

ახალი ეპოქისთვის THE NEW ECONOMIST

დონის სამეცნიერო ატმოსფერო თანამშრომელთა შემოქმედებით ზრდას ხელს უწყობდა. მაგალითად, ა. თავხელიძეს (თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილეს), ჰყავდა მდივანი – ნ. ისაევა, ძალიან გამოცდილი, რომელსაც ყველაფერი ზეპირად ახსოვდა და ამიტომ, მუშაობდა ტრადიციული ქაღალდების გარეშე. თეორეტიკოსების უდიდესი გონებრივი დატვირთვის გამო კი, ლაბორატორიის მესამე სართულზე იყო კომფორტული (მომსახურე პერსონალის გარეშე) „ყავის ოთახი“ დაფით და ცარციით (დისკუსიებისათვის). იქვე იყო სპეციალური კაფე შოკოლადების და ტკბილეულის დიდი არჩევანით.

1970 წელს ა. თავხელიძე გახდა მეცნიერებათა აკადემიის ბირთვულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი (ქ. მოსკოვი), სადაც შემოიკრიბა რამდენიმე აკადემიკოსი. როგორც მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, მან შეარჩია ახალგაზრდა კადრები და შექმნა მსოფლიოში ცნობილი თეორიული ფიზიკის სკოლა. ინსტიტუტმა გააერთიანა კვლევები ასტრონომიის, ასტროფიზიკის, კოსმოლოგიის დარგში. აქ დაიბადა ბუნების შესწავლის ახალი მეთოდი – ნეიტრინული ფიზიკა.

ალეკო დიდი პატრიოტი იყო და გულწრფელად უყვარდა საქართველო. ამიტომ, ერთდროულად მუშაობდა თბილისისთვის კადრების აღზრდაზე, რაც დაგვირგვინდა თსუ მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის (1980 წ.) და ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში თეორიული განყოფილების შექმნით.

თსუ მაღალი ენერჯიების ინსტიტუტი (დირექტორი – აკადემიკოსი ნ. ამაღლობელი, 2004 წლიდან – პროფესორი მ. ნიორაძე) ერთ-ერთი საუკეთესო იყო მსოფლიოში. მის სკოლას მაღლა აყენებდნენ (დააყენებენ) მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში.

„უბრალოდ, ალეკო დამიძახეთ“ – გაგვაფრთხილა ა. თავხელიძემ დუბნის ქართველთა სათვისტომოში ჯერ კიდევ 60-იან წლებში.

დაქორწინდა გვიან, 37 წლის ასაკში (მეუღლე – მაია მეუნარგია). ცხოვრობდა დუბნაში, ატომური უწყების ორსართულიან სტანდარტულ კოტეჯში, ხოლო მოსკოვში – ლენინის პროსპექტზე.

უნვეულოდ ენერჯიულს და მიზანდასახულს, უკვირდა, როცა მისი კოლეგები შვებულებაში გადიოდნენ, „კარგავდნენ დროს“ ალპინიზმზე, სამთო თხილამურებზე, ლაშქრობებში...

როგორც კულტურული ადამიანი, არასდროს საუბრობდა ქართულად, თუ ერთ დამსწრეს მაინც არ ესმოდა ენა და ქართველთა გარემოცვაშიც კი ხშირად რუსულად საუბრობდა. „ან მეცნიერება, ან გოგონები, ერთდროულად შეუძლებელია“ – აფრთხილებდა ის მოსკოვში ჩასულ ქართველ ასპირანტებს და ძალიან მკაცრი იყო მათ მიმართ.

ალეკოს არ უყვარდა სუსტი, ხათრიანი ხელქვეითები. მას ასევე არ უყვარდა თავისი დაბადების დღეების აღნიშვნა და ყოველთვის საზღვარგარეთ „ემალეობდა“ მლიქვნელებს.

ალეკოს დახასიათებისას, ადვილია ჩავარდეთ იდეალიზმში, რაც ხშირად ხდება გამოჩენილ ადამიანთა მოგონებებში. მაგრამ, იდეალური ადამიანები არ არსებობენ და ეს უცხოა თვით ალეკოს სახისთვის, თავისი ადამიანური სისუსტეებით.

ვაუკაცურ, ლამაზ, ხმაურიან, იუმორით სავსე, ყველაფერში წარმატებულ ალეკოს, ბუნებრივია, გამოუჩნდნენ მოშურნეები. ნაკლებად ნიჭიერი და ნაკლებად შრომისმოყვარე კოლეგები და ყველა ჯურის ჩინოვნიკები ყოველმხრივ აზვიადებდნენ მის ადამიანურ სისუსტეებს და ბრალს სდებდნენ – ხან „აკადემიური მეურნეობის განიაგებაში“, ხან – „სამეცნიერო მაფიის შექმნაში“ და სამეცნიერო ფეოდალიზმში“, ხან ლამაზი ქალებით გატაცებაში, და იმაშიაც კი, რომ ის... „მაინც ქართველია“.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ა. თავხელიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1986-2005 წწ.), ბირთვულ კვლევათა ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (ქ. მოსკოვი), წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი (ქ. დუბნა), კათედრის გამგე ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტში. ცხოვრობდა მისი საყვარელი მოწაფეების – აკადემიკოსების, დიდი ინსტიტუტების ხელმძღვანელების (სისაკიანი, მატკევი, რუბაკოვი, კადიშევსკი და სხვ.) გარემოცვაში.

ალეკო, თბილისის, თელავის, ბაღდადის და ტროიცკის საპატიო მოქალაქე, გარდაიცვალა 2010 წელს, 79 წლის ასაკში. დაკრძალულია მოსკოვში.

ალეკო დარწმუნებული იყო, რომ მეცნიერება ინტერნაციონალურია, ის თავის თავს არ თვლიდა არც რუს და არც ქართველ ფიზიკოსად და თავის ინტერვიუში ხშირად ახსენებდა ა. ჩეხოვის სიტყვებს: „გამრავლების ნაციონალური ტაბულა არ არსებობს“.

ომარ შუღრა

ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი 1980-95 წლებში

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ახალი მკონობისა THE NEW ECONOMIST

აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი... რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველს? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავე, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვიდინ, დღეო სიხარულისაო!“ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევე ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: „მემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ. ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე. დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს - ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბერტყაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლეობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიათ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი აღნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება. ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულის-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეუთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმადლარ სურვილისამებრ. ვართ კი ასეთნი? რა

გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევია, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. ალა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვკლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით. მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველებისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავალეზინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს, თავგმა დაგვიჭამოს. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღვდეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი. და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეციტ სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს - სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს; ცოდვა არ არის, ეს ლომი კოლომ საბუდრად გაიხადოს, ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას, როგორც მძოვარი, როგორც ლეში. რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა - რამ შეგვადლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმთხვეულნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით - იმ

დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე. მისი ფარ-ხმალი, ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვადლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვექონდა ნაქსოვისა“ - ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ - ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვექონდა, დროთა შესაფერი მხნეობდა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა, ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანნი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულეები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფროთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვანს. დღეს მძლეუთა მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგმათმოზინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გაგუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევიინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა - შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-და გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ შხაპუნა ნიაღვარს კი არ ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრანოს, „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თვითონ ადამიანმა გესლი უღმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა - პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, - იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი, თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვაი რომ არა. მამ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

არ ვიცით - რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ - რანი ვართ, ვერ გამოგვისახია - რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაო ხელი გვკრან - და შინ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწვნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდან არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბზუი კი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის.

ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვს: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

1897 წ. 31 დეკემბერი
ილია ჭავჭავაძე

საგარეო ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველებს დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელ-ფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.
- სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 8 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.
5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შექმნისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს “ლოი“-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HB000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“, ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.
3. The article must have reziume in Georgian, English and Russian languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.
The price of article's publication is- one page of journal 8 GEL (Lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5 GEL (Lari).
5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE61HB000000000713602, “Halyk Bank Georgia”, central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.



უპს “**Smarty**” გთავაზობთ სრულ სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

ციფრული ბეჭდვა

ფართოფორმატიანი ბეჭდვა

ოფსეტური ბეჭდვა



ბანერი ბადე სტიკერი სტიკერი

HEIDELBERG A2

- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრი პლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითწაბადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი:
- ჯიზის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

აღვიწევი მიტანის სერვისი უფასოდ!!!

მის.: ქ. თბილისი, აგლაკის ქ.83

☎ 551 30 33 20

✉ smartyLTD@gmail.com

🌐 smarty.ltd



Smarty

www.smarty.ge